# არსენალი

„კვირის პალიტრ... ...რო-ანალიტიკური ჟურნალი. №10 (15). ოქტომბერი. 2005. ფასი 1,5 ლარი



## ცოტა რამ ქართული სპეცსამსახურების ისტორიიდან

1425/2
2005

## ჩერჩილის ბუტაფორიული ფლოტი

## გააზნაურებული მდაბიო „მაუზერ 98K"

## მოძველებული, მაგრამ მაინც ეფექტიანი — „შილკა"

## საპილოტაჟო გუნდები

Blue Angels
Thunderbirds
Patruille de France
Frecce Tricolore
Red Arrows
Стрижи
Русские Витязи
Turkish Stars
Suisse Patruille
Blue Eagles...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




სკანდალი ჯავშანმანქანების გამო

7





„თქვენ ნამდვილი გმირი ხართ!“

12





ავიაშოუ – მსოფლიოს უძლიერესი საპილოტაჟო გუნდები

25

ცხოვრების წესი — სამურაი

38







მოძველებული მაგრამ მაინც ეფექტიანი – „შილკა“

22





Volvo XC90

50

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

კალეიდოსკოპი
4 მოკლე ინფორმაციები
კალეიდოსკოპი
6 უცხოეთის ამბები
ქართული ჯარი
8 სკანდალი ჯანშანმანქანების გამო
მკითხველის გვერდი
10 „თბილისის" მრისხანე „მუშტი"
პრობლემა
11 საქართველოს ხელისუფლება ჯარს ბირჟაზე აგროვებს, კურსანტებს კი ქუჩაში ყრის
მკითხველის წერილი
12 თქვენ ნამდვილი გმირი ხართ!
13 სახალისო სტატისტიკა
სპეცსამსახურები
14 ცოტა რამ ქართული სპეცსამსახურების ისტორიიდან
16 ბრძოლა გაეროს გასაკონტროლებლად
ნადირობის მოყვარულთათვის
18 გააზნაურებული მდაბიო
სამხედრო ეშმაკობები
20 საბჭოთა სპეცდანაყოფის მიერ ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავის შეპყრობის ისტორია
იარაღი
23 მოძველებული, მაგრამ მაინც ეფექტიანი „შილკა"
ავიაშოუ
25 მსოფლიოს უძლიერესი საპილოტაჟო გუნდები
ფოტორეპორტაჟი
25 მუზეუმი მონინოში... ქართული თვითმფრინავებით
კომპანიონი
34 ყველაზე მშვიდი ძაღლი — ნიუფაუნდლენდი
კონსულტაცია
37 კვალიფიციური რჩევები
ცხოვრების წესი
38 სამურაი
სამხედრო ტექნიკა
41 „ჰამერებს" ერაყში გაუჭირდათ
სამხედრო ისტორიები
42 გურულებს საფრთხე ციდან დაემუქრათ
ფლოტი
43 კასპიისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები
45 ჩერჩილის ბუტაფორიული ფლოტი
კროსვორდი
47 არსენალვორდი
რჩევები
48 მცირეოდენი ეშმაკობა დანაშაული არ არის თუ...
სუპერმობილი
50 **Volvo cx90**
„არსენალის" იარაღის მაღაზია
54 ყველაზე თხელი... სპეციალურად ღიპიანი გენერლებისთვის

## რედაქტორის სვეტი

გრძელდება „არსენალისა" და მისი ერთგული მკითხველის ურთიერთთანამშრომლობა, — მკითხველთა წერილების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით. თუმცა ზოგი მათგანი გვსაყვედურობს, რომ ქართული არმიის ყოფას „არსენალი" მწირად აშუქებს. ვეთანხმებით ჩვენს მკითხველებს, თუმცა დავძენთ, რომ ამას ობიექტური მიზეზები აქვს. სამწუხაროდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მკვეთრად შეზღუდა იმ საინფორმაციო საშუალებების ნუსხა, რომელთაც ადვილად მიუწვდება ხელი ამ უწყებაში მიმდინარე მოვლენებზე. როგორც ხვდებით, ამ ნუსხაში „არსენალი" არ მოხვდა. ამიტომ გვიწევს ინფორმაციის საკუთარი წყაროებით მოძიება. არც ეს იქნებოდა დიდი პრობლემა, მაგრამ სამხედრო უწყებაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ვერიდებით გადაუმოწმებელი ფაქტების კომენტირებას, რათა საქართველოს მტრების წისქვილზე არ დავასხათ წყალი. ამ სიტუაციიდან დასაღწევად ერთი მარტივი გამოსავალი ვიპოვეთ: ისევ ჩვენს მკითხველს (სამხედროებს ვგულისხმობთ) უნდა ვთხოვოთ, რომ მოგვწერონ და გაგვიზიარონ საკუთარი აზრი არმიაში მიმდინარე მოვლენებზე.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

**ყურადღება!**
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46 ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული არმიის პირადი შემადგენლობა 21468 კაცს ითვლის

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ქართული არმიის პირადი შემადგენლობა 21468 სამხედრო მოსამსახურეს ითვლის, აქედან 3747 ოფიცერია, 10880 სერჟანტი და კაპრალი, 6113 რეკრუტი. თავდაცვის სამინისტროში 748 სამოქალაქო პირიც მსახურობს.



## „გონიოს" პოლიგონმა ფუნქციონირება შეწყვიტა

ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების კუთვნილი სამხედრო პოლიგონი „გონიო" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის სროლების ჩატარება ამ ეტაპზე აკრძალულია, ამიტომ „გონიომ", როგორც სამხედრო პოლიგონმა, ფუნქციონირება შეწყვიტა. ჯერჯერობით, არ არის გარკვეული, რა დანიშნულებით გამოიყენებს მას ქართული მხარე. ყოფილ სამხედრო პოლიგონს 146 ჰექტარი ტერიტორია ეკავა. საქართველოდან რუსეთის ფედერაციის კუთვნილი სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესის დასრულებამდე, მხარეთა შეთანხმებით, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებას დროებით ამ ტერიტორიის ნაწილის გამოყენების უფლება მიეცა. აქ თავს მოუყრიან საქართველოდან გასატან ტექნიკას, შეიარაღებასა და სხვა სამხედრო ქონებას, რომელსაც მოგვიანებით პოლიგონის სანაპირო ზოლიდან სადესანტო ხომალდებით გაიტანენ.



## თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 6 მილიონ 400 ათასი ლარით იზრდება. თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის შესახებ მთავრობის ინიციატივა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მოიწონა.

2005 წლის სამხედრო ბიუჯეტი 368 მილიონ ლარს შეადგენს. დაფინანსება გაეზრდებათ ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს.



## „აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლას კონკრეტული მიზანი ჰქონდა"

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის გადასვლასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა. როგორც თავდაცვის უწყების ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, მინისტრი აფხაზეთში რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა, სადაც მას მხოლოდ პირადი დაცვის წევრები ახლდნენ. პრესსამსახურის ცნობით, აფხაზეთში წასვლის გადაწყვეტილება კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა. კერძოდ, თავდაცვის მინისტრი კანონით მინიჭებული უფლებით სარგებლობდა. ამ ქმედებით მინისტრმა დაადასტურა, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება აქვს. აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებისას ირაკლი ოქრუაშვილს თან მხოლოდ პირადი დაცვის წევრები ახლდნენ. ამ ინფორმაციას აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები გამოეხმაურნენ. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და რამდენიმე ღამე ტყეში გაათია, „პოპულიზმად და პროვოკაციად" აფასებს: „თუ მინისტრი ოქრუაშვილი მართლაც იყო აფხაზეთში, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოში მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და ოფიციალური სტრუქტურები ერთმანეთთან შეზრდილები არიან". ხაჯიმბას შეფასებით (ის აფხაზურ ხელისუფლებაში ძალოვან უწყებებს კურირებს), საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არღვევენ აღებულ ვალდებულებებს და მხარს უჭერენ პარტიზანულ მოძრაობას. რაულ ხაჯიმბა შეახსენებს საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც საქართველოს ახალგაზრდობას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მოუწოდა, რომ „საქართველოს საზღვარი გადის მდინარე ენგურზე და არა მდინარე ფსოუზე. ენგურის შემდეგ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორია იწყება(?!)".



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლონეთი სამხედრო აღჭურვილობის განახლებაში გვეხმარება

„პოლონეთი მზად არის საქართველოს სამხედრო განათლებისა და სამხედრო აღჭურვილობის NATO-ს სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზებაში დაეხმაროს“, — განაცხადა პოლონეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ იანუშ ზემკემ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან პოლონეთში გამართულ შეხვედრაზე. მისი თქმით, საქართველოსა და პოლონეთის თავდაცვის უწყებები აქტიურად თანამშრომლობენ და პოლონეთი მზად არის თანამშრომლობა კიდევ უფრო გააღრმაოს. პოლონეთში ვიზიტისას გიორგი ბარამიძე ამ ქვეყნის უშიშროების ეროვნული ბიუროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანსაც შეხვდა. მოლაპარაკებისას პოლონურმა მხარემ NATO-სა და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი საქართველოს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. შეხვედრებზე აღინიშნა, რომ პოლონეთი, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, აქტიურად შეეცდება ევროკავშირ-რუსეთის დიალოგის დღის წესრიგში წინ წამოსწიოს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების, სასაზღვრო უთანხმოებებისა და სხვა საკითხები.

## "რუსეთის საქმე არ არის, სად და ვისგან შევიძენთ იარაღს"

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი აბსურდულს უწოდებს რუსეთის საგარეო უწყების განცხადებას, თითქოს საქართველო ჩეხეთში შეძენილი იარაღით აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას აპირებს. „რუსეთის საქმე არ არის, სად და ვისგან შევიძენთ იარაღს. ეს არის საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს უფლება“, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა. მისივე თქმით, საქართველო ჩეხეთისგან მართლაც იღებს მთელ რიგ შეიარაღებასა და აღჭურვილობას, რომლის ნაწილიც ჩვენს ქვეყანას უსასყიდლოდ გადაეცემა. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველო კვლავაც გააგრძელებს შეიარაღებული ძალების მოდერნიზებას.



თუმცა განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველო რაიმე სახის სამხედრო კონფრონტაციის დაწყებას აპირებს, სინამდვილეს არ შეესაბამება.

## ერაყში 558 ქართველი სამხედრო გააცილეს

10 სექტემბერს ქუთაისის მეორე ბრიგადის 21-ე ბატალიონის პირადი შემადგენლობა ერაყში საზეიმო ვითარებაში გააცილეს. ცერემონიას თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით სიხარულიძე, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ალეკო კიკნაძე, ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი და ჯარისკაცების ახლობლები ესწრებოდნენ. 21-ე ბატალიონის დისლოკაციის ადგილი ბაღდადი იქნება. ისინი ერაყში პირველი ბრიგადის შავნაბადას მე-13 ბატალიონს ჩაენაცვლებიან. მანამდე ჯარისკაცები ქუვეითში სპეციალურ ორთვიან მომზადების კურსს გაივლიან. ბატალიონის 558-მა ჯარისკაცმა კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში წინასწარი მომზადების ორთვიანი კურსიც გაიარა. აღნიშნული კონტინგენტი სამშობლოში 6 თვის შემდეგ დაბრუნდება.

ამჯერად ერაყში სტაბილურობის მისიას „თელავისა“ და „შავნაბადას“ ბატალიონები ასრულებენ.



## აზერბაიჯანი სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას აპირებს

ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანი თავის სამხედრო ბიუჯეტს სომხეთის ბიუჯეტის დონემდე გაზრდის. „ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი სომხეთის მთელი ბიუჯეტის ტოლი და მასზე მეტიც უნდა იყოს და ეს ასეც იქნება“, — აღნიშნა ალიევმა. პრეზიდენტის თქმით, „აზერბაიჯანი ომის პირობებში ცხოვრობს. მისი მიწა-წყალი ოკუპირებულია, ამიტომ არმიას ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს“.

ალიევის განმარტებით, აზერბაიჯანის 2006 წლის ბიუჯეტში თავდაცვის ხარჯების 600 მლნ დოლარამდე გაზრდაა გათვალისწინებული, 2005 წელს კი ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 300 მლნ დოლარს შეადგენს. აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაურის თქმით, ქვეყანაში ჯარის მშენებლობის პროცესი სწრაფად და საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს: „ჩვენი სამხედრო ბიუჯეტის გაზრდის მთავარი მიზეზი ის არის, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებში რუსეთმა სომხეთს ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკა გაუგზავნა. ჩვენს შეშფოთებას იწვევს საქართველოდან სომხეთში რუსული სამხედრო ტექნიკის გადაყვანაც. ამიტომ ვდგამთ და კვლავაც გადავდგამთ ადეკვატურ ნაბიჯებს“.

## სომხეთის მოქალაქეს საქართველოდან შეიარაღება გადაჰქონდა

ქართველმა მესაზღვრეებმა სომხეთის მოქალაქე დააკავეს, რომელსაც საქართველოდან სომხეთის რესპუბლიკაში ჯავშანსატრანსპორტო მანქანის სათადარიგო ნაწილები და ღამის ხედვის ხელსაწყოები გაჰქონდა. როგორც სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, ოპერაცია რეგიონული სამმართველო „ახალციხის“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „ნინოწმინდის“ თანამშრომლებმა ჩაატარეს. მიმდინარეობს გამოძიება.

საინფორმაციო სააგენტოებზე დაყრდნობით მოამზადა მამუკა ხუციშვილმა


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯორჯ ბუში 22 სამხედრო ბაზას დახურავს



პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დადებითი შეფასება მისცა აშშ-ის ოცდაორი ძირითადი სამხედრო ბაზის დახურვისა და კიდევ ოცდაცამეტის რეკონსტრუქციის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც დამოუკიდებელმა კომისიამ მიიღო. აშშ-ის პრეზიდენტმა 23 სექტემბრამდე უნდა გამოთქვას თავისი აზრი – ის ან უნდა დაეთანხმოს კომისიის დასკვნებს, ან უარი თქვას და დოკუმენტი დასამუშავებლად დააბრუნოს.

საბოლოო გადაწყვეტილებას კონგრესი მიიღებს. თუ კონგრესი 45 დღის განმავლობაში ხმას მისცემს კომისიისა და პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, დოკუმენტი ძალაში შევა.

სამხედრო ბაზების დახურვით აშშ ყოველწლიურად დაახლოებით 4,2 მლრდ დოლარს დაზოგავს.

# ახალი ინგლისური თვითმავალი საარტილერიო დანადგარი ექვსდიუმიანი ჰაუ ბიცათი შეაიარაღეს



ბრიტანეთის კორპორაცია BAE-მ დაამუშავა ახალი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი M777 PORTEE. შასისთვის გამოიყენეს კომპანია SUPACAT-ის მაღალი გამავლობის ავტომობილი HIGH MOBILITY TRUCK (8X6). ეს ავტომობილი უკვე არის დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების შეიარაღებაში.

საბრძოლო მოდული შეიცავს 155-მილიმეტრიან ჰაუბიცა M777-ს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მსუბუქია და აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საზღვაო ქვეითებისა და აშშ-ის სახმელეთო ძალების შეიარაღებაშია. მისი წონა 4218 კილოგრამია, რაც ალუმინისა და ტიტანის შენადნობების დამსახურებაა.

# იაპონია რუსეთისგან „კალაშნიკოვებს“ იყიდის

იაპონია რუსეთისგან „კალაშნიკოვის“ ავტომატების ყიდვას აპირებს ერაყელებისგან თავდასაცავად. იაპონიის სამხედრო უწყების წარმომადგენლის თქმით, რუსეთთან გარიგება ქვეყნის ისტორიაში პირველი ამ სახის კონტრაქტი იქნება. კერძოდ, იაპონიას განზრახული აქვს შეისყიდოს რუსეთისგან AK-47-ები და AK-74-ები,ყუმბარმტყორცნები РПГ 7 და დრაგუნოვის სნაიპერული შაშხანები. ამ შეიარაღებას იმიტომ მიენიჭა უპირატესობა, რომ სწორედ ამ სახის იარაღს იყენებენ ერაყელი პარტიზანები და სწორედ მათი ლულების ქვეშ დგომა უწევთ ერაყში დისლოცირებული იაპონიის სამხედრო კონტიგენტის წევრებს...

# ივანოვს ყირგიზეთში იარაღი მიაქვს

„იარაღი ლოიალურობის სანაცვლოდ“, – ასეთია არაოფიციალური რეფრენი რფ თავდაცვის მინისტრის ვიზიტებისა ორ შუააზიურ სახელმწიფოში: ყირგიზეთსა და უზბეკეთში. სამხედრო უწყების მეთაური ბიშკეკში ხელს მოაწერს კონტრაქტს დაახლოებით 5 მლნ დოლარის ღირებულების ვერტმფრენების Ми-8МТВ-ების, „კამაზების“, სასროლი შეიარაღების, ავტომობილებისა და ჯავშანტექნიკის სათადარიგო ნაწილების მიწოდების თაობაზე.

რუსეთს დიდი ხანია სურს შუააზიურ რესპუბლიკებზე თავისი გავლენის გავრცელება. აშშ-ისგან განსხვავებით, რუსეთს არცთუ ბევრი გავლენის ბერკეტი აღმოაჩნდა. მაგალითად, აეროდრომ „მანასის“ იჯარისთვის ყირგიზეთს ამერიკა ყოველწლიურად 45 მლნ დოლარს და 25 მლნ დოლარს კი თვითმფრინავების საწვავით მომარაგებისთვის უხდის. სამაგიეროდ სახსრების უქონლობის გამო მოსკოვმა სხვა გზას, სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას მიმართა. რუსეთი თავის მოკავშირეებს სთავაზობს შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდებას რუსეთის შიდასაბაზრო ფასებით.

რფ თავდაცვის მინისტრი ყირგიზეთში რესპუბლიკის პრეზიდენტთან, მთავრობის ხელმძღვანელებსა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან პოლიტიკურ კონსულტაციებსაც გამართავს.

რფ თავდაცვის მინისტრი დაესწრება ქვეყნის ისტორიაში პირველ რუსულ-უზბეკურ სამხედრო სწავლებებს, რომელიც სექტემბრის დამლევს ჩატარდება. გეგმის მიხედვით, ორივე მხრიდან სწავლებებში 200 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ისრაელმა მძლავრი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა გამოსცადა



ისრაელის კორპორაცია ISRAEL AIRCRAFT INDUSTRIES-მა ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა LAHAT-ი გამოსცადა. ორი 120-მილიმეტრიანი რაკეტა 4 კილომეტრის მანძილზე დაშორებულ სამიზნეს მოხვდა, რომელთაგან ერთ-ერთი მოძრაობდა, მეორე კი უძრავი იყო. სამიზნედ ტანკების მაკეტები გამოიყენეს.

LAHAT-ი IAI-ს ერთ-ერთი ბოლო ტანკსაწინააღმდეგო იარაღია. მას გამშვები კონტეინერიდან ისვრიან, რომელზეც ოთხი რაკეტაა დაყენებული. დამიზნება ლაზერის მეშვეობით ხდება, ამასთან, თავად ხელსაწყო შეიძლება იყოს როგორც გამშვებ დანადგარზე, ასევე მის გარეთაც.

LAHAT-ის გამოყენება შეიძლება ჯავშანტრანსპორტიორებზე, ტანკებზე, მისი დამონტაჟება შეიძლება ამერიკულ HUMVEE-სა და რუსულ БМП-ზე. ამჟამად მზადდება რაკეტის საავიაციო ვარიანტი ვერტმფრენებისთვის.

# ახალი ამერიკული ყუმბარმტყორცნი ჯერით გაისვრის



საერთაშორისო სამხედრო სალონზე DSEI-ზე, რომელიც ლონდონში ჩატარდა, კორპორაცია MILKOR USA-მ წარმოადგინა ახალი იარაღი – 40-მილიმეტრიანი ხელის თვითდამტენი, რევოლვერის ტიპის ნახევრად ავტომატური ყუმბარმტყორცნი MGL-140. მან უნდა შეცვალოს თავისი წინამორებდი MGL MK-1-ი. ყუმბარმტყორცნის ახალი მოდელი გამოირჩევა სროლის დიდი სისწრაფით და სამიზნის განადგურების სიზუსტით. ამ ყუმბარმტყორცნით შეიარაღებული ჯარისკაცი წამში ორი გასროლის სიჩქარით გახსნის ცეცხლს 400 მეტრის მანძილზე. 150 მეტრის მანძილზე კი სამიზნის განადგურება სნაიპერული სიზუსტით არის შესაძლებელი.

კომპანია MILKOR-ის აღმასრულებელი დირექტორის თქმით, კომპანიამ უკვე მიაწოდა ეს იარაღი 36 ქვეყანას, მათ შორის, NATO-ს წევრ ქვეყნებსაც.

# ჩეხეთში ანტიტერორისტული სწავლებები ჩატარდება

ჩეხეთის ისტორიაში პირველად ყველაზე მსხვილი ანტიტერორისტული სწავლებები ჩატარდება. მასში 1500 კაცი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის: მაშველები, ანტიკრიზისული შტაბების წევრები და მეხანძრეები.

ჩეხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, სწავლებები ხელს არ შეუშლის მოქალაქეებს. კერძოდ, პრაღის მეტროს ერთ-ერთ სადგურსა და რკინიგზის სადგურის მატარებელში მაშველები იმიტირებული აფეთქების შემდეგ სამაშველო მოქმედებებს დაამუშავებენ. ავტობუსებისა და რკინიგზის სადგურებში მაშველები გააუვნებლებენ აღმოჩენილ „ყუმბარას“ და ტერორისტული აქტის მზადებაში ეჭვმიტანილ პირობით დამნაშავეს.

# უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების პილოტებს უბრძანეს...

ყირიმში დაიწყო უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების სწავლებები. მანევრებისას გამანადგურებლების პილოტები განახორციელებენ მართვადი რაკეტების „ჰაერი-ჰაერის“ სასწავლო-საბრძოლო გაშვებას.

როგორც უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, სწავლებებს წინ უძღოდა ეკიპაჟების თეორიული მომზადება, სადაც „ძირითადად ყურადღება გამახვილდა მართვადი რაკეტების გაშვებისას დაშვებული შეცდომების შემთხვევაში უსაფრთხოების ზომების მიღებასა და შეცდომების გაანალიზებაზე“.

მანევრებში მონაწილეობდნენ საბრძოლო გამანადგურებლები МиГ-29-ები და ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო МиГ-29УБ-ები.

შეგახსენებთ, რომ შავი ზღვის თავზე სარაკეტო სროლები მას შემდეგ აიკრძალა, რაც 2001 წელს რუსეთის ავიაკომპანიის ავიალაინერი დაიღუპა. სწავლებები მხოლოდ 2005 წელს განახლდა.

სამგზავრო ავიალაინერი ნე-154, თელ-ავივი-ნოვოსიბირსკის მიმართულებით მიმავალი, ჩამოაგდო უკრაინის საზენიტო რაკეტამ, რომელიც ყირიმის პოლიგონიდან გაუშვეს სამხედრო-საჰაერო ძალების სწავლებებისას. ლაინერის ბორტზე 66 მგზავრი და 12 ეკიპაჟის წევრი იყო. ყველა მათგანი დაიღუპა.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკანდალი ჯავშანმანქანების გამო



**ჩვენი დოსიე:** ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2 14 ტონას იწონის. მისი ეკიპაჟი 3 კაცისგან, ხოლო დესანტი 7 მსროლელისგან შედგება. ჯავშანმანქანა შეიარაღებულია ერთი, 30მმ-კალიბრიანი ავტომატური ქვემეხით, ერთი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევით. მისი კოშკურის თავზე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი „კონკურსი“ მონტაჟდება. ასფალტირებულ გზაზე მას მაქსიმალური 65 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია.

## ადგილზე გააფუჭეს თუ გაფუჭებული ქვეითთა საბრძოლო მანქანები შეიძინეს ქართული არმიისთვის?

***თავდაცვის სამინისტრო მორიგ სკანდალში ეხვევა. დაპატიმრებულია შეიარაღებული ძალების სამი მაღალჩინოსანი ოფიცერი, რომლებსაც გამოძიება თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს.***

***„უკრაინაში შესყიდული 40 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-დან 38 გაფუჭებულია. ქართველმა ოფიცრებმა უკრაინაში უვარგისი ჯავშანმანქანები შეარჩიეს, რითაც სახელმწიფოს 595 ათასი ლარის ზარალი მიაყენეს“, — ასეთია ბრალდება.***



თუ გამოძიება ობიექტურად წარიმართა და დანაშაული დადასტურდა, მაშინ დამნაშავენი მართლაც სათანადოდ უნდა დაისაჯონ.

თუმც ჩვენ გაკვირვებას ერთი ფაქტი იწვევს — ნუთუ БМП-2-ების საქართველოში ჩამოტანიდან 7-8 თვის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ისინი უვარგისი იყო. მით უმეტეს, წელს, გაზაფხულზე, გორთან ახლოს პოლიგონზე 14 ახალნაყიდი ჯავშანმანქანით საჩვენებელი სროლები მოაწყვეს და ტელეკამერების წინ გენშტაბის ხელმძღვანელობა სიამაყით აღნიშნავდა ჯავშანმანქანების ეფექტიანობას (სხვათა შორის, სწორედ ამ პოლიგონზე БМП-2-დან გასროლილი ერთი 30მმ-კალიბრიანი ჭურვი უფლისციხელი მოსახლის სახლში შევარდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, დაზიანებული ავეჯის საკომპენსაციოდ ოჯახს თითქოს 100 ლარი გადაუხადეს, თავად ფაქტი კი მიიჩქმალა).

თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც გასაგები მიზეზის გამო ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, „არსენალთან“ საუბრისას განაცხადა: „მანქანა იყიდო, იყიდო და 8 თვის შემდეგ აუხირდე გამყიდველს, ეს რა შემომაჩეჩეო, გაგონილა?! ყველა ჯავშანმანქანა ვარგისი იყო, მაგრამ არას-

წორმა ექსპლუატაციამ გამოიყვანა ისინი მწყობრიდან“...

როგორც „არსენალისთვის“ გახდა ცნობილი, უკრაინის ქ. ჟიტომირში შერჩეული 40-ივე БМП-2 მე-2 კატეგორიისა იყო. მათ გაყიდვის წინ კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. თბილისიდან ჩასულმა ქართველი სამხედრო პირების კომისიამ (ამ კომისიაში ამჟამად დაპატიმრებული ეჭვმიტანილებიც იმყოფებოდნენ) თითოეული ჯავშანმანქანა 100 კმიანი მარშით გამოსცადა, რის შემდეგაც ისინი საქართველოში გამოგზავნეს: 40 ჯავშანმანქანა სამ პარტიად — თავდაპირველად — 14-14, ბოლოს კი 12 ერთეული გამოგზავნეს. ბოლო ორი პარტია თავდაცვის სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობის დანიშვნის შემდეგ ჩამოვიდა. სამინისტროს წარმომადგენლები შემოწმების მიზნით ჟიტომირის ჯავშანსატანკო-სარემონტო ქარხანასაც სტუმრობდნენ, რათა ადგილზევე შეემოწმებინათ, როგორი ტექნიკა შეირჩა საქართველოში გამოსაგზავნად.



არსებობს რამდენიმე ფაქტი, რითაც დასტურდება, რომ ჯავშანმანქანები მწყობრიდან ექსპლუატაციის წესების დარღვევის გამო გამოვიდა.

БМП-2 ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანას УТД-20С1 ტიპის ექვსცილინდრიანი დიზელის ძრავა აქვს. ორის გაუმართაობა მას შემდეგ შენიშნეს, რაც ძრავები გადახურდა. შესაძლოა, ეს იმანაც გამოიწვია, რომ მძღოლ-მექანიკოსებს გამაგრილებელი სისტემის ცხაურები დაკეტილი დარჩათ. ერთ-ერთის 30 მმ-კალიბრიანი ავტომატური ქვემეხი 2А42 იმიტომ გამოვიდა მწყობრიდან, რომ სროლების შემდეგ სათანადოდ არ გაიწმინდა. მეორე БМП-ში კი გარეცხვის შემდეგ წყალი არ ამოაშრეს ნაკვეთურებიდან. ამუშავების შემდეგ წყალი ძრავას მოხვდა და ძრავამ ჰიდროდარტყმა მიიღო.



ეს და სხვა ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ახალნაყიდი ჯავშანმანქანების ეკიპაჟები და უპირველესად მძღოლ-მექანიკოსები არ იყვნენ სათანადოდ მომზადებული საბრძოლო ტექნიკის ექსპლუატაციისთვის. მათ უმრავლესობას ახალჩამოყვანილი БМП-2-ებით 1-2 კმ თუ ჰქონდა გავლილი. ამიტომ იყო, რომ ორფოლოში, ჯავშანსატანკო სწავლებაზე „ჯავშანი-2005“ ჯავშანმანქანები მასობრივად გამოვიდა მწყობრიდან. არ არის გამორიცხული, ზოგიერთ იმ დანაყოფში, სადაც უკრაინული БМП-ები მიიღეს შეიარაღებაში, დოკუმენტებში დაფიქსირებული ჰქონდეთ, რომ მძღოლ-მექანიკოსებმა არა 2 კმ, არამედ ათჯერ და ოცჯერ მეტიც გაიარეს. აქ საქმე შეიძლება ჩვეულებრივ მიწერასთან გვქონდეს, დაზოგილი საწვავი კი სად აორთქლდებოდა, ადვილი მისახვედრია.

თუკი გამოძიება დაჰკითხავს ჯავშანმანქანების მძღოლ-მექანიკოსებს, სინამდვილეში რამდენკილომეტრიანი მარშები გაიარეს მოსამზადებელ ეტაპზე, ბევრი რამ გაირკვევა.

სხვათა შორის, უკრაინაში ჯავშანმანქანების შერჩევის პროცესს აკვირდებოდა საგანგებოდ ამისთვის მივლინებული უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის თანამშრომელი. იგი ვალდებული იყო ხელმძღვანელობისთვის მოეხსენებინა, რამდენად კეთილსინდისიერად არჩევდნენ ჟიტომირის ქარხანაში ჯავშანმანქანებს ქართველი სამხედროები. სიმართლის დასადგენად საინტერესო იქნებოდა პატაკების გადახედვა...

და კიდევ, როდესაც ეჭვმიტანილის სახით აპატიმრებდნენ ზემოხსენებულ სამ ოფიცერს, არავის დაუსვამს გენშტაბის დღევანდელი უფროსის, პოლკოვნიკ ნიკოლეიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. პოლკოვნიკი ნიკოლეიშვილი 2004 წლის აგვისტოში უშიშროების სამინისტროდან გენშტაბის უფროსის მოადგილედ გადაიყვანეს და სწორედ მას დაეკისრა გენშტაბის ლოგისტიკის სარდლობის კურირება. სწორედ იმ სარდლობისა, რომელსაც БМП-2-ებისა და სხვა ტექნიკის ყიდვა ევალებოდა. ხელშეკრულება ჯავშანმანქანების შეძენაზე 2004 წლის სექტემბერში გაფორმდა, ტექნიკის მიღება კი გასული წლის დამლევამდე გაგრძელდა, ხოლო 12 ერთეული БМП-2-ი 2005 წლის დასაწყისში ჩამოვიდა საქართველოში. ასე რომ, ოთხი თვე სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ მაშინდელი გენშტაბის უფროსის მოადგილეს, ვინც ჯავშანმანქანების შემსყიდველი გენშტაბის ლოგისტიკის სარდლობას კურირებდა, უკრაინაშივე ან სულაც საქართველოში ჩამოყვანისთანავე დაედგინა ტექნიკის ავკარგიანობა.

პოლკოვნიკ ნიკოლეიშვილს, რომელიც 2005 წლის თებერვლიდან დაინიშნა გენშტაბის უფროსად, პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ გამოძიებამ დაადგინა, რომ БМП-2-ები არასწორმა ექსპლუატაციამ გამოიყვანა მწყობრიდან.

დამაფიქრებელია, რომ ქართული არმია ბოლო დროს ხშირად ხდება სკანდალების ობიექტი. ეგეც არ იყოს, БМП-2-ების შესაძენად ხომ თითოეული ჩვენგანის წილი თანხაც დაიხარჯა, ან რატომ უნდა ეყაროს გაფუჭებული ტექნიკა ჩვენი მტრების გასახარად?!

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ შეიარაღების შესახებ, რომელიც აქვს სარაკეტო კატარღა „თბილისს“. წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით თქვენი
ერთგული მკითხველი. ქ. კასპი.

# „თბილისის“ მრისხანე „მუშტი“




სარაკეტო კატარღა №302 „თბილისზე“ შეფობა „კვირის პალიტრამ“ ჯერ კიდევ 2001 წლიდან აიღო. 2004 წლიდან „თბილისის“ კაიუტკომპანიაში „კვირის პალიტრის“ შეკვრას „არსენალის“ ნომრებიც დაემატა. ასე რომ, იმედია, ეს სტატიაც აღმოჩნდება იმ სამხედრო ხომალდზე, რომლის მრისხანე შეიარაღებაზეც ახლა ვწერთ.


„ტერმიტის“ ჩატვირთვა კატარღაზე


რაკეტის სტარტი


AK-176


AK-630

„თბილისის“ ცხვირზე 76,2მმ-კალიბრიანი უნივერსალური საარტილერიო დანადგარი AK-176-ი დგას. ამ დანადგარის შექმნა ჯერ კიდევ 35 წლის წინ დაიწყო. მისი უნივერსალურობა მტრის როგორც საზღვაო ხომალდების, ისე ავიაციის წინააღმდეგ ბრძოლით გამოიხატებოდა. ამისთვის კი საჭიროა ავტომატური ქვემეხის სროლის ტემპი მაღალი იყოს, მაგრამ სწრაფსროლა ლულის სახიფათო გადახურებას იწვევს. ამიტომ AK-176-ის ლულა გარედან სპეციალური მოწყობილობითაა დაფარული, რომელშიც ზღვის წყალი წამში 3,5 მ-ის სიჩქარით მიედინება, რაც საჭირო ტემპერატურამდე აცივებს გახურებულ ლულას. საარტილერიო დანადგარს შეუძლია 75 ჭურვის შეუჩერებლად გასროლა, რის შემდეგ აუცილებელია 30-წუთიანი შესვენება. სულ საარტილერიო დანადგარში 150 ცალი 76,2 მმ-კალიბრიანი ჭურვი თავსდება, რომელთა დატენვა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება.

თავად ჭურვი 5,9 კგ-ს იწონის და მასში 400-გრამიანი ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული. საზღვაო და სახმელეთო სამიზნეების გასანადგურებლად ჭურვს უყენებენ დარტყმით ამფეთქს, რომელიც ჭურვს სამიზნესთან შეჯახებისთანავე აფეთქებს. საჰაერო სამიზნეების წინააღმდეგ საბრძოლველად კი ჭურვზე არაკონტაქტურ (რადიოლოკაციურ) ამფეთქს აყენებენ. თუკი ჭურვი თვითმფრინავიდან 8 მ-ის დაშორებითაც აფეთქდა, მისი ნამსხვრევები საკმაოდ დააზიანებს საჰაერო სამიზნეს.

AK-176-ების შექმნისას მის კონსტრუქტორებს იმედი ჰქონდათ, რომ უნივერსალური საარტილერიო დანადგარით შეიარაღებული საბჭოთა სამხედრო ხომალდები ეფექტიანად მოიგერიებდნენ მათკენ გაშვებულ დასავლურ ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსან რაკეტებს, „ჰარპუნებსა“ და „ტომაჰავკებს“. ყოველ შემთხვევაში,AK-176-ი დაუბრკოლებლად აგდებ-



და ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტა „ფალანგებს“, რომლებიც „ჰარპუნების“ იმიტაციას ახდენდნენ. „თბილისის“ მეორე „მუშტი“ არანაკლები სიძლიერისაა – 30 მმ-კალიბრიან ექვსლულიან ავტომატურ საარტილერიო დანადგარს AK-630-ს „მჭრელსაც“ უწოდებენ, რადგან მის ჭურვებს მოწინააღმდეგის ხომალდის შუაზე „გადაჭრა“ შეუძლია.

საარტილერიო დანადგარის გასროლა ფანტასტიკურ მაჩვენებელს — წუთში 5000 გასროლას აღწევს. ასეთ ტემპს ვერც ერთი ზეგამძლე მეტალისგან დამზადებული ლულა ვერ გაუძლებდა. ამიტომაც დანადგარს ექვსი ლულა უყენდება და ყოველი ახალი გასროლა მორიგი ლულიდან ხდება — ლულების ბლოკი გამუდმებით ბრუნავს. ლულების გასაცივებლად დაახლოებით ისეთივე სისტემა გამოიყენება,როგორიც AK-176-ს აქვს – ოღონდ ზღვის წყლის ნაცვლად დისტილირებული წყალი ან ანტიფრიზი იხმარება. AK-630-ის მთავარი დანიშნულება მოწინააღმდეგის მფრინავი ობიექტების ჩამოგდებაა 4 კმ-ის რადიუსში.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ „თბილისის“ მთავარი, ყველაზე მრისხანე იარაღი – ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები П-15 „Термит“-ები. „თბილისზე“ „ტერმიტების“ გასაშვები ორი კონტეინერია დაყენებული. სარაკეტო კატარღის რადიოლოკაციური სადგური რამდენიმე ათეული კმ-ის დაშორებით აღმოაჩენს მოწინააღმდეგის მცურავ საშუალებას და მისკენ უშვებს თვითდამიზნებად „ტერმიტს“. „ტერმიტის“ ფრენის სიჩქარე 320 მ/წმ-ია, ხოლო ფრენის მაქსიმალური სიშორე 40 კმ. 6,5 მ სიგრძის რაკეტის ქობინში 500 კგ მასის ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული, რომლის აფეთქება საკმარისია მსხვილი ხომალდის ჩასაძირად, ხოლო თუკი ტროტილის ნაცვლად ქობინში ბირთვული მუხტი მოთავსდება, მაშინ 257-ტონიან „თბილისს“ უზარმაზარი 90-ათასტონიანი ატომური ავიამზიდის ჩაძირვაც შეუძლია.

# საქართველოს ხელისუფლება ჯარს ბირჟაზე აგროვებს, კურსანტებს კი ქუჩაში ყრის

საქართველოს სამხედრო ხელისუფლებამ 16 სექტემბერს სამხედრო აკადემიიდან დაითხოვა 200-მდე მსმენელი, რომლებსაც ოთხწლიანი სწავლების შემდეგ ოფიცრის წოდება უნდა მიეღოთ. ეს იმდენად მოულოდნელი და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა კურსანტებისთვისა და მათი მშობლებისთვის, რომ აკადემიის წინ საპროტესტო აქცია მოაწყვეს. სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა კი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს, ხოლო მსმენელების დათხოვნას არმიის NATO-ს სტანდარტებზე გადასვლით ხსნის.

სანამ ნიუ-იორკში გაეროს 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო შეკრებაზე გაემგზავრებოდა, მიხეილ სააკაშვილმა ახალგაზრდულ-პატრიოტული ბანაკი მოინახულა და დიდხანს ილაპარაკა სამშობლოს დაცვის აუცილებლობაზე. განსაკუთრებით მიმზიდველი იყო პრეზიდენტის ერთი ფრაზა: „მე და ირაკლი ოქრუაშვილი ხშირად დავდივართ სოფლებში. ბირჟებზე ვხედავთ ასობით, ათასობით ახალგაზრდას. ირაკლი ამბობს, 6 ათასი მაღალანაზღაურებადი ადგილი მაქვს, რატომ არ მოდის ეს ხალხი ჯარშიო? ბირჟაზე დგომა ჯობია ფორმის ჩაცმასა და ქვეყნის სამსახურს?! აი, ამ დონემდე მიგვიყვანეს“!

ძნელი სათქმელია, ვინ გაწირა ბირჟაზე დგომისათვის ის ახალგაზრდები, ვისზეც საქართველოს პრეზიდენტი წარსულ დროში ლაპარაკობდა, მაგრამ 16 სექტემბრის შემდეგ ბირჟაზე, ანუ ქუჩაში რომ აღმოჩნდება სამხედრო აკადემიის 300-მდე მსმენელი, ფაქტია. კურსანტები, რომლებმაც თავის დროზე ოფიცრის კარიერა აირჩიეს, თავჩაქინდრულნი და გაოგნებულნი ტოვებდნენ აკადემიის შენობას. მათ შორის იყო ჭიათურელი თემურ ნოზაძეც. სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტის მეორე კურსის მსმენელმა იმ დღეს შეიტყო, რომ ვეღარ გააგრძელებდა სწავლას უმაღლეს სამხედრო სკოლაში.

— ოფიცრობა მინდოდა და სამხედრო აკადემიაში ამიტომაც ჩავაბარე. არ ვიცი, ვისი ბრძანებაა, — ზოგი ამბობს, მინისტრისო, ზოგმა — გენშტაბის უფროსისო... რა ვიცი... NATO-ს სტანდარტებზე რომ გადავიდეთ, სამხედრო აკადემიის დახურვაა საჭიროო. ბიჭები შოკში არიან, არ იციან, რა ქნან. არც მე ვიცი, რა უნდა ვქნა...

სამხედრო-საავიაციო ფაკულტეტის ბედი გაიზიარეს სახმელეთო ფაკულტეტის მე-2 და მე-3 კურსის მსმენელებმაც. აკადემიიდან დათხოვნის ნაცვლად თავდაცვის სამინისტრო მათ სთავაზობს სპეციალური სამთვიანი კურსების გავლას კრწანისის პოლიგონზე ან სწავლის გაგრძელებას სამოქალაქო სასწავლებლებში, სადაც მოხვედრის გარანტიას მათ არავინ აძლევს. სამხედრო უწყების ასეთმა გადაწყვეტილებამ უკიდურესად აღაშფოთა კურსანტთა მშობლები. 16 სექტემბერს მათ გააპროტესტეს შვილების სასწავლებლიდან დათხოვნის ფაქტი. გადამდგარი მაიორი, სამხედრო კონფლიქტებში დაინვალიდებული კობა ობოლაშვილი კი, რომელმაც სამხედრო საქმის სიყვარული შვილსაც ჩაუნერგა, ჩვენთან საუბრისას ცრემლს ვერ მალავდა:

— ყველა ომში დაჭრილი ვარ. ცხინვალში ბრძოლებისას (რასაც რატომღაც ომს არ ეძახიან) კონტუზია მივიღე და თავდაცვის სამინისტრომ ინვალიდობის კატეგორიით გამათავისუფლა. ჩემი შვილი აქ მოვიყვანე, მინდოდა, ჩემ ნაცვლად მას დაეცვა ჩვენი ქვეყანა. ამათ კი გარეთ გამომიგდეს შვილი! რაღა უნდა მჯეროდეს? იცოდნენ, რომ ჩემი სახით ერთი მტერი შეიძინეს...

კურსანტებსა და მათ მშობლებს გამოესარჩლა სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც ამასთან უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს ყველა ჯარისკაცსა და მათ მშობლებს. ორგანიზაციის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა სამხედრო უწყების გადაწყვეტილებას უკანონო უწოდა:

— თავდაცვის სამინისტროს ის შენობები სჭირდება, სადაც კურსანტები სწავლობდნენ. ამიტომაც აუქმებენ ორ კურსს. ამით გათავისუფლდება შენობები, სადაც განთავსდებიან ის განყოფილებები და დეპარტამენტები, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არიან...

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემიიდან კურსანტების დათხოვნაზე ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია. კურსანტების მშობლებს მხოლოდ აკადემიის უფროსი, პოლკოვნიკი კობა ლაჭყებიანი შეხვდა და აუხსნა, რომ აკადემია NATO-ს სტანდარტებზე, ანუ ოფიცერთა ერთწლიანი სწავლების პროგრამაზე გადადის. შესაბამისად, თუ კურსანტები გაივლიან სამთვიან მომზადებას საწვრთნელ პოლიგონზე, მათ შანსი ეძლევათ, ჩაერთონ პროგრამაში. ასე რომ, კურსანტებსა და მათ მშობლებს ერთკვირიანი ვადა მისცეს მოსაფიქრებლად. თავდაცვის სამინისტროს პოზიცია კი ნათელია — მისი ხელმძღვანელი ირაკლი ოქრუაშვილი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს.

**კობა ლიკლიკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «თქვენ ნამდვილი გმირი ხართ!»



აშშ-ის პრეზიდენტი მიხეილის პალატაში

***...ეს სიტყვები ამერიკის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს ეკუთვნის. მან ასე ერაყში დაჭრილ და სასწაულებრივად გადარჩენილ 26 წლის უფროს ლეიტენანტს, ქართველ მიხეილ ქუთათელაძეს მიმართა. რედაქციაში უამრავი წერილი მოდის — „არსენალის“ მკითხველებს აინტერესებთ, დაჭრილი ჯარისკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სად არის ამჟამად და ა.შ. მიხეილის შესახებ ერთ-ერთმა მკითხველმა გვაცნობა. ჩვენც ვსარგებლობთ შემთხვევით, ვასრულებთ თქვენს თხოვნას და გთავაზობთ მასალას მიხეილის შესახებ.***

ქუთათელაძეების ოჯახი ქ. საჩხერეში, ბესიკ ქუთათელაძის ქუჩაზე ერთ უბრალო და სადად მოწყობილ სახლში ცხოვრობს. აქ თითქმის ყველაფერი მიხეილის ხელით არის გაკეთებული. პატარა მიშა ბავშვობიდანვე ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე. ეს მისი სახელოვანი ბიძების, ბესიკ და სოსო ქუთათელაძეების დამსახურებაა. სხვათა შორის, მიხეილის უმცროს დასაც, 15 წლის მზიას გული სამხედრო საქმისკენ მიუწევს.

მიხეილის დედა, ქალბატონი ნინო: „როცა მიშამ სამხედრო აკადემია დაამთავრა და „წვრთნისა და აღჭურვის პროგამაში“ ჩაება, გახარებული კოცნიდა სამხედრო ფორმას. ბავშვობიდანვე თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, სწორედ ფიზიკურმა სიძლიერემ და ნებისყოფამ გადაარჩინა. მისი გამოჯანმრთელების პროცესი იმდენად სწრაფად მიდის, რომ ამერიკელი ექიმები გაოცებული არიან.

მიშა ოჯახშიც სამხედროა — დისციპლინა და წესრიგი უყვარს. სამსახურში გასვლის წინა დღეს სასმელს არ ეკარება. ამბობს, ბიჭებს ნაბახუსევი ვერ შევხვდებიო. სურს, ყოველთვის პირველი იყოს და ურთულესი დავალებები თვითონ შეასრულოს, რათა მაგალითი მისცეს ჯარისკაცებს“.



ერაყში, თანამებრძოლებთან ერთად

სწორედ ამიტომ აღმოჩნდა იმ სამხედრო ჯიპში, რომელიც ამა წლის 24 მაისს ბაღდადში დავალების შესასრულებლად მიდიოდა. ჯავშანმანქანა ხელნაკეთ ბომბზე აფეთქდა. აფეთქებისას ქართველი ოფიცერი ამერიკელ კოლეგას ესაუბრებოდა, — ის მიშას თავისი ცოლშვილის ფოტოს უჩვენებდა. ფეხის მძლავრი დარტყმით მიხეილმა კარის გახსნა და გარეთ გამოსვლა შეძლო. ფაქტობრივად, ამან გადაარჩინა.

ექსპერტების აზრით, ასეთ შემთხვევაში გადარჩენის შანსი მინიმალურია. ყოველი სატელეფონო საუბრისას მიხეილი დედას ეუბნება: „ხალხში ასე თქვი, მიშას უფალმა მოჰკიდა ხელი და ჯიპიდან გადმოიყვანა-თქო“...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ ქუთათელაძე მხედრული ფიცის მიღების დროს

მიხეილ ქუთათელაძე ჯერ ქუვეითსა და გერმანიაში გადაიყვანეს. ამჟამად კი ვაშინგტონში, სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობს. ახლობლებთან უფასო სატელეფონო საუბრებზე „წითელი ჯვარი“ ზრუნავს. მისი სულიერი მოძღვარი ვაშინგტონში მამა მიქაელია, მამა მიქაელის მეუღლე, „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ქეთი გაბუნია ყოველი ოპერაციის დროს მასთანაა, მასვე დაჰყავს ეკლესიაშიც. მიხეილი მას „მეორე დედას“ ეძახის.

როცა დაჭრილი ოფიცერი პრეზიდენტმა ბუშმა მოინახულა, მის კითხვაზე, რას ისურვებდა, მიხეილმა სთხოვა, — როცა ბატონი პრეზიდენტი ამერიკელი ხალხის წინაშე სიტყვით წარდგებოდა, მისი სახელით სამძიმარი ეთქვა დაღუპულთა ოჯახებისთვის. მისი სიტყვებით აღფრთოვანებულმა პრეზიდენტმა ლეიტენანტს უთხრა: „ბატონო მიხეილ, თქვენ ნამდვილი გმირი ხართ!“ მიხეილმა კი ჯორჯ ბუშს ქართული ღვინო „ხვანჭკარა“ მიართვა.

მიხეილი მოინახულეს კონდოლიზა რაისმა და დონალდ რამსფელდმა, ამერიკელმა გენერლებმა კი ძვირფასი საჩუქრით დააჯილდოეს და შეჰპირდნენ, რომ პატივი ექნება მათთან ერთად „თეთრ სახლს“ გადაუფრინოს.

მიხეილის თქმით, მისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ მიძღვნილი ხატებია.

ქალბატონი ნინო ქუთათელაძე უღრმეს მადლობას უცხადებს ყველას, ვინც ამ მძიმე წუთებში მათ გვერდითაა და ვინც მიხეილი ვაშინგტონში მოინახულა.

ქალბატონ ნინოს სურვილია, ეს შემთხვევა უკანასკნელი იყოს ქართულ სამხედრო ძალებში.

P. S. მიხეილი ამჟამად კვლავ ვაშინგტონში მკურნალობს. ოჯახის წევრები მას ოქტომბრის ბოლოსთვის ელოდებიან.

**მაკა შუკაკიძე**



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა მიშას სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა...

# სახალისო სტატისტიკა

● პირველი მუშკეტი, რომელიც ფრანგებმა გამოიგონეს, 7 კილოგრამს იწონიდა.

● 51 ბრძოლიდან, რომელიც მაიკლ ტაისონმა თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში ჩაატარა, 21 ნოკაუტით პირველივე რაუნდში დაამთავრა.

● ამერიკელები წელიწადში დაახლოებით 1500000000 საათს ხარჯავენ „ტეტრისის“ თამაში.

● მომღერალი ბიორკი ისლანდიელია და ამიტომ მას გვარი არ აქვს. სამაგიეროდ აქვს მამის სახელი — გუდმუნდსდოტირი.

● სტალინი და პროკოფიევი ერთ დღეს, 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალნენ.

● აშშ-ის პირველ პრეზიდენტს, ჯორჯ ვაშინგტონს ეზოში მარიხუანა მოჰყავდა.

● ბირმაში, თუ მოქალაქე დაურეგისტრირებელ კომპიუტერს ფლობს, შეიძლება 15 წლით ჩააყუდონ ვირის აბანოში.

● იტალიის ქალაქ სიენაში ქალებს, რომლებსაც სახელად ჰქვიოდათ — მარია, ეკრძალებოდათ პროსტიტუციით ლუკმაპურის შოვნა.

● ბიკფორდის ზონარი მუდმივი სიჩქარით (1 სმ/წმ) იწვის, რაც საშუალებას იძლევა მისი სიგრძის მიხედვით ნაღმის აფეთქების ზუსტი დრო დადგინდეს.

● სინამდვილეში სამუელ მორზეს მიერ შექმნილი ანბანი ძალიან ძნელი და მოუხერხებელი იყო, ხოლო ის ანბანი, რომელსაც ჩვენ მორზეს სახელს ვუკავშირებთ, გერმანელი და ავსტრიელი ინჟინრების ხანგრძლივი შრომის შედეგია.

● 1603 წლიდან იაპონიაში, იმპერატორის ბრძანებით ცურვა აუცილებელ სასკოლო საგნად აღიარეს.

● ჩინელებმა გემის საჭე ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე პირველ საუკუნეში გამოიგონეს. ევროპამდე ამ გამოგონებამ XIII საუკუნეში ჩააღწია. მანამდე გემებს გვერდითი ნიჩბებით აბრუნებდნენ.

● აშშ-ის პირველი დროშა და „ლევისის“ პირველი შარვალი კანაფის ქსოვილისგან იყო დამზადებული.

● 1477 წელს ინგლისის მეფე ედუარდ IV-მ აკრძალა კრიკეტის თამაში, რადგან ეს უკანასკნელი მშვილდის სროლაში ხელს უშლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტა რამ ქართული სპეცსამსახურებისა და შპიონაჟის ისტორიიდან

*შპიონაჟი ისეთივე უძველესი ხელობაა, როგორიც პროსტიტუცია, პოლიტიკა და ვაჭრობა. მათ ერთმანეთთან მხოლოდ ისტორიული სიძველე როდი აკავშირებთ. მიზნის მისაღწევად ყველა ხერხისა და მეთოდის, ადამიანური სისუსტეების — შიშის, სიხარბის, პატივმოყვარეობის, შურის და ა.შ. — გამოყენება და სიცრუის, როგორც საქმიანობის ძირითად იარაღად მომარჯვება, ამ ოთხი უძველესი პროფესიის მთავარი მახასიათებელია. შპიონაჟსა და ზემოთ ჩამოთვლილ მოქმედებათა მთელ კომპლექსს კი სპეციალური სამსახურები ახორციელებენ.*

სპეცსამსახურების შექმნა ადამიანთა თანაცხოვრების ორგანიზაციული ფორმის სახელმწიფოს წარმოქმნის პირველივე დღიდანვე გახდა გარდაუვალი — მმართველი რეჟიმისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა რეალური მდგომარეობის ზედმიწევნით კარგად ცოდნა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. მეტიც, სწორედ სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წინმსწრები ინფორმაციის მოპოვება და დროული რეაგირება იყო და არის ამა თუ იმ მმართველი რეჟიმის გადარჩენის საწინდარი.

განუზომელია შპიონაჟის მნიშვნელობა ომების დროს. ისტორიული წყაროები გვამცნობს, რომ ალექსანდრე მაკედონელი დიდი ლაშქრობების წინ მეომრებისა და სარდლების განწყობილების გასაგებად და ხელისუფლებით მათი უკმაყოფილების გამოსავლენად ხშირად მიმართავდა ერთ ეშმაკურ ხერხს, — ბრძოლის დაწყებამდე მათ ნებას რთავდა, რომ წერილები გაეგზავნათ სამშობლოში. მეომრების გულახდილი, ხშირად კი კრიტიკული წერილები ალექსანდრე მაკედონელის ბრძანებით იხსნებოდა და გულმოდგინედ მოწმდებოდა. ასე ადგენდნენ უკმაყოფილო მებრძოლების (მომავალში კი პოტენციური მოღალატეების) ვინაობასა და უკმაყოფილების მიზეზსაც. კორესპონდენციის გაკონტროლების ეს მეთოდი მომავალშიც ფართოდ გამოიყენებოდა მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით კი ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც კა-გე-ბეს სტრუქტურაში სპეციალური დანაყოფიც კი არსებობდა „პკ“-ის („პრელუსტრაცია კორესპონდენციი“) სახელწოდებით. ის ამოწმებდა აბსოლუტურად ყველა(!) უცხოურ (შიგადაშიგ ადგილობრივს), კორესპონდენციას, ხსნიდა საფოსტო გზავნილებს და კითხულობდა.



**დივერსიული აქტების ჩატარება ქართველ მზვერავებს არ უჭირდათ**

ქართველ მეფეებსაც ჰქონდათ სპეციალური მეთოდები შიდა და გარე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. დავით აღმაშენებელი იყო პირველი ქართველი მეფე, რომელმაც XII საუკუნის დასაწყისში შექმნა სპეცსამსახურის მსგავსი სტრუქტურა — „მსტოვართა (მზვერავთა) მრავალრიცხოვანი და მტკიცე ორგანიზაცია“ (ლევან სანიკიძე), რომელსაც მანდატურთუხუცესი (მეორენაირად სახლთუხუცესსაც უწოდებდნენ) ხელმძღვანელობდა. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, სიტყვით მსტოვრებს არაფერი დაემალებოდათ „არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირეთა საქმე ქმნილი, კეთილი, გინა სიტყვა ბოროტი თქმული“.

დავით აღმაშენებელმა „შექმნა და აამოქმედა სტრატეგიული დაზვერვა. ჩამოაყალიბა მტრის ძალების დაზვერვის სისტემა უშუალოდ ბრძოლის დაწყების წინ. მისი ტაქტიკური გეგმა ბრძოლაში ყოველთვის ითვალისწინებდა დაზვერვის ზუსტ მონაცემებს.

ბრძოლის წინ დავით მეფეს მსტოვრები დროულად აწვდიდნენ ცნობებს. ამიტომ მან ყოველთვის ზუსტად იცოდა მტრის ჯარების განლაგება და ბრძოლასაც ყოველივეს აწონ-დაწონის შემდეგ იწყებდა“ (გენერალი ირაკლი ჯორჯაძე). დავითი ხშირად და წარმატებით იყენებდა მომავალში სპეცსამსახურების ერთ-ერთ სერიოზულ იარაღს — დეზინფორმაციასა და მტრის შეცდომაში შეყვანას.

ამან დიდად შეუწყო ხელი როგორც გარეშე მტრის დამარცხებას, ასევე მოღალატე მთავართა მზაკვრობის გამოცნობასა და მათ დასჯას, ხოლო სამეფოში წესრიგის დამყარება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ძლიერების საწინდარი გახდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში სპეცსამსახურის (უპირველესად დაზვერვის) რამდენადმე ერთიანი სტრუქტურა მხოლოდ XVI საუკუნის მეორე ნახევარში (ივანე მრისხანეს მეფობის პერიოდში) შეიქმნა.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველომ თანდათან დაკარგა ადრინდელი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება. ყურადღება აღარ ექცეოდა მსტოვართა ინსტიტუტსაც. თუ რაოდენ იყო მოშლილი დიდი დავით მეფის მიერ შექმნილი სამხედრო დაზვერვა, მრავალიდან რამდენიმე ფაქტიც მეტყველებს.

თამარის შვილებმა — საქართველოს მომავალმა მეფეებმა, ლაშა-გიორგიმ და განსაკუთრებით რუსუდანმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს ის დიდი საფრთხე, რასაც საქართველოს საზღვრებთან ახალი დამპყრობლების — მონღოლების გამოჩენა მოასწავებდა. დაზვერვისადმი უდარდელმა და უგულისყურო დამოკიდებულებამ მალევე მოიტანა დამღუპველი შედეგები.

ახალი მტრის სამხედრო ძალაზე რეალური სადაზვერვო ინფორმაციის უქონლობის გამო ქართველებმა ვერ მოახდინეს სამხედრო ძალის სრული მობილიზაცია და იოლი გამარჯვების

იმედით შეებნენ ურიცხვ მტერს. სასწაული არ მოხდა და დავმარცხდით. ჯალალ-ედ-დინის სარდლობით მონღოლებმა თბილისი დაიკავეს და საქართველოს ძარცვა-ულეტას მიჰყვეს ხელი...

შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს პატარ-პატარა სამთავროებად დაშლამ „მსტოვართა ერთიანი ორგანიზაციის“ დაშლა-დაკნინებაც გამოიწვია. 1584 წელს, როდესაც ქართლს დასაპყრობად ოსმალოთა ოციათასიანი ჯარი მოადგა რეზვენ ფაშას სარდლობით, მტრის ბანაკში რომელიმე ქართველი მზვერავი („მსტოვარ-აეშაგი“ – სულხან-საბას განმარტებით) კი არ შეიპარა დასაზვერად, არამედ თავად მეფე. ვითომ „სვიმონ მეფის ელჩმა და მოციქულმა“ პირადად იტვირთა ეს მეტად სახიფათო მისია. მან რეზვენ ფაშასთან ერთად „მიიარმოიარა“ ბანაკი, ახლოდან შეათვალიერა მტერი და უკან მშვიდობით დაბრუნდა. ოსმალოთა მეომრებიდან ვინმეს რომ ეცნო სვიმონ მეფე, ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა. რამდენად გამართლებული იყო მეფის რისკი? მას ხომ შეეძლო მართლაცდა მსტოვარ-ელჩნი გაეგზავნა მოლაპარაკებებზე და მათ ცნობებს დაყრდნობოდა? მაგრამ საქართველოს ერთ-ერთი გონიერი მეფე გამოცდილ მსტოვართა ნაკლებობამ აიძულა უდიდეს რისკზე წასულიყო.

1625 წლის 1-ელ ივლისს მარაბდის ბრძოლის წაგების მთავარი მიზეზიც ქართველ მსტოვარ-მზვერავთა უსუსურობა იყო. მათ ვერ აღმოაჩინეს ქართველთა ჯარის ზურგში არტილერიითა და მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი სპარსელების დიდი დაჯგუფება, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში ზურგიდან დაარტყა ჩვენს ჯარს და ბრძოლის ბედიც სპარსელთა სასარგებლოდ გადაწყდა.



დღეს უკვე საკამათო აღარ არის, რომ ერეკლე II რამდენადაც დიდი მხედართმთავარი იყო, იმდენად სუსტი პოლიტიკოსი და სტრატეგი აღმოჩნდა. მას ურიცხვი ბრძოლები გადაუხდია და ხშირად წარმატებით გამოუყენებია სამხედრო დაზვერვა და დივერსიული მეთოდები. მაგალითად, ასპინძის ბრძოლის წინ, 1770 წელს, ერეკლე II-ის მიერ წარგზავნილმა მეომრებმა („დივერსანტებმა“ – დღევანდელი გაგებით) ღამით თურქი გუშაგები ერთიანად ამოწყვიტეს და მოდიდებულ მტკვარზე ასპინძის ხიდი აყარეს, რითაც მტრის მაშველ ძალას გზა მოუჭრეს.

ამასთან, ქართლ-კახეთის მეფეს არაერთხელ გამოეპარა სასახლის კარის ინტრიგები და „საქმე ქმნილი და სიტყვა თქმული ბოროტად“. ერთგული და გამოცდილი მსტოვრების არარსებობის გამო ერეკლე II ვერ აკონტროლებდა დარეჯან დედოფლის მოღალატე მრჩევლების ქმედებებს. საგარეო დაზვერვის, რომლის ფუნქციებსაც იმ დროს დიპლომატები, ვაჭრები და მოგზაურები ასრულებდნენ, უქონლობის გამო კი „პატარა კახმა“ ვერ ამოიცნო რუსეთის ნამდვილი გეგმები. შინააშლილობამ და ექვს უფლისწულს შორის სამეფო ტახტისთვის დაუნდობელმა ბრძოლამ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთს მშვენიერი საბაბი მისცა ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს გასაუქმებლად, შემდეგ კი მთლიანად საქართველოს დასაპყრობად.

მას შემდეგ საუკუნეები გავიდა, მაგრამ სპეცსამსახურების მიზნები და ამოცანები არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ მათი განხორციელების მატერიალური საშუალებები და ხერხები, მეთოდები კი უფრო დახვეწილი და დაუნდობელი გახდა. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა უფრო მობილური და შედეგიანი გახადა სპეცსამსახურების საქმიანობა და ამჟამად „ცოცხალ ჯაშუშებს“ ხშირად კოსმოსური თანამგზავრი-მზვერავები ცვლიან.

ერთია მხოლოდ უცვლელი: ის ზოგადსაკაცობრიობო და ადამიანური ღირე-ბულებები, რაც არც ფულზე იყიდება და არც ყავლი გასდის – პატიოსნება და სამშობლოსადმი თავდადება.

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

дальность – მანძილი, სიშორე
дальность безопасная – უსაფრთხო მანძილი
дальность видимости – ხილვადობის მანძილი
дальность действительной стрельбы – ქმედითი სროლის მანძილი
дальность перехвата – გზის გადაჭრის მანძილი
дальность прицельная – დამიზნების მანძილი
дальность прямого выстрела – პირდაპირი გასროლის მანძილი
дамба – ჯებირი
данные – მონაცემები
данные достоверные – სარწმუნო მონაცემები
данные исходные – ამოსავალი მონაცემები
данные недостоверные – არასარწმუნო მონაცემები
данные разведывательные – დაზვერვის მონაცემები
датчик – გადამწოდი
дача – მიცემა, გაცემა
дача показаний – ჩვენებათა მიცემა
двигатель – ძრავა
двигатель водяного охлаждения – წყლით საციებელი ძრავა
движение – მოძრაობა
двубортный – ორმხრივშესაკრავი, ორბორტიანი
двухствольный – ორლულიანი
дежурный – მორიგე
дежурный оперативный – ოპერატიული მორიგე
дежурный по караулам – ყარაულთა მორიგე
дежурство – მორიგეობა
дезертир – დეზერტირი
дезинфекция местности – ადგილმდებარეობის დეზინფექცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა გაეროს გასაკონტროლებლად

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია კოფი ანანის სატელეფონო საუბრების სპეცსამსახურების (უპირველესად, აშშ-ის, ინგლისისა და რუსეთის) მიერ მოსმენის შესახებ, მხოლოდ მიამიტისათვის არის გასაკვირი. ამ ფაქტში მოულოდნელი არაფერია. თუ გავითვალისწინებთ გაეროსა და მისი გენერალური მდივნის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ერაყში აშშ-დიდი ბრიტანეთის ერთობლივი სამხედრო ოპერაციის მიმართ. ასევე, მის შესაძლო კავშირს გაეროში წლების განმავლობაში დამკვიდრებულ კორუფციულ გარიგებებთან, რის გამოც ამ ორგანიზაციის რამდენიმე მაღალჩინოსანი დააპატიმრეს კიდეც. სხვა ჭრილშია განსახილველი ამ ფაქტის ზნეობრივი და პოლიტიკური მხარე, თუმცა, როგორც წესი, სპეცსამსახურები და მაღალი ზნეობა სხვადასხვა „წონით კატეგორიებში ასპარეზობენ“. გაეროს შექმნის დღიდანვე, „ცივი ომის“ პერიოდში, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაიწყო ფარული დაპირისპირება უპირველესი საერთაშორისო ორგანიზაციის პირველ პირზე გავლენის მოსაპოვებლად. საბჭოთა სპეცსამსახურების გარდა, ფარულ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდა ანდრეი გრომიკო, რომელიც ჯერ ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო 1957-85 წლებში მინისტრი იყო. გრომიკო საერთაშორისო მოლაპარაკებების დროს ისე გასაოცარი სიჯიუტით იცავდა კომუნისტურ იდეოლოგიას, რომ ამერიკელებმა მას „მისტერ არა“ შეარქვეს. სტალინის პირადი დავალებით საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები და საგარეო საქმეთა სამინისტრო მცდელობას არ აკლებდნენ, რათა გაეროს გენერალურ მდივნად მათთვის მისაღები კანდიდატურა გაეყვანათ. პირველად ხელი 1947-53 წლებში მოეცარათ, როცა პირველი გაეროს გენერალური მდივანი ნორვეგიელი ტრიუგვე ლი საბჭოთა გავლენის ქვეშ არ მოექცა და მაქსიმალურად ობიექტურ საერთაშორისო პოლიტიკას ატარებდა. უფრო დიდი წარუმატებლობა ელოდა საბჭოთა კავშირს შვედი დაგ ჰამერშალდის მოღვაწეობისას (1953-61), რადგან ნეიტრალური შვედეთის წარმომადგენელი პროამერიკულ განწყობილებას არც მალავდა. ამ წლებში საბჭოთა




კავშირისთვის დაგ ჰამერშალდი წყევლაკრულვის ობიექტი და კარიკატურისტების (უპირველესად ცნობილი სამეულის – „კუკრინიქსების“) დაცინვის მთავარი სამიზნე იყო.

არავინ იცის, გაეროს გენმდივანს საბჭოთა დიპლომატების წყევლამ უწია თუ კა-გე-ბეს კრულვამ, მაგრამ ფაქტია, რომ დაგ ჰამერშალდი 1961 წელს აფრიკაში მოგზაურობის დროს ფრიად საიდუმლო ვითარებაში, ავიაკატასტროფაში დაიღუპა. საბჭოთა კავშირი ამ ტრაგიკულ ფაქტს, თითქოს ელოდაო, გამოთავისუფლებულ პოსტზე დაუყოვნებლივ ბირმელი დიპლომატის, უ ტანის კანდიდატურის ლობირება დაიწყო.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, საბჭოთა კავშირი კარგად გათვლილი გეგმის მიხედვით მოქმედებდა, რაც მისთვის ყოველმხრივ მომგებიანი იყო. თავად განსაჯეთ:

იმ პერიოდში ე. წ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ზენიტში იყო, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, ამიტომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის – ბირმის (1989 წლის 18 ივნისიდან – მიანმა) წარმომადგენელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დიდი მხარდაჭერა ექნებოდა. გარდა ამისა, 1948 წლის 4 იანვარს დიდი ბრიტანეთის კოლონიამ დამოუკიდებლობა მიიღო თუ არა, უმალვე დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან და 1962 წლამდე საბჭოთა კავშირის „დიდი სოციალისტური“ მაგალითით ხელმძღვანელობდა და მის „ფორმულებს“ იყენებდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტისას.

საბჭოთა კავშირ-ბირმის ურთიერთობა განსაკუთრებით „დათბა“ ბირმის პრემიერ-მინისტრ უ ნუს მმართველობის დროს. უამრავი საბჭოთა სპეციალისტი მიავლინეს ბირმელთა დასახმარებლად და, ბუნებრივია, მათ შორის ბევრი სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო. უმეტესობა საბჭოთა საელჩოში განთავსებულ რეზიდენტურაში დიპლომატების სახელით მოქმედებდა. კა-გე-ბეს და გრუ-ს მთავარი კონკურენტი – აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ბირმაში დაზვერვის უფრო თანამედროვე მეთოდებს იყენებდა და მისი თანამშრომლები და აგენტურა მრავალრიცხოვანი ფირმებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების „ჩრდილქვეშ“ გაცილებით ლაღად გრძნობდნენ თავს. ასევე აქტიურად მოქმედებდა დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის დაზვერვაც. სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ოპერატიული დაინტერესება ბირმით ამ ქვეყანაში არსებული სტრატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიული მნიშვნელობის ნედლეულის დიდი მარაგის არსებობით იყო გამოწვეული (ნავთობის ყოველწლიური მოპოვება საშუალოდ ერთ მლრდ ტონას, ხოლო ბუნებრივი აირის 2 მლრდ კბმ-ს აღწევდა), მაგრამ ბირმის ყველაზე მნიშვნელოვანი „პროდუქცია“ მაშინ და ამჟამადაც ოპიუმი იყო (მისი ნედლეულის ექსპორტი წელიწადში საშუალოდ 2,5 ათას ტონას შეადგენდა).

ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ უ ტანი ჯერ კიდევ სამშობლოში მოღვაწეობის დროს მოექცა საბჭოთა სპეცსამსახურების (უპირველესად კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს მე-17 ტერიტორიული განყოფილების, რომელიც ინდოეთზე, პაკისტანზე, ბირმაზე და სხვ. მუშაობდა) თვალთახედვის არეში და ახალგაზრდა იმედისმომცემი ისტორიკოსის ოპერატიული დამუშავებაც 1940-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. სავარაუდოა, რომ ამ ოპერაციაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ახალგაზრდა საბჭოთა „დიპლომატმა“, სინამდვილეში კი კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს (დაზვერვა) ოპერთანამშრომელმა იური პოპოვმა ითამაშა. უ ტანის ოპერატიული შესაძლებლობები განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა, როცა ის ბირმის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტზე დაინიშნა. იური პოპოვი (1923-94წ.წ.) ბირმაში მუშაობის პერიოდში (1954-58წ.წ.) უ ტანის კურატორი იყო. მივლინების დამთავრების შემდეგ პოპოვმა უ ტანი სხვა ოპერატიულ თანამშრომელს „გადააბარა“. ამერიკული წყაროების აზრით, ეს ვიქტორ ლესოვსკი იყო – კა-გე-ბეს ოფიცერი, გავლენიანი აგენტების გადმობირებისა და მათთან მუშაობის დიდოსტატი.

27750

საბჭოთა კავშირის წყალობით უ ტანმა დიდ წარმატებას მიაღწია – 1961 წელს ჯერ გაეროს გენმდივნის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო ერთ წელიწადში კი გენმდივნად აირჩიეს. ნიუ-იორკში, გაეროს ოფისში გადასვლისთანავე უ ტანმა თავის ერთ-ერთ პირად მრჩევლად ვიქტორ ლესოვსკი დანიშნა. ამის შემდეგ კა-გე-ბეს საერთაშორისო პროცესების ფარულად მართვისა და აშშ-ის შიდაპოლიტიკურ მოვლენებში აქტიურად ჩარევის უნიკალური შანსი მიეცა.

აშშ-ის ეფ-ბი-აის გარეთვალთვალის ჯგუფებმა რამდენიმეჯერ დააფიქსირეს ლესოვსკის შეხვედრები აშშ-ის კომუნისტური პარტიის ნაციონალური კომიტეტის საიდუმლო წევრთან, სტენლი ლიუსონთან, რომელიც თავის მხრივ ზანგთა უფლებების სახელგანთქმული დამცველის, მარტინ ლიუთერ კინგის ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი და მასობრივი მიტინგების ორგანიზატორი იყო.

ამ ფაქტებით აშკარა ხდება, რომ კა-გე-ბეს ძალზე მნიშვნელოვანი ოპერატიული პოზიციები ჰქონდა დაკავებული აშშ-ის რადიკალურ ოპოზიციაში.

უ ტანი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან. მასთან „მეგობრობა“ ყველაზე მეტად იური პოპოვს დაუფასდა, რომელიც ბირმაში წარმატებით მუშაობის მერე ჯერ უფროს ოპერთანამშრომლად გადაიყვანეს იაპონიაში, ხოლო 1969-73 წ.წ. რეზიდენტად დანიშნეს. იური ანდროპოვის მიერ საბჭოთა დაზვერვის რეორგანიზაციის შემდეგ პოპოვი უფრო დაწინაურდა – 1973-89 წლებში მან კა-გე-ბეს საგარეო დაზვერვის უფროსის მოადგილის ძალზე მნიშვნელოვანი პოსტი დაიკავა.

მრავალი წლის შემდეგ უკვე პენსიონერი ანდრეი გრომიკო 1990 წელს გამოცემულ მემუარებში გაეროს გენმდივნების დახასიათებისას განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს უ ტანს და მის ათწლიან საქმიანობას ამ პოსტზე. გრომიკოს აზრით, უ ტანი იყო ფრთხილი, ევროპული მანერების მქონე დიპლომატი, რომელიც ინგლისურ ყაიდაზე ცხოვრობდა და ძალზე ობიექტურად ხელმძღვანელობდა გაეროს.

უ ტანი ავადმყოფობის გამო 1971 წელს გადადგა თანამდებობიდან და სამ წელიწადში გარდაიცვალა. ვინ იყო ის? საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტი-ინფორმატორი, რომელიც შეგნებულად აწვდიდა მათ სრულიად საიდუმლო სახის ინფორმაციას, თუ საბჭოთა მხრიდან მართული გავლენის აგენტი, რომელიც მისდა უნებურად ატარებდა პროსაბჭოურ პოლიტიკას?

ამ კითხვებზე ზუსტი პასუხი რუსეთის სპეცსამსახურების არქივების „ცხრაკლიტულში“ ინახება და ამიტომ საეჭვოა, უახლოეს მომავალში სიმართლე გავიგოთ.

დღევანდელი გენმდივნის, კოფი ანანის თავზე კი შავი ღრუბლები სულ უფრო მატულობს და საეჭვოა, მან პოსტი კიდევ დიდხანს შეინარჩუნოს. აშშ და მისი მოკავშირეები არც მალავენ, რომ გაეროს სახელმძღვანელო პოსტზე ისეთი პირის ხილვა სურთ, რომელიც უფრო აქტიურად ჩაებმება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. სავარაუდოდ, კანდიდატურაც შერჩეული ჰყავთ. ბოლო ორი წელია, რაც ძალზე მაღალი დონის რეკლამირებას უწევენ აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონს – ის ამჟამინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშიუმცროსის თხოვნით ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში და კვლავ მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრშია. თუმცა საეჭვოა, გაეროს გენერალური მდივნის პოსტი ოდესმე დაიკავოს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნის მოქალაქემ.

გაეროს დღევანდელი მუშაობის პასიური სტილისადმი სავსებით საფუძვლიანი პრეტენზიები საქართველოს ხელისუფლებასაც უნდა ჰქონდეს, რადგან გაეროს სამშვიდობო მისია აფხაზეთში უკვე თორმეტი წელია არსებობს (და არა მოქმედებს!), მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ნულოვანი ნიშნულიდან იოტისოდენაც კი არ დაძრულა კონფლიქტის მოგვარებისა და დევნილთა დაბრუნების საკითხები. ექვს-ექვსი თვით გაეროს მანდატის გაგრძელება მხოლოდ კონფლიქტის დაკონსერვებას იწვევს და აფხაზი "სეპარატისტებისა და მათი ჩრდილოელი „პატრონების“ წისქვილზე ასხამს წყალს. ამიტომ ჩვენც მოუთმენლად ველით გაეროს ახალ გენერალურ მდივანს.

ბესიკ ალადაშვილი



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გააზნაურებული მდაბიო“



## როგორ გადაიქცა საარმიო „მაუზერი“ ელიტურ სანადირო კარაბინად

„მაუზერ 98K“ ჩვეულებრივ საჯარისო იარაღად ითვლებოდა, მაგრამ იერი კი გამორჩეული ჰქონდა – ლულაზე ოპტიკური სამიზნესთვის განკუთვნილი კუთხვილიანი ჩასასმელი ადგილები იყო დატოვებული. ვერმახტის ეს ლეგენდარული იარაღი თავისი მრისხანე იერით პატივისცემას იმსახურებს, მით უმეტეს, რომ „მაუზერი“ მართლაც სნაიპერული თოფია, ნორმალური ვაზნებითა და ოპტიკური სამიზნით საშუალო კვალიფიკაციის მსროლელს შეუძლია 100 მეტრის მანძილზე, 24-მილიმეტრიან წრეში ტყვიები ერთმანეთის მიჯრით ჩააჭედოს.

„მაუზერი“ ვერმახტის ზეობის ხანაშია შექმნილი და ფორმაც დროის შესაფერისი აქვს – პირქუში და მკაცრი. თანამედროვე დიზაინერებს არცთუ ცოტა შრომა დასჭირდათ კარაბინის გასალამაზებლად. ირანული კაკლის ხის ძვალივით მკვრივმა კონდახმა, მხატვრის მონადირულმა ალღომ, ნატიფმა გემოვნებამ სიპირქუშე და მრისხანება გაუქრო და ახლა კარაბინი მართლაც რომ „არისტოკრატად“ აქცია.

ვისაც „მაუზერის“ მსგავსი ტიპის იუგოსლავური, გერმანული, ჩეხური, არგენტინული და არაბული იარაღი გაუსინჯავს, აუცილებლად მოიხიბლებოდა 98K-ს ბოლო მოდიფიკაციით.

98K მოდელის ლულას საფეხურების ფორმა აქვს. მისი ერთი ნაწილი ოდნავ თხელია. ამ გარემოებას შეეძლო კლასიკური სამიზნეს დამონტაჟებისას პრობლემები შეექმნა, რადგან ის კუთხვილის მიხრახვნით მაგრდება ლულაზე და არა დაწნეხით, როგორც ორიგინალზეა. ერთი სიტყვით, სამიზნეს დასაყენებლად კარაბინის ლულას სისქე არ ეყოფოდა, ამიტომ კონსტრუქტორებმა ორიგინალურ ხერხს მიმართეს – ლულის წვერო გაჩარხეს და მასზე ცხელი დაწნეხის მეთოდით ჩამოაცვეს ერთმილიმეტრიანი რგოლი, რომელზეც თავისუფლად დამაგრდა სამიზნე. შემდეგ ლულა მეორე მუხლამდე გაიჩარხა. მეორე მუხლის პრობლემაც იოლად მოგვარდა – საქმე ის არის, რომ მაღალი კლასის კარაბინებზე, რომლებიც უმთავრესად ხელით კეთდება, მთელი მსოფლიოს მეიარაღეები ანტაბაკს არა კონდახის ბოლოზე, არამედ საგანგებო ქუროს მეშვეობით პირდაპირ ლულაზე ამაგრებენ.

კონსტრუქტორებს პრობლემად ექცა რეგულირებადი სამიზნე თამასაც, რომელიც 100-დან 200 მეტრამდე მანძილს აჩვენებდა და სამხედრო კარაბინისთვის სავსებით გამოსადეგი იყო, სამაგიეროდ, ელიტური იარაღისთვის არ ვარგოდა. გერმანული ხელოსნების კეთილსინდისიერად მიდუღებული სამიზნე თამასის მოხსნა არც ისე იოლი გამოდგა, მაგრამ ლულის დაუზიანებლად მაინც მოხერხდა. შეირჩა ღია სამიზნე მოწყობილობების კლასიკური ვარიანტი, ოღონდ სამიზნეს ფლუორესცენციული წითელი პლასტიკი ჰქონდა ჩადგმული.

სამიზნესა და თამასის ფუძე ლულაზე საგანგებო კუთხვილიანი სარჭებითა და ქანჩებით მიმაგრდა. ყველა ეს დეტალი დაფიქსირდა სპეციალური ნივთიერებით, რომელმაც კონსტრუქცია მონოლითად აქცია.

ადრინდელ სამიზნეს ჰორიზონტალურად გადაადგილება შეეძლო. სამიზნე წერტილი ჩაწნეხილი იყო ლულის წვერზე. ღია სამიზნე საშუალებებს ვერტიკალურად რეგულირების შესაძლებლობა არ ჰქონდა. სამიზნე თამასის ოპტიმალური სიმაღლე იოლი დასადგენია 100 მეტრზე საცდელი სროლებით, რის შემდეგაც შეიძლება სამიზნეს სამუდამოდ მიმაგრება ლულაზე.

რაც შეეხება ოპტიკური სამიზნის მისამაგრებელ კრონშტეინს, მისი შექმნა ორმა მოთხოვნამ განაპირობა: 1. მაქსიმალურად დაბალმა დაჭირხვნამ; 2. მოხსნის ნელმა ტემპმა, რაც ავსტრიული წარმოების ოპტიკურ სამიზნეს – KAHLTES-1.5-6X42-ს ახასიათებს. სწორედ ამ ოპტიკური სამიზნეთია აღჭურვილი „მაუზერ-98K“.

როცა მსროლელის ცნობიერებაში იხატება იგივე მოცულობითი სურათი, რომელსაც ის ჩვეულებრივ ხედავს, პანკრატული (ცვლადი ჯერადობის) სამიზნეები ქვედა ზღვრის მცირე ცვლილების წყალობით მსროლელს ბინოკულარული დამიზნების საუკეთესო საშუალებას აძლევს. რა ხდება მინიმალური ჯერადობის ოპტიკური მოწყობილობის დამიზნებისას? მსროლელი მარჯვენა თვალის მიზნის მიმართულებით ოპტიკის საშუალებით იცქირება, ამავე დროს არ ხუჭავს მარცხენა თვალს, როგორც ეს ადრე იყო მიღებული. დანახული სურათი არა ბრტყელი, ორგანზომილებიანი, არამედ მოცულობითია (სამგანზომილებიანი).

ოპტიკის მეშვეობით ასეთი უმნიშვნელო გადიდების მიუხედავად, გამოსახულების მასშტაბებს შორის განსხვავება, რომელიც ტვინს მარცხენა და მარჯვენა თვალებისაგან სხვადასხვანაირად მიეწოდება, თითქმის არ იგრძნობა. გარდა ამისა, ოპტიკური სამიზნეთი მიზნის მოძებნა ისეთივე სისწრაფით ხდება, როგორც ღია სამიზნეთი.

რაც მთავარია, მსროლელს სამი ელემენტის – მიზანზე სასიკვდილო ადგილის მოძებნა, სამიზნე წერტილი და სამიზნე თამასის ნაჭდევების – შესათავსებლად დროის დახარჯვა არ სჭირდება. ის იოლად და დაუბრკოლებლად შეათავსებს მხოლოდ ორ ელემენტს, – მიზანს

და სამიზნეს, რაც რაღა თქმა უნდა, განაპირობებს ზუსტ გასროლას. ოპტიკურ სამიზნეებს აქვთ დიოპტრიული მარეგულირებლები, რაც სროლას უადვილებს მათ, ვისაც მხედველობის პრობლემები აქვთ. თვალის სიმახვილე არ იკარგება, მიუხედავად იმისა, რომ ცალი თვალის დახუჭვისას მეორე თვალის სიმახვილე ორჯერ იკლებს.



კვლავ „მაუზერ 98K"-ს მოდერნიზაციას დავუბრუნდეთ. ამჯერად საკეტის სახელურის რიგი დადგა, რომელიც ყოველგვარი სინანულის გარეშე მოჭრეს. სამაგიეროდ, საკეტს ახალი სახელური დაუყენეს — უფრო გრძელი, ქვემოთ დახრილი და კაკლის ხის ბურთულით დაბოლოებული. ასეთი სახელურით მუშაობა განსაკუთრებით სწრაფად სროლის დროს არის მოსახერხებელი, არც თითები დაგეზრობათ ყინვის დროს. რაც შეეხება თვად საკეტს, ის გაიჩარხა, გაპრიალდა და მოპირკეთდა.

საკეტის ბედი გაიზიარა სასხლეტმაც. მისი ადგილი დაიკავა ამერიკულმა დამცემ-სასხლეტმა მექანიზმმა, რომელსაც მინიმალური შუალედური სვლა და „ყრუ" დაცემა აქვს. ეს მექანიზმი საგანგებოდ 98-ე მოდელისთვის შეიქმნა.

დასასრულ — კონდახი. ირანული კაკლისგან გამოთლილი კონდახის სიმკვრივე სპილოს ძვლისას არ ჩამოუვარდება. აქვს ე.წ. „მონტე კარლოს" გვერდების ფორმა, კონდახის ბოლოს „ტიტა" აგვირგვინებს. კონდახის ყელს აქვს დამრეცი ქვედა შვერილი, ხოლო მისი ზედაპირი ადამიანის ხელისგულს იმეორებს — ანუ კონდახის ყელის ჩაღრმავებები ხელისგულის გამობერილ ნაწილებს შეესაბამება და პირიქით. ასეთი კონდახის ყელის დამზადება ერთობ რთულია და დიდ დროს მოითხოვს. გარდა ამისა, „მაუზერის" სერიული კარაბინების კონდახებთან შედარებით იგი სავსებით ასიმეტრიული გამოვიდა.

კონდახის ასეთ ყელს გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ ორთოპედიული. გარდა ამისა, ყელის ქვედა შვერილზე მიმაგრებულია გამძლე ხის როზეტი, რომელმაც სიმტკიცე შემატა მას და ბზარებისა და ჩამონატეხებისაგან დაიცვა კონდახი. მართალია, იარაღის ამ ნაწილზე საკმაოზე მეტი შრომა დაიხარჯა, სამაგიეროდ მტკიცე, გამძლე, ლამაზი და მოხერხებული კონდახის ყელი მივიღეთ. ამაში თვითონაც დარწმუნდებით, თუკი ხელში მოდერნიზებულ „მაუზერ 98K"-ს აიღებთ. ასეთი კონდახის ყელი, პრაქტიკულად, ყველა მონადირეს მოერგო, განურჩევლად ხელისგულის ფორმისა და ზომისა, რაც იშვიათობაა.

რაც შეეხება ნაჭდევებს კონდახის ყელზე, მათ მაქსიმალური ფართობი უკავია და იმ ადგილებზეა დატანილი, სადაც მონადირე ყველაზე ხშირად ეხება. ყველაზე პრაქტიკულია ნაჭდევები, რომელსაც „ზვიგენის ტყავს" უწოდებენ. მისი გაკეთება რბილი ხის მერქანზე არ შეიძლება, ირანული კაკალი კი „ზვიგენის ტყავისთვის" ზედგამოჭრილია.

როცა იარაღის ახალმა ვარიანტმა საბოლოო სახე მიიღო, ვერც ერთმა მონადირემ ვერ დაიჯერა, რომ ეს იყო ვერმახტული 98K „მაუზერი".

გავიდა დრო და ახალი „მაუზერ 98K"-ის მფლობელი ბედმა ხეზე კვეთის ოსტატს შეახვედრა და ამას იარაღის იერის შეცვლა მოჰყვა — ნაჭდევების ადგილას მუხის ფოთლები და რკო ამოიკვეთა, კონდახის მარჯვენა, არასამუშაო ნაწილზე კი დათვის ცხენირემზე ნადირობის სცენა. ყელის შვერილს დათვის ხახადღებული თავი ამშვენებდა. ასეთივე დათვის თავმა, ოღონდ უფრო მოზრდილმა შეცვალა „ტიტა". შეიცვალა საკეტის სახელურის ფორმაც, — ოსტატმა მის ნაცვლად დათვის თათი გამოკვეთა.

მოგვიანებით, იარაღი კიდევ უფრო გაალამაზა გრავირებამ — გრავიორმა თოფის მეტალის ნაწილები ოქროცურვილი ინკრუსტაციითა და ნატიფი გრავირებით დაამშვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა სპეცდანაყოფის მიერ ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავის შეპყრობის ისტორია

1956 წელს ადმირალ ნიკოლოზ ვინოგრადოვს ერთი სპეცქვედანაყოფის შექმნის იდეა დაებადა. საბჭოთა ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის შემოწმების მიზნით, ფორმირება წყალზედა და წყალქვეშა ხომალდების სასწავლო დაკავების ოპერაციებს ჩაატარებდა. ქვედანაყოფის დისლოკაციის ადგილად სევასტოპოლის ყურე ომეგა შეარჩიეს და ჯგუფსაც იგივე სახელი დაარქვეს.

ქვედანაყოფში ოთხივე საბჭოთა ფლოტიდან ჭიდაობაში, კრივში, ცურვასა და ნიჩბოსნობაში 400-მდე სპორტის ოსტატი და კანდიდატი გაერთიანდა. სევასტოპოლელებმა მაშინ „ომეგა“ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპორტულ ნაწილად მიიჩნიეს, რომელიც მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებოდა. ყველა „ომეგელს“ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების სპორტული ფორმა დაურიგდა, თუმცა, მისი ტარება რეკომენდებული არ იყო.

დაიწყო მომზადება. საკლასო ოთახებს ფანჯრები არ ჰქონდა, ხოლო კედლებსა და ჭერზე ხმის საიზოლაციო მასალა იყო აკრული. ლექციების შემდეგ კონსპექტები აუცილებლად მერხებზე რჩებოდა, რომლებსაც პედაგოგები აგროვებდნენ და სეიფში ინახავდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ამერიკის ფლოტის დეტალურ შესწავლას, ხომალდებსა და წყალქვეშა ნავებში უმოკლესი გზით გადაადგილებას და ერთი შეხედვით ისეთ უმნიშვნელო წვრილმანებს, როგორიც არის ტრაპების განლაგება, ლიუკები, კარის საკეტების ტიპები და ა.შ.. სასწავლო თვალსაჩინოებად გამოიყენებოდა უცხოური საბრძოლო მცურავი საშუალებების შემთხვევით გადაღებული ფოტოები.

მომზადების ბოლო ეტაპზე 160 საუკეთესო ოფიცერი შეარჩიეს და სწავლების დამთავრების შემდეგ ქვედანაყოფის მეთაურმა, ადმირალმა ვინოგრადოვმა ფორმირება ოთხ ჯგუფად დაყო. პირველი — წყნარი ოკეანის, მეორე — ჩრდილოეთის, მესამე — ბალტიის, მეოთხე კი შავი ზღვის ფლოტსა და კასპიის ფლოტილიაში გაიგზავნა. მომდევნო წელს რაზმმა, სადაც წარმოშობით ქართველი, ქ. სოჭში დაბადებული ბ.ა. (სახელსა და გვარს გასაგები მიზეზების გამო ვერ გამოვაქვეყნებთ, ვინაიდან ბატონი ბ.ა. დღესაც ცოცხალია და ეს მასალა მის მონათხრობზე დაყრდნობით დაიწერა) მსახურობდა, სწავლებისას სამი წყალქვეშა ნავი, სარაკეტო და სატორპედო კატარღები, ორი საესკადრო ნაღმოსანი და კრეისერი ჩაიგდო ხელთ.

1958 წელს ოცდაათი „ომეგელი“ (მათ შორის, ბ.ა.-ც) პოდოლსკის რაიონში მდებარე სამხედრო ბაზაში გამოიძახეს. შენობაში, სადაც დავალება გააცნეს, საზღვაო ქვეითები იცავდნენ. როგორც აუხსნეს, დაურიგდებოდათ დასავლეთ გერმანიის მოქალაქეთა პასპორტები და საზღვარგარეთის სპეცსამსახურების ყურადღება რომ არ მიეპყროთ, ცალ-ცალკე იმგზავრებდნენ. მოგზაურობა ინდივიდუალური მარშრუტით გაგრძელდებოდა, მანამ, სანამ მეკავშირეებისაგან დათქმულ დროსა და ადგილზე შეხვედრის მითითებას არ მიიღებდნენ. რა აქცია იგეგმებოდა, ან რა დავალება უნდა შეესრულებინათ უცხო ქვეყანაში, ყველასთვის უცნობი დარჩა.

ბ.ა.: დაწვრილებით შევისწავლე ჩემი ბავარიელი არისტოკრატის „ლეგენდა“ და ფულიც მივიღე, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, საკუთარი თავის ნამდვილ არიელად წარმოდგენის საშუალებას მაძლევდა. ჩემი მოგზაურობა გერმანიიდან დაიწყო. ამას მოჰყვა უამრავი გადაჯდომ-გადმოჯდომა აეროპორტებში, სამგზავრო ბორნებსა და გემებზე. გადავკვეთე მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ბოლოს ფიჯის კუნძულების დედაქალაქში — სუვაში აღმოვჩნდი. მუდმივი ფიზიკური დატვირთვისა და ნერვიული დაძაბულობის ქვეშ მყოფი მეზღვაურისთვის ზღვა, მზე და პალმები ნამდვილი სამოთხე გამოდგა. მალე მეკავშირემ შეტყობინება გადმომცა — ამჯერად ჰავაის არქიპელაგის კუნძულ ოაჰუზე უნდა ჩავსულიყავი. იქ მოიყრიდნენ თავს ჯგუფის დანარჩენი წევრებიც. კუნძულზე ჯგუფის მეთაური — I რანგის კაპიტანი ანტონ პრიხოდკო გველოდა.

პრიხოდკო თითოეულ ჩვენგანს ცალცალკე ესაუბრა. შემდეგ ივლისის ერთ ბნელ ღამეს მთელი ჯგუფი პლაჟზე შეგვკრიბა, აკვალანგები გადმოგვცა და ყურეში რეიდზე მდგომი ამერიკული წყალქვეშა ნავის აყვანა გვიბრძანა. ნავამდე ზღვის გადალახვაში აკუმულატორებზე მომუშავე, სწრაფმავალი და უხმო წყალქვეშა ბუქსირები დაგვეხმარებოდა.

ჯგუფი ოთხ ქვეჯგუფად დაიყო და თითოეულს თავისი ბუქსირი გამოეყო. პირველი „ომეგელი“ ხელებით ბუქსირზე, ხოლო ყოველი მომდევნო წინა მოცურავის წვივზე იყო ჩაჭიდებული. სიბნელეში საერთო ჯაჭვიდან ამოვარდნა დაღუპვას ნიშნავდა. საბედნიეროდ, ყველამ მივაღწიეთ წყალქვეშა ნავთან და მის გარშემო განვთავსდით. ჩვენი კაპიტნის ინფორმაციით, მიმდინარეობდა ნავის სავალი ნაწილის გამოცდა, ამიტომ ბორტზე მხოლოდ გემთსაშენი ქარხნის წარმომადგენლები იქნებოდნენ და არა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სრულშემადგენლობიანი ეკიპაჟი. ბირთვული რეაქტორი ჯერ კიდევ ჩაუტვირთავი იყო და დიზელის დანადგართან ერთად, ნავს ენერგიით აკუმულატორის ბატარეები უზრუნველყოფდა, რომლებიც რაოდენობრივად საჭიროზე ორჯერ მეტი იყო, ალბათ, ბალასტის შესავსებად.

შპიგატებზე (ნახვრეტები, საიდანაც ნავის კორპუსიდან წყალი გადმოედინება) ჩავეჭიდეთ და ნავის გემბანზე ავბობღდით. სავალი ხიდურის ბოგურაზე უხმაუროდ „გავთიშეთ“ მევახტე და კიდევ ორი კაცი. ბოგურის ლიუკებიდან შევაღწიეთ ცენტრალურ პოსტში და შე-



ველი ხელებით დაუნდობელი „ჩეხა“ დავიწყეთ. ორი წამის შემდეგ ყველა ამერიკელი უგონოდ ეგდო. სულ 19 კაცი დავთვალეთ. შტურმანის მაგიდაზე დრო 23 საათსა და 16 წუთს უჩვენებდა. ოპერაციას წუთზე ნაკლები დასჭირდა. ნავზე 80-120-კაციანი საბრძოლო ეკიპაჟი რომ ყოფილიყო, მაშინ ნამდვილად გაგვიჭირდებოდა...

ეკიპაჟი ცხვირისა და კიჩოს სატორპედო ნაკვეთურებში (ტორპედოები ბორტზე არ აღმოჩნდა) გადავათრიეთ, დავხურეთ ლიუკები და საშტურმანო ბოგურაში ხელსაწყოების გასაცნობად შევედით. თავიდან ყველაფერი უჩვეულო გვეჩვენა — სიჩქარის, წამყვანი ხრახნის, სიღრმის მაჩვენებლები; იდგა საბორტო კომპიუტერიც — ის, რაც ჩვენს ნავებზე არასოდეს გვენახა. განსაკუთრებით გაგვაოცა ჰიდროაკუსტიკურმა ხელსაწყოებმა — ამისათვის ერთი ამერიკელის მოყვანაც კი დაგვჭირდა, რომ აეხსნა, რა რისთვის იყო საჭირო. საბედნიეროდ, ყველაფერს მალე ავუღეთ ალღო, მაგრამ სეიფის გახსნა ვერ შევძელით. არადა, იქ ინახებოდა სასიგნალო წიგნი სანაპირო პოსტებთან სალაპარაკო კოდებითა და პაროლებით.

სანამ რეიდიდან მოვიხსნებოდით, ერთი ამერიკელი ზევით ამოვიყვანეთ და ნავსადგურიდან გასასვლელის ჩვენება მოვთხოვეთ. მეთაურმა კარგად იცოდა ინგლისური და ამიტომ ამერიკელთან ურთიერთობის პრობლემა არ შეგვქმნია. ჩვენ კი ოპერაციის დროს ერთმანეთში გერმანულად ვსაუბრობდით იმ ბავარიული აქცენტით, რომელიც საფუძვლიანად შეგვასწავლეს. ის ამერიკელი კი გავუშვით, უბრალოდ, გაქცევის საშუალება მივეცით იმ იმედით, რომ ცურვით ნაპირამდე მიაღწევდა და „გერმანელების“ მიერ გატაცებულ წყალქვეშა ნავზე მოჰყვებოდა.

ჩვენ ყურის გასასვლელისკენ გავცურეთ. ბონების გამხსნელმა საბუქსირე კატარღამ პაროლი მოგვთხოვა. საპასუხოდ ჩვენმა მეთაურმა კატარღისკენ სასიგნალო ფარანი მიმართა და მორზეთი რომელიღაც ამერიკული ანეკდოტის დაბოლოება გადასცა. კატარღაზე დაიბნენ, ჩვენ კი სრული სიჩქარე განვავითარეთ და მოფიქრებისათვის დრო არ დავუტოვეთ. რამდენიმე წამის შემდეგ მათ გაბედეს და გასასვლელი გაათავისუფლეს.

ჩაყვინთვის გარეშე სრული სიჩქარით კურსი „ღრიალა ორმოციანებისაკენ“, მუდმივი შტორმების გამო ამგვარად მონათლული მეორმოცე პარალელისაკენ ავიღეთ, რათა ამერიკელებს იქ ვეძებნეთ. შუა გზაში ჩავყვინთეთ და კურსი 180 გრადუსით შევცვალეთ — ხოკაიდოსა და ხონსიუს კუნძულებს შორის ცუგარუს სრუტისკენ, იქიდან კი ვლადივოსტოკისაკენ გავცურეთ. ნავი ცოცხალი ბალასტით კუნძულ რუსკიზე დავტოვეთ და მისი შემდგომი ბედი ჩემთვის უცნობია. რაც მთავარია, დავალება შევასრულეთ.

მოგვიანებით ჩვენი ჯგუფი შეკრიბეს, მადლობა გამოუცხადეს და თითოეულს საცხოვრებელი ადგილისა და სამსახურის შერჩევის საშუალება მოგვცეს. თან ინფორმაციის გაუვრცელებლობის პირობა ჩამოგვართვეს. ასე დასრულდა ოცდაათი „ომეგელისათვის“ ფლოტში სამსახური. მას შემდეგ თითქმის არავის შევხვედრივარ და არც არაფერი ვიცი მათზე. ახლა უკვე გავიდა ის ვადა, რაც საიდუმლოს შენახვისთვის იყო საჭირო, თუმცა ჩემი ახლობლებიდან მხოლოდ რამდენიმემ იცის, რა საქმიანობას ვეწეოდი ახალგაზრდობაში. სწორედ ამიტომ არ მინდა ვინაობის გამხელა, რადგან გაუთავებელი გამოკითხვების თავი არ მაქვს...

ბატონმა ბ.ა.-მ მოგვიანებით შეიტყო, რომ ჩვენმა მეცნიერებმა წყალქვეშა ნავი ერთიანად დაშალეს და მისი ჩუმი სვლის საიდუმლოებაც ამოხსნეს. საბჭოთა წყალქვეშა ნავებს რადარები რამდენიმე მილში (1 საზღვაო მილი 1852 მეტრის ტოლია) პოულობდა, როცა ამერიკული ნავების აღმოჩენა მხოლოდ 100-200 მეტრში შეიძლებოდა. გაირკვა სხვა საიდუმლოებებიც. მეცნიერებმა ორ წელიწადში დაამუშავეს მოპოვებული მასალა, შეადგინეს ნახაზები და საბჭოთა ნავების მახასიათებლები მოულოდნელად გაიზარდა. ამერიკის დაზვერვა გერმანიასა და მოკავშირე ქვეყნებში წყალქვეშა ნავს უშედეგოდ ეძებდა, გერმანია-აშშ-ის ურთიერთობებიც გაცივდა. პრესაში ამ ოპერაციის შესახებ არაფერი თქმულა.


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოძველებული, მაგრამ მაინც ეფექტიანი

## საზენიტო კომპლექსი ЗСУ-23-4 Шилка

50-იანი წლების დამლევს, როცა საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში ზეზუსტი საზენიტო რაკეტები მიიღო, უცხოელ საავიაციო სპეციალისტებს სასწრაფოდ მოუხდათ ახალი საფრენოსნო ტაქტიკის შემუშავება. პილოტებს მიუთითეს, რომ დაბალ, ზღვრულ სიმაღლეზე ეფრინათ, რათა თავიდან აეცილებინათ ახალი ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებების მუქარა. ამ დროისთვის ჰაერსაწინააღმდეგო ჯარების შეიარაღებაში ЗСУ-57-ის მოდიფიცირებული ვარიანტი იყო, თუმცა ის თავს ველარ გაართმევდა ახალ ამოცანას და ამიტომ სასწრაფოდ საჭირო შეიქნა უფრო თანამედროვე საზენიტო თვითმავალი საშუალებების დამუშავება. ასეთი მანქანა 1964 წელს გამოჩნდა, – ეს იყო ЗСУ-23 „Шилка“.

ბევრჯერ მსმენია, რომ საქართველოს საჰაერო თავდაცვას დიდი პრობლემები აქვს... ალღუმზეც მინახავს და ისედაც ვიცი, რომ საქართველოს შეიარაღებაში აქვს საზენიტო კომპლექსი „შილკა“. როგორც ბიძაჩემისგან ვიცი, ეს მანქანა ავღანეთში სერიოზულ ძალად ითვლებოდა. მაშ, რატომ ვერ ვიყენებთ სათანადოდ?

*მამუკა კვერნაძე, 18 წლის*

კომპლექსის ძალოვანი ნაწილი, რომელსაც მუხლუხიანი ТМ-575-ის შედუღებული კორპუსი ჰქონდა, სამ განყოფილებად იყო დაყოფილი: სამართავი (წინ), საბრძოლო (შუაში) და ძრავა. განყოფილებების გამტიხრავის როლს კოშკურის წინა და უკანა საყრდენები ასრულებს. თავად კოშკურა კი შედუღებულ კონსტრუქციას წარ-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს შეიარაღებაში არსებული „შილკები“ სხვათა შორის, „შილკა“ აფხაზ სეპარატისტებსაც ჰყავთ..

**ჩვენი დოსიე:** საზენიტო კომპლექსი ЗСУ-23-4 „შილკა“. ეკიპაჟი — 4 კაცი; სროლის სიშორე. ვერტ — 1500 მ. ჰორ. — 2500 მ-მდე.; წუთში 3400 გასროლა; ჭურვის საწყისი სიჩქარე 950 მ/წ. მასა — 20,5 ტონა; სიგრძე — 6,5 მ.; სიგანე — 3,1 მ.; სიმაღლე — 2, 5 მ.; ჯავშანი — ტყვიაგაუმტარი ფოლადი 15 მმ; ძრავის სიმძლავრე — 280 ცხ.ძ.; მაქსიმალური სიჩქარე 50 კმ/სთ; სვლის მარაგი — 450კმ.

მოადგენს, რომლის საბრუნავი საყრდენის დიამეტრი 1840 მილიმეტრია. კოშკურაში დამონტაჟებულია ოთხი 23-მილიმეტრიანი ავტომატური ქვემეხი АЗП-23 АМУР-ით. ამ უკანასკნელის მარცხენა და მარჯვენა წყვილები დაკომპლექტებულია 1000-1000 ვაზნით (რომელთაგან ზედა ავტომატზე 480 ვაზნა მოდის, ქვედაზე კი – 520). კომპლექტში ჭურვების ორი ტიპია – ჯავშანგამტანი-ცეცხლგამჩენ-ტრასირებადი და მსხვრევად-ფუგასურ-ცეცხლგამჩენი. ორივე სახის ბალისტიკური მონაცემები ერთნაირია – საწყისი სიჩქარე 980 მ/წ, მოქმედების მაქსიმალური სიმაღლე 1500 მ, სიშორე 2000მ. მსხვრევად-ფუგასურ ჭურვებს აქვს თვითლიკვიდატორი, რომელიც გასროლიდან მე-5-11 წამზე მოქმედებს. ავტომატი ლენტური სისტემით მოქმედებს. ლენტში ყოველი 4 მსხვრევად-ფუგასურის შემდეგ 1 ჯავშანგამტან-ცეცხლგამჩენი ჭურვია.

საომარ მანქანას აქვს რადიოლოკაციური საშუალებები, რომლის დანიშნულება АЗП-23 ქვემეხის მართვაა. რადიოლოკაცია 1-1,5 სანტიმეტრის ტალღების დიაპაზონზე ხდება. ეს დიაპაზონი ნაკლებადაა დატვირთული. ამ სიხშირეზე მომუშავე რადიოლოკაციურ საშუალებებს შეუძლიათ აღმოაჩინონ სამიზნე, რომლებიც „სტელსის“ ტექნოლოგიას იყენებენ. უცხოური პრესის მონაცემებით, ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს ერაყულმა „შილკამ“ ამერიკული თვითმფრინავი F-117A ჩამოაგდო (თუმც ეს ძალზე საეჭვოა).

რადიოლოკაციური სისტემის უარყოფითი მხარეა მოქმედების არეალის სიმცირე, რომელიც ჩვეულებრივ 10-20 კილომეტრს არ აღემატება და კარდინალურად არის დამოკიდებული ატმოსფერულ მოვლენებზე.

საზენიტო კომპლექს „შილკას“ გადაადგილებას უზრუნველყოფს ექსცილინდრიანი დიზელის ძრავა. მანქანას საწვავის ორი ალუმინის ავზი აქვს – წინა 405 ლიტრის ტევადობისა და უკანა, რომელიც 110 ლიტრ საწვავს იტევს. ეს მარაგი უზრუნველყოფს 400 კმ-ზე მეტი მანძილის გავლას (ნორმალური გზების პირობებში).

სამოციანი წლების მეორე ნახევარში „შილკამ“ ორი მცირე მოდერნიზაცია განიცადა, რომელთა მთავარი მიზანიც სხვადასხვა კვანძისა და აგრეგატების მუშაობის საიმედოობის ამაღლება იყო.

პირველი მოდიფიკაციის მანქანებმა მიიღეს ინდექსი ЗСУ-23-4В, მეორემ კი ЗСУ-23-4В1. ამასთან, მანქანის ძირითად ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებს ცვლილება არ განუცდია. 1967 წელს მოხდა „შილკის“ უფრო სერიოზული მოდერნიზაცია, რომლის დროსაც საიმედოობისა და სტაბილურად მუშაობის მიზნით გადაკეთდა ავტომატი და ქვემეხი. ამით ამაღლდა ქვემეხის დეტალების გამძლეობა, შემცირდა მისი ტექნიკური მომსახურების დრო. მოდერნიზაციის დროს ავტომატის პნევმოდატენვა შეიცვალა პიროდატენვით, რამაც კონსტრუქტორებს საშუალება მისცა, არასაიმედოდ მომუშავე კომპრესორი სრულიად ამოეგდოთ კონსტრუქციიდან. ლულის გამაცივებელი სითხის შედუღებული მილაკი შეიცვალა ახალი დრეკადი მილით. ამ სიახლემ სროლის რესურსი 3500-დან 4500-მდე გაზარდა.

1973 წლის მოდიფიკაციამ მიიღო ინდექსი ЗСУ-23-4М3. მასზე პირველად დამონტაჟდა ამომცნობი აპარატუ-



სწორედ ეს კომპლექსი ЗСУ-57 შეცვალა თავის დროზე ЗСУ-23 „შილკამ“



დღესდღეობით „შილკები“ ათობით ქვეყნის შეიარაღებაში რჩება

რა „უცხო-ჩვენი“.

საჰაერო სამიზნეების წინააღმდეგ „შილკის“ მოქმედების ეფექტიანობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. 1973 წლის საომარი მოქმედებების განმავლობაში „შილკამ“ ისრაელის საჰაერო ძალების მიერ დაკარგული თვითმფრინავთა 10 პროცენტი ჩამოაგდო (დანარჩენი განაწილდა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსსა და ავიაგამანადგურებლებზე). ეს თითქოს არცთუ კარგი შედეგია, თუმცა ტყვედ ჩავარდნილი ებრაელი მფრინავების თქმით, „შილკის“ ცეცხლი იმდენად მჭიდრო და ავისმომასწავებელი იყო, რომ მფრინავი ინსტინქტურად გაურბოდა მას და სიმაღლეს იღებდა, აქ კი უკვე სხვა, ზეზუსტი საზენიტო კომპლექსების მოქმედების ზონაში ხვდებოდა. ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს კოალიციის მფრინავები ცდილობდნენ, არ ეფრინათ 1300 მეტრზე უფრო დაბალ სიმაღლეზე, რათა „შილკის“ ცეცხლს არ გადაჰყროდნენ.

„შილკამ“ თავისი სიტყვა სახმელეთო ბრძოლებშიც თქვა. სწორედ მთიან რეგიონში – ავღანეთში გამოავლინა ძალზე კარგი თვისებები. წარმოიშვა მისი ახალი, „ავღანური ვარიანტი“. გამოუსადეგარობის გამო (დუშმანებს ავიაცია არ ჰყავდათ) მანქანიდან მოხსნეს რადიოლოკაციური მოწყობილობების კომპლექსი, რის ხარჯზეც საბრძოლო კომპლექტის 2000-დან 4000 სროლამდე გაზრდა მოხერხდა. დააყენეს, აგრეთვე, ღამის ხედვის მოწყობილობაც.

„შილკები“ ავღანეთში სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა: ბადრაგის დაცვისთვის, ე. წ. „ზაჩისტკების“ დროს. მისი გამანადგურებელი ცეცხლი ადვილად პოულობდა კლდეებში ჩამალულ მტერს. სროლის ინტენსიურობით კი ვერც ერთი იარაღი ვერ დაუდგებოდა გვერდით.

„შილკები“ საექსპორტოდ გაჰქონდათ ვარშავის ხელშეკრულების წევრ ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონებში. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ არაბეთ-ისრაელის ომებში, ერაყ-ირანის ომში (ორივე მხრიდან), აგრეთვე, სპარსეთის ყურის ომში 1991 წელს. „შილკების“ სერიული წარმოება 1883 წელს დასრულდა. სადღეისოდ ამ ტიპის დანადგარები პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა შეიარაღებაში აქვთ: ავღანეთს, ალჟირს, ანგოლას, ბულგარეთს, უნგრეთს, ვიეტნამს, ეგვიპტეს, ისრაელს, ინდოეთს, იორდანიას, ირანს, ერაყს, იემენს, კონგოს, კორეას, კუბას, ლაოსს, ლიბიას, ნიგერიას, პერუს, პოლონეთს, სირიას, სომალისა და ეთიოპიას.

„შილკები“ ქართულმა არმიამ პირველად 1992 წელს, ახალციხის მე-10 რუსული დივიზიიდან მიიღო. ისინი აფხაზეთის ომში გააგზავნეს, სადაც საჰაერო თავდაცვის გარდა სანაპირო დაცვაშიც გამოიყენებოდა. სოხუმის დაცემის დღეს სწორედ ერთ-ერთი „შილკით“ ცდილობდნენ ქართველი გვარდიელები შეტევაზე გადმოსული მტრის შეჩერებას...



არაბების „შილკებმა“ (ქვედა მარჯვენა ფოტო) საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა ისრაელის ავიაციას





„არსენალის“ რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, — მკითხველები გვთხოვენ, ვუამბოთ საპილოტაჟო ჯგუფების შესახებ. ვითვალისწინებთ მათ სურვილს და ამჯერად გთავაზობთ ინ-ფორმაციას რამდენიმე მოწინავე გუნდის შესახებ. მოწინავე პოზიციებზე ძლიერი სახელმწი-ფოების (როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით), აშშ-ის, საფრანგეთის, ბრიტ-ანეთის, იტალიისა და რუსეთის პილოტები არიან, თუმცა მათ ტოლს არც სხვა ქვეყნების წარმომადგენლები უდებენ. როგორც ჩანს, მთავარი მაინც შემართება და საქმის სიყვარულია...

# მსოფლიოს უძლიერესი საპილოტაჟო გუნდები



## Thunderbirds

კორეის ომმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მზარდ ძლიერებასთან ერთად ნათლად წარმოაჩინა ნაკლოვანებანი ამერიკელ მფრინავთა ტაქტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში. ამიტომ ავიაციის სარდ-ლობამ პროპაგანდისტულ სვლას მიმარ-თა — არიზონის შტატში განლაგებულ ავიაბაზა ლუკში ჩამოყალიბდა საგანგე-ბო სადემონსტრაციო ესკადრილია, რომ-ლის მოვალეობა საავიაციო დღესას-წაულებსა და შოუებზე ჯგუფური პი-ლოტაჟის ჩვენება იყო. ესკადრილიას „ტანდერბერდი“, თვითმფრინავებს კი „ტანდერჯეტი“ დაარქვეს. საგანგებოდ შეარჩიეს თვითმფრინავების შეფერილო-ბაც, რაც თითქმის ნახევარი საუკუნეა უცვლელია.

„ტანდერბერდის“ პირველი საჩვენე-ბელი გამოსვლა ავიაბაზა ლუკის აერო-დრომზე, 1953 წლის 8 ივნისს შედგა. დებიუტი წარმატებული გამოდგა, რად-გან საპილოტაჟო ჯგუფში ამერიკის ყველაზე გამოცდილი მფრინავები ჩაირ-იცხნენ. მფრინავები უმთავრესად მარყუჟებსა და მოხვევებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, თუმცა არც P-84 გამა-ნადგურებლები ბრწყინავდნენ მანევრუ-ლობით. დროთა განმავლობაში გაფრენების ჟანრობრივი და მხატვრული მხარე დაიხ-ვეწა და „ელვისებურ ფრინველთა“ (დაახ-ლოებით ასე ითარგმნება საპილოტაჟო ჯგუფის სახელი) გაფრენები კარგად დადგმულ საჰაერო სპექტაკლებად იქცა. „ტანდერბერდის“ ესკადრილიამ დაარსე-ბიდან დაახლოებით 5500 ავიაშოუში მიიღო მონაწილეობა, რომელთაც 31,5 მილიონი კაცი დაესწრო 30 ქვეყნიდან.

ამჟამად ჯგუფის შტაბბინა ავიაბაზა ნელისშია განთავსებული. რვა მფრინავის გარდა (ექვსი ძირითადი, ორი კი სათა-დარიგო) მასში ირიცხებიან ოთხი ოფი-ცერ-ფსიქოლოგი, ოთხი სამოქალაქო სპე-ციალისტი და 120 კაცზე მეტი ტექნი-კური პერსონალი, რომლებიც F-16C ტიპის 12 თვითმფრინავს ემსახურებიან. „ტანდერბერდი“ ამ თვითმფრინავებით 1982 წლიდან აღჭურვეს.

ესკადრილიის პილოტები საუკეთესო მანევრირებისა და თვითმფრინავების შესა-ძლებლობების დემონსტრაციას ახდენენ (რამდენიმე ილეთის შესრულებისას მწყ-ობრში მფრინავი თვითმფრინავების ფრთებს შორის დაშორება 60 სმ-ს არ აღემატე-ბა), რითაც ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ძლიერებას აჩვენებენ მსოფლიოს და ამავდროულად ხელს უწყობენ ავია-ციაში ახალი რეკრუტების მიზიდვას.






კატასტროფა არ გეგონოთ, უბრალოდ კატაპულტას ცდიან...








## BLUE ANGELS

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამერიკის საზღვაო ოპერაციების სარდლის, ადმირალ ჩესტერ ვ. ნიმიცის ბრძანებით, საზღვაო ავიაციის შესაძლებლობების წარმოსაჩენად შეიქმნა საპილოტაჟო ჯგუფი. წელიწადიც არ იყო გასული, როცა მათი პირველი საჩვენებელი გამოსვლა შედგა. 1946 წლის ივნისში ჯგუფის პირველმა ლიდერმა როი ვორიხზმა თავისი F6F-Hellcat-ით ფლორიდის შტატის ქალაქ ჯეკსონვილის თავზე „გაინავარდა". პირველი წარმოდგენიდან ორი თვის შემდეგ მფრინავებს ახალი თვითმფრინავები F8F Bearcat-ი შესთავაზეს. 1947 წელს ჯგუფის მეთაურმა, რობერტ კლარკმა მაყურებელს თავისი საყვარელი წყობა – „დიამანდი" უჩვენა, რომელიც დღეს „ცისფერი ანგელოზების" ერთ-ერთ სიმბოლოდაა მიჩნეული. ორმოციანი წლების ბოლოს ჯგუფი უკვე რეაქტიული თვითმფრინავებით დაფრინავდა (F9F-2 Panther). 1950 წელს, კორეის კონფლიქტის დროს, „ცისფერი ანგელოზები" ავიამზიდ USS Priceton (CV-37)-ზე გადაიყვანეს და ჯგუფი მაშინვე იქცა იმ ესკადრილიის ძირითად ბირთვად, რომელსაც მოგვიანებით „სატანის კნუტები" ეწოდა. 1951 წელს ჯგუფი ტეხასში გადავიდა, სადაც F9F-5 თვითმფრინავები მიიღო. 1955 წელს კი მუდმივი ბინა ფლორიდაში დაიდო, სადაც ახალ F9F-8-ზე გადაჯდა.

მოგვიანებით მფრინავებმა ორჯერ გამოიცვალეს საფრენი აპარატები: 1957 წელს F11F-1 Tiger და 1969 წელს პირველ შეწყვილებულძრავიან თვითმფრინავზე FA-5 Phantom II. 1974 წელს „ცისფერი ანგელოზები" აშშ-ის ფლოტის სადემონსტრაციო ესკადრონად გადაკეთდა. 1986 წლის 8 ნოემბერს, ჯგუფის დაარსების 40 წლის საიუბილეო ჩვენებაზე, საჩუქრად მიიღეს ახალი თვითმფრინავი McDonnell Douglas F/A-18 Hornet-ი, რომლითაც დღესაც დაფრინავენ „ცისფერი ანგელოზები".



1992 წელს საპილოტაჟო ჯგუფი თავისი არსებობის ისტორიაში პირველ ევროპულ გასტროლებზე გაემგზავრა. მილიონზე მეტმა კაცმა იხილა ამერიკელი პილოტების ოსტატობა ფინეთში, რუსეთში, რუმინეთში, ბულგარეთსა და იტალიაში. დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთში კი „ცისფერი ანგელოზები" თითო თვის განმავლობაში გამოდიოდნენ მაყურებელთა წინაშე.

1999 წელს „ანგელოზების" საჰაერო წარმოდგენები 15-მა მილიონმა კაცმა იხილა (რეკორდია), დღიდან ჯგუფის დაარსებისა კი 337-მა მილიონმა.









ეროვნული ბიბლიოთეკა




# PATROUILLE DE FRANCE

2003 წლის 17 მაისს ფრანგულ საჰაერო საპატრულო ძალებს 50 წელი შეუსრულდა. 1953 წელს 30-წლიანი ისტორიის მქონე სხვადასხვა ფრანგული საპილოტაჟო გუნდების მემკვიდრე ესკადრილია ოთხი F84G ტიპის გამანადგურებლისაგან შედგებოდა. 50-იანი წლებიდან მოყოლებული არც ერთი ოფიციალური დღესასწაული არ რჩება „პატრულირების“ გარეშე. მართლაც საუცხოო სანახავია საფრანგეთის დროშის ფერებით შესრულებული ათასგვარი რთული ილეთი, რომელსაც ფრანგი პილოტები ვირტუოზულად ასრულებენ. მფრინავებისა და თვითმფრინავების რიცხვი დროდადრო იზრდებოდა. მალე მათ რიგებში ქალი პილოტებიც გამოჩნდნენ. ჩვენებები იმართებოდა როგორც საფრანგეთში, ასევე ბელგიასა და შვეიცარიაში. დაარსებიდან სულ მცირე დროში პატრულმა მსოფლიო მასშტაბის აღიარება მოიპოვა. დღეს ჯგუფი სხვადასხვა მოდიფიკაციის თვითმფრინავებთან ერთად გამანადგურებელ „მირაჟებსაც“ უწევს ექსპლუატაციას და როგორც ამბობენ, „რაფალებზეც“ მალე გადაჯდება.



# FRECCE TRICOLORI

იტალიაში პირველი აკრობატული გუნდი 20-იან წლებში პოლკოვნიკმა რინო კორსო ფოუგიერმა ჩამოაყალიბა. მას სურდა ისეთი მფრინავები მოემზადებინა, რომლებსაც თავიანთი მანქანები „სხეულის ნაწილებივით ექნებოდათ შესისხლხორცებული“. მას შემდეგ გუნდი მრავალ გამოფენასა და შოუში მონაწილეობდა. გუნდში ბევრი ცნობილი პილოტი აღიზარდა. დღეს კი იტალიას მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ჰყავს – „ფრეჩე ტრიკოლორი“, რომელიც საჰაერო ძალების გენშტაბის გადაწყვეტილებით 1961 წელს შეიქმნა ფრიულის ოლქში, რივოლტოში. გუნდის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა რივოლტოს მერი მარიო სკუარცინა. ფრეჩე ტრიკოლორი ოლქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად არის მიჩნეული. გუნდი 10 MB339-ით არის აღჭურვილი, რაც მის წევრებს უმაღლესი პილოტაჟის ილეთების შესრულების შესაძლებლობას აძლევს. ყოველწლიურად გუნდში საჰაერო ძალების ყველაზე წარჩინებულ ერთ ან ორ პილოტს იწვევენ. ახალმისულებიც, ტრიკოლორებად ქცევის შემდეგ, იტალიელთა სათაყვანებელი გმირები ხდებიან. მათ თითქმის ყველა იტალიელი ცნობს, მათი ფოტოები მაღაზიებში, სახლებსა თუ ოფისებში აქვთ გამოფენილი...



სამწუხაროდ ასეთი შემთხვევებისგან არავინ არის დაზღვეული თვით უმაღლესი დონის პროფესიონალებიც...






## RED ARROWS

ბრიტანეთის სამეფო-საჰაერო ძალებ-ის აკრობატული გუნდი „წითელი ისრე-ბიც“ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყებს თავის ისტორიას. თან-ამედროვე სახითა და დასახელებით გუნ-დი 1966 წელს ჩამოყალიბდა. ამ დროისთვის მასში მხოლოდ ორი პილო-ტი იყო და ისინი ურთულესი პილოტა-ჟის სხვადასხვა ილეთს აჩვენებდნენ, თან საჰაერო ჟონგლიორობას სამეფო-საჰაერო ძალების ახალწვეულების აღზრდა-გა-ნათლებასაც უთავსებდნენ. 1968 წელს გუნდი ცხრა კაცამდე გაიზარდა. 1979-80 წლებში გუნდი „Hawk“-ის ტიპის თვითმფრინავებით აღიჭურვა. 1980 წელს „წითელმა ისრებმა“. სხვადასხვა ქვეყანა-ში გამართულ ავიასალონებზე აჩვენეს თავიანთი ოსტატობა. ტურნეც მოაწყვეს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, ამერიკის, აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის 50 ქვეყანაში. გუნდის შემადგენლობაში არის პილოტი, რომელიც საჩვენებელ ფრენებში არ მონაწილეობს და მხოლოდ მენეჯერის მოვალეობას ასრულებს. ის პულტთან ზის და მანევრების დროს „წითლებს“ კომენტარებით მართავს. „წითელი ისრების“ ბაზა ფაირფორდში, გლოსტერშირში მდებარეობს.




## СТРИЖЫ

1952 წელს, ავიაციის ისტორიაში პირველად, კუბინკაზე დის-ლოცირებულმა პილოტებმა რეაქტიული გამანადგურებლებით შემხ-ვედრი პილოტაჟი შეასრულეს. შემდგომ წლებში საფრენმა ჯგუფებმა ერთეული და ჯგუფური შემხვედრი პილოტაჟი აითვისეს МиГ-17-ით, МиГ-19-ით, МиГ-21-ით, МиГ-23-ით და ბოლოს МиГ-29-ით, რომლ-ითაც დღესდღეობით დაფრინავენ. ესკადრილია სახელწოდებით „სტრ-იჟი“ პირველად 1991 წლის 6 მაისს მოიხსენიეს. მას შემდეგ ეს თარიღი ჯგუფის დაბადების დღედ ითვლება. „სტრიჟი“ (ნამგალა მერცხლები) საგასტროლოდ იმყოფებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, შვედეთში, ბელგიაში, იტალიაში, მალაიზიაში, ჩინეთში, ფინეთსა და გაერთიანებულ არაბთა საამიროებში. საავიაციო-საპილოტაჟო ჯგუფი „სტრიჟები“ მეორე საპილოტაჟო ჯგუფ „რუსკიე ვიტიაზისთან“ ერთად ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს ასრულებდა ჯგუფურ პილოტაჟს რვა, ცხრა და ათი თვითმფრინავის შემადგენლობით. ორივე ჯგუფი ამჟამად საერთო პროგრამით გამოდის ათი თვითმფრინავით.

## РУССКИЕ ВИТЯЗИ

ჯგუფი 1991 წლის 5 აპრილს შეიქმნა, „კუბინკას“ ავიაბა-ზაზე. ის დაკომპლექტდა უმაღლესი პილოტაჟის სრულყოფი-ლად მცოდნე მფრინავთაგან, რომლებიც მეოთხე თაობის რეაქ-ტიულ Су-27-ებით დაფრინავდნენ. „რუსი დევგმირები“ უნი-კალური იმით არის, რომ ჯგუფურ პილოტაჟს მძიმე გამანად-გურებლებით ასრულებს. ექვსი თვითმფრინავის საერთო წონა 150 ტონაა, მათი გაშლილი ფრთების სიგრძის საერთო ჯამი კი 75 მეტრზე მეტი. „რუსი დევგმირების“ პრემიერა საზღვარგა-რეთ 1991 წლის სექტემბერში შედგა, როცა ჯგუფმა თავისი ხელოვნება დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებს უჩვენა. მას შემდეგ ის მსოფლიოს უმსხვილესი ავიასალონების მუდმივ მონაწ-ილედ იქცა. გამოდიოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მალაიზიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, კანადაში, სლოვაკეთში, ნორვეგიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ავსტრიასა და ჩინეთში.



## PATROUILLE SUISSE

აერობატიკული ილეთების საჩვენებლად პროფესიონალი მფრინავების შეკრების იდეა 1959 წელს გაჩნდა, თუმცა ჯგუფი ოფიციალურად 1964 წლის 22 აგვისტოს ჩამოყალიბდა.

პირველი ჩვენება მათ 1964 წელს, ლონდონში გამართულ გამოფენაზე მოაწყვეს და თავბრუდამხვევი ვირაჟებითა და მარყუჟებით დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. 1978 წელს, როდესაც გუნდი თავისი ფრანგული „თანამოძმის“, „პატრულ დე ფრანსის“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საჰაერო შოუში გამოვიდა, ექსპერტებმა ის პლანეტის საუკეთესო აერობატიკულ გუნდად აღიარეს. 1991 წელს შვეიცარიის კონფედერაციის მე-700 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე „პატრულ სუისე“ ერთ-ერთი წამყვანი მონაწილე იყო. მის პილოტებს შვეიცარიის დროშის ფერების სამოსის ჩაცმის უფლებაც მისცეს, თვითმფრინავებს კი ოფიციალურ ლოგოდ „შვეიცარიის კონფედერაცია-700“ მიანიჭეს. 1995 წელს, გუნდი 30 წლის გახდა და ახალი თვითმფრინავებით აღიჭურვა. შვეიცარიის მთავრობის გადაწყვეტილებით, ისინი წითელ და თეთრ ფერებადაა შეღებილი.



## TURKISH STARS

1964 წელს ოთხმა ინსტრუქტორმა (რომლებიც F-86E თვითმფრინავის საბრძოლო გამოყენებაში ოსტატდებოდნენ) როგორც ტუფას (თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების დასახელება) საპილოტაჟო ჯგუფმა საჩვენებელი ფრენები დაიწყო. მალე ისინი ნიდერლანდურ F-4 და F-5-ებზე გადასხდნენ. გაფრენების დაწყებამდე ყველა თვითმფრინავის კაბინაში ავგაროზები (ერთ-ერთი აღწერილობით, მინის სფეროში ჩასმული თვალი) დაკიდეს.

1992 წელს შეიქმნა სპეციალიზებული საპილოტაჟო ჯგუფი 4 თვითმფრინავის შემადგენლობით.

სახელწოდება Turk Yildirlari (თურქეთის ვარსკვლავები) 1993 წელს დამტკიცდა. თვითმფრინავები მკვეთრ წითელ-თეთრ ფერებად გადაღებეს. 1994 წელს „თურქეთის ვარსკვლავებმა“ პირველი საჩვენებელი ოფიციალური წარმოდგენა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქალაქ დიარბაქირში გამართეს. 1996 წლისთვის გუნდში უკვე 10 თვითმფრინავი: NF-5A და 2-NF-5B იყო. დღეს მათმა რიცხვმა მოიმატა, თუმცა უმეტესად სანახაობებში 10 თვითმფრინავი მონაწილეობს, დანარჩენები თადარიგში არიან. სანახაობები, ძირითადად, თურქეთში იმართება. იშვიათად ჯგუფი საჩვენებელ პილოტაჟს საზღვარგარეთაც მართავს.



## BLUE EAGLES

ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენების გუნდი „ლურჯი არწივები“ 1968 წელს შეიქმნა. ის საარმიო ავიაციის სკოლის ყოფილმა ინსტრუქტორებმა ჩამოაყალიბეს. იმავე წელს „არწივებმა“ თავიანთი ოსტატობა ფარნბოროს ავიასალონზე უჩვენეს. დღემდე მათ 70-ზე მეტი შოუ აქვთ გამართული. თავდაპირველად გუნდს სტანდარტული ბელ 4763 1 რიუქსის ვერტმფრენები ჰყავდა. გუნდში სამეფო-საჰაერო ძალებიდან ყოველწლიურად ექვს პროფესიონალ პილოტს აგზავნიან. ისინი იქ თებერვლიდან ოქტომბრამდე პრაქტიკას გადიან. გუნდს სხვადასხვა დროს



სხვადასხვა სახელი ერქვა: „არწივები“, „არმიის არწივები“, „ვერცხლისფერი არწივები“... ამჟამად გუნდი 4 ვესტლენდ ლუნქსის ვერტმრფენით არის აღჭურვილი. რადგან სამეფო-საჰაერო ძალებში სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა ვერტმფრენებზე, „ლურჯი არწივები“ (ეს სახელი 1993 წელს დაიმკვიდრეს) ვერტმფრენის პილოტთა მომზადების მთავარ ბაზად არის ქცეული. პილოტებს აქ არა მხოლოდ A-დან B წერტილში გადაადგილებას ასწავლიან, არამედ უმაღლეს პილოტაჟს, მანევრირებას და ურთულესი ვირაჟებისა თუ მარყუჟების გაკეთებასაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუზეუმი მონინოში... ქართული თვითმფრინავებით


Бе-12


Ту-144

Су-25

მოსკოვის გარეუბანში, მონინოში, სადაც იური გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიაა, თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც საავიაციო მუზეუმი არსებობს, რომლის ექსპონატების დათვალიერება ავიაციის მოყვარულების ოცნებაა.

რამდენიმე ხნის წინ ჟურნალი „არსენალი“ მონინოს ეწვია და გთავაზობთ ფოტორეპორტაჟს მუზეუმში გამოფენილ ისტორიულ საფრენ აპარატებზე.

სანამ ფოტორეპორტაჟს გავაკეთებდით, რამდენიმე დღით ადრე, ხანძარმა მუზეუმის ნაწილი იმსხვერპლა. საბედნიეროდ ღია ცის ქვეშ გამოფენილი თვითმფრინავები და შვეულმფრენები გადარჩა.


Ми-12

რას არ ნახავთ აქ — პირველ საბჭოთა ოთხძრავიან სტრატეგიულ ბომბდამშენს — Ту-4-ს, რომელიც სტალინის ბრძანებით ზუსტად გადმოიღეს იმ ამერიკული B-29 „სუპერციხესიმაგრეებიდან“, ჰიროსიმასა და ნაგასაკიში 1945 წელს რომ ატომური ბომბები ჩამოყარეს.

აქვეა მსოფლიოში უდიდესი შვეულმფრენი Ми-12, რომელიც მილის საკონსტრუქტორო ბიურომ გასული საუკუნის 60-იან წლებში საგანგებოდ შექმნა ბირთვული რაკეტების გადასატანად.


Т-4

წაწვეტებული ცხვირითა და უზარმაზარი გაბარიტით თავს იწონებს პირველი საბჭოთა ზებგერითი სტრატეგიული ბომბდამშენი — მიასიშჩევისა М-50 და სუხოის უსწრაფესი ბომბდამშენი (3000 კმ/სთ სიჩქარით) Т-4.

„არსენალის“ ყურადღება მონინოს მუზეუმში აღმოჩენილმა ქართულმა „კვალმა“ მიიქცია — ეს არის ამფიბია-თვითმფრინავი Бе-12, რომლის ავტორი ავიაკონსტრუქტორი გიორგი ბერიაშვილი იყო. წყალქვეშა ნავების საძებნად და გასანადგურებლად შექმნილ ამ თვითმფრინავს დაშვება და აფრენა წყლიდანაც შეუძლია და ხმელეთიდანაც.


Ту-4

მეორე „ქართველი“ კი დღესაც ეფექტიანად გამოიყენება — პირველი საბჭოთა ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის, Ту-144-ის (რომლითაც „მიმინო“ დიდ ავიაციაში დაბრუნდა ლარისა ივანოვნას მოსაძებნად) ფრთის ქვეშ ამაყად დგას თბილისში აწყობილი მრისხანე Су-25 ტიპის მოიერიშე, რომელსაც 622 გაფრენა (445 სთ) აქვს შესრულებული და ავღანეთის ომშიც მონაწილეობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე მშვიდი ძაღლი ნიუფაუნდლენდი

ერთხელ ღმერთმა სამყაროს დათვალიერება გადაწყვიტა და კუნძულ ნიუფაუნდლენდს მაშინ გადახედა, როცა მეთევზეები აბობოქრებულ ზღვას ებრძოდნენ. შეებრალა ღმერთს სტიქიასთან მორკინალი ადამიანები და გადაწყვიტა, შეემსუბუქებინა მათთვის მძიმე ხვედრი _ აიღო დათვის სხეული (რომლის გამძლე ძვლები მძიმე სამუშაოსთვის გამოდგება), დელფინის ხასიათი (რომელსაც ადამიანები ძალიან უყვარს და არაერთხელ გადაურჩენია კიდეც), შეაერთა ეს ორი თვისება და გამოვიდა ცხოველი – მბრწყინავი შავი ბალნით, ღონიერი, მოსიყვარულე. ის ადამიანის გვერდით იცხოვრებდა და მისი ერთგული მცველი და მეგობარი იქნებოდა, პატრონისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებდა. ეს ნიუფაუნდლენდი იყო.



ამას გვიამბობს ლეგენდა, სინამდვილეში კი ამ ძაღლის წარმოშობაზე უამრავი მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, ნიუფაუნდლენდის წინაპრებად ითვლებიან ჩრდილო-აღმოსავლეთ კანადის სანაპიროზე მცხოვრები ძაღლები, რომლებიც ჯერ კიდევ თეთრკანიანების გამოჩენამდე ჰყავდათ ინდიელებს. დიდი, შავი ძაღლები ღონითა და ამტანობით გამოირჩეოდნენ. მეორე მოსაზრებით, ეს ჯიში ინგლისელებმა გამოიყვანეს მე-18 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც კუნძული ნიუფაუნდლენდი დიდი ბრიტანეთის მფლობელობაში გადავიდა. ამ მოსაზრებ-






არსენალი
ნიუფაუნდლენდი

ის თანახმად, ინგლისელებმა ნიუფაუნდლენდში შეიყვანეს ტიბეტური მასტიფები, რომლებიც ადგილობრივი ჯიშის ძაღლებთან შეაჯვარეს და გამოიყვანეს ძაღლის ჯიში, რომელსაც კუნძულის სახელი უწოდეს. ზოგიერთთა აზრით, ნიუფაუნდლენდი ლაბრადორის ახლო ნათესავია. შესაძლოა, ეს მოსაზრება საფუძვლიანია – ორივე მართლაც ძალიან ჰგავს ერთმანეთს, კუნძული ნიუფაუნდლენდიც ნახევარკუნძულ ლაბრადორთან ახლოს არის.

ნიუფაუნდლენდი – მასიური, ძლიერი, ელეგანტური, ჰარმონიული, მოძრავი და ამტანი ძაღლია. ამავე დროს კეთილი, ჭკვიანი და მამაცია.

ნიუფაუნდლენდი მაშველი ძაღლია. შესანიშნავად ცურავს და ბევრი ადამიანი უხსნია დახრჩობისგან. გარდა ამისა, არ არის აგრესორი – მისი მოწოდება მაშველობაა. სწრაფად ერკვევა სიტუაციაში და უშეცდომოდ რეაგირებს. 1919 წელს ერთ-ერთი ნიუფაუნდლენდი ოქროს მედლით დააჯილდოეს – მან ჩაძირული გემიდან ოცი კაცი გადაარჩინა დახრჩობას.

წყალი მისი მშობლიური სტიქიაა. ერთხელ 20 კმ გამოსცურა ზურგზე ადამიანმოკიდებულმა. ამ ძაღლის მთელი ენერგია და ყურადღება ადამიანისკენ არის მიმართული. შეიძლება ითქვას, მისი სიცოცხლის აზრი ადამიანების მომსახურება, მათთვის დახმარების გაწევაა.

ერთ დროს მეთევზეების საყვარელი ძაღლი იყო, – ეხმარებოდა მათ თევზიანი ბადის ნაპირზე ამოთრევაში და ა.შ.. მეტიც, თავადაც კარგი მეთევზე იყო.

პატრონის მიმართ ყოველთვის ყურადღებიანია. თავმდაბალიც არის – ყეფითაც კი არ ყეფს, რომ მისი ყურადღება მიიქციოს, რაიმე ნივთს მიუტანს და თავს ამით შეახსენებს. კარგად რომ გაიცნოთ და მიხვდეთ, რა თვისებები აქვს, ოჯახის ყველა წევრი უნდა დაუმეგობრდეს. ის იქ უნდა იყოს, სადაც მისი მოყვარული ადამიანები ცხოვრობენ.



ნიუფაუნდლენდი ძალიან ლამაზია. ძლიერი ძვლები აქვს, ფართო მკერდი და გრძელი, ხშირი ბალანი, რომელიც წყალს ძნელად იწოვს. მიუხედავად იმისა, რომ ზორბა ძაღლია, წყალში აბსოლუტურად მსუბუქი ხდება. ფეხის თითებთან აპკები შეერთებული აქვს, რაც ცურვისას დიდად ეხმარება. ხვადების სიმაღლე 70სმ-ია, ძუსი – 65 სმ, წონა 54-68კგ. თავი ძალიან დიდი აქვს, თვალები არცთუ დიდი და მუქი ფერის; ყურები დაკიდებული, თავთან ახლოს მიტყუპებული. კუდი საშუალო სიგრძის, დაშვებული. ნიუფაუნდლენდის შეფერილობა შავია, ოდნავ ლურჯი ფერი გადაჰკრავს.

ნიუფაუნდლენდი დღესაც ძალზე პოპულარული ძაღლია, თუმცა ჩვენს დროში, როცა ტექნიკური პროგრესი წინ მიდის, მას მაშველად იშვიათად იყენებენ. მაგრამ ამით არაფერი დაჰკლებია, ისევ ადამიანის ერთგული, კეთილი და გამბედავი მეგობარია.

ბევრჯერ სცადეს, მაგრამ ზნე ვერ შეუცვალეს. მართალია, ადამიანებს არ ერჩის, მაგრამ თუ თანამოძმე აგრესიით შეხვდება, უკან არ დაიხევს, საკადრისად დახვდება და თავდაცვაც კარგად ეხერხება. ნიუფაუნდლენდი მძიმეწონიანი ოთხფეხია, მიწაზე სიარული უჭირს, სამაგიეროდ წყალში თევზივით დაცურავს. მართალია, წვრთნას ძნელად ემორჩილება, მაგრამ თუ მოთმინებას გამოიჩენთ, ყველაფერს ისწავლის.

ნიუფაუნდლენდების ამ და სხვა თვისებებზე კინოლოგი ირაკლი ოყროშიძე გვესაუბრება:

— ნიუფაუნდლენდები, შეიძლება ითქვას, საუკუნოვანი ძაღლები არიან. საქართველოში ეს ჯიში დიდი ხნის წინ შემოიყვანეს. დაახლოებით 20-25 წლის წინ კი მრავლად იყვნენ, მაგრამ დღეს ამით ვერ დავიკვეხნით.

**— რამ გამოიწვია მათი სიმცირე?**

— ეს ძაღლი საქართველოს კლიმატს ვერ ეგუება – აქ ძალიან ცხელა, მას კი უსაშველოდ დიდი ბეწვი აქვს. ჩვენი ქვეყნის პირობებში არ ღირს ნიუფაუნდლენდის დატანჯვა. სწორედ ეს არის საქართველოში ამ ჯიშის სიმცირის მიზეზი.

**— რა არის ამ ძაღლის დანიშნულება?**

— დანიშნულება ყოველთვის იყო და არის მაშველობა. ის წყლის მაშველია. ჩემი გამოცდილებით ვიცი, წყალში შვიდი მეტრის სიღრმეში ჩასულა და გადაგდებული ნივთი ამოუტანია. ძირითადად, გემებზე ჰყავთ მაშველად. ყელზე საყელური აქვს, თოკით ზღვის ბალიში აქვს მიბმული და თუ ვინმეს შველა დასჭირდა, მას მიუშვებენ ხოლმე.

**— არადა საკმაოდ მძიმეწონიანი ძაღლია.**

— დიახ, ნორმალური ნიუფაუნდლენდი 100-110 კილოგრამია. სხვათა შორის,



მიწაზე სიარული უჭირს. საოცრად ზანტია, სწრაფად სიარულს ვერაფრით აიძულებ. განიერი მკერდი და მოკლე ფეხები სწრაფი ცურვის საშუალებას აძლევს. თვითონ ხომ 100 კილოგრამია წონით, მაგრამ წყალში კიდევ ასი კილოგრამი რომ დააწვეს, არ ჩაიძირება.

— **როგორი ხასიათი და თვისებები აქვს ნიუფაუნდლენდს?**

— ძალიან წყნარი და მშვიდი ძაღლია, ავი არ არის — ეს არის მისი დამახასიათებელი თვისება.

— **თავისი არსებობის მანძილზე რაიმე ცვლილება თუ განიცადა?**

— 60-იან წლებში სცადეს და სხვა ჯიშებთან შეაჯვარეს, მაგრამ თავისი თვისებები ვერ დააკარგვინეს. ახალ ჯიშს „მყვინთავი“ კი შეარქვეს, მაგრამ მასაც ზუსტად ისეთივე თვისებები აქვს, როგორიც ნიუფაუნდლენდს, უბრალოდ, ცოტა ავია. ნიუფაუნდლენდს ისეთი ზნე აქვს, მისი შეცვლა ძნელია, ფერიც კი ვერ შეაცვლევინეს. ამტანობით ხომ ტოლი არ ჰყავს.

— **რამდენ წელიწადს ცოცხლობს?**

— ასე, 12 წლამდე, საქართველოს პირობებში მისი სიცოცხლისუნარიანობა უფრო იკლებს. ჩვენთან ნიუფაუნდლენდი დეკორატიულ ძაღლად აქციეს, მას დანიშნულებისამებრ აქ არავინ იყენებს.

— **გარდა მაშველობისა, რაიმე სხვა დანიშნულებასაც ხომ არ ითავსებს?**

— არა, მხოლოდ მაშველია. მიუხედავად იმისა, რომ კარგი ყნოსვა აქვს, მონადირედ არ გამოდგება, ან როგორ შეიძლება სახლის დარაჯად დააყენო ძაღლი, რომელსაც აგრესიულობის ნატამალიც კი არ აქვს.

— **ე. ი. მისი გაწვრთნა არ უნდა იყოს ძნელი?**

— არც ერთი ძაღლის გაწვრთნა არ არის ადვილი. მთავარია, ის მხარე მოუძებნო, საიდანაც მისი წვრთნა უფრო ადვილია და ძაღლის დამორჩილებაც არ იქნება ძნელი. ისე კი, თუ სხვა ძაღლის გაწვრთნას 2 თვეს ვანდომებ, ნიუფაუნდლენდს 4 თვე სჭირდება.

— **როგორ უნდა მოვუაროთ და ვკვებოთ?**

— ყველაფერს ჭამს, მოვლა კი ცოტა რთულია. თუკი ზღვაზე ან მდინარეზე არ გაიყვანთ, შინ მის დაბანას ვერ მოახერხებთ — იმხელა ბეწვი აქვს, რომ მის დასველებასაც კი ვერ შეძლებთ.

*სალომე გოგოხია*
*მაკა ქობალია*



# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**1. ვინ მიეკუთვნება მეორე მსოფლიო ომისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს?**

მეორე მსოფლიო ომისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს მიეკუთვნებიან:

ა) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოქმედი არმიის სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილები (გადამდგარნი), პარტიზანები, აგრეთვე, საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ სამხედრო მოსამსახურეებთან გათანაბრებული შესაბამისი კატეგორიის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაინვალიდნენ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფრონტზე, სამხედრო მოქმედების რაიონში, რკინიგზისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებში, თავდაცვითი ზღუდეების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების მშენებლობის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

ბ) სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც დაინვალიდნენ მეორე მსოფლიო ომისა და შემდგომ პერიოდში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

გ) შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედებების რაიონებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

დ) სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, გამანადგურებელი ბატალიონების, ოცეულებისა და სახალხო დაცვის რაზმეულის მებრძოლები და მეთაურები, რომლებიც დაინვალიდნენ მთავრობის საბრძოლო დავალებების შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

ე) პირები, რომლებსაც ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ომის წლებში დაავალეს საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკის შეგროვება, ტერიტორიებისა და ობიექტების განაღმვა და დაინვალიდნენ ამ პერიოდში მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

ვ) მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ემსახურებოდნენ სხვა სახელმწიფოში მოქმედ სამხედრო კონტინგენტს და დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედების პერიოდში ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

**2. ვინ მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს?**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს მიეკუთვნებიან:

ა) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის, სახალხო გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი), მილიციის მუშაკები და ამ ფორმირებებში მოხალისედ შესული სამოქალაქო პირები, რომლებიც 1918-21 წლებში მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად და მისი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

ბ) საქართველოში 1921-24 წლებში ეროვნული მოძრაობის ან დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილენი, რომლებიც დაინვალიდნენ ამ პერიოდში საბრძოლო მოქმედების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილენი, რომლებიც დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედების პერიოდში მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამურაების თანამედროვე შთამომავლები აღარც ხმლებს ატარებენ და აღარც ჰარაკირის იკეთებენ. დიდი ხანია წინაპრების აბჯარი კომპიუტერზე, ხოლო სამურაელთა კლანები სხვადასხვა ჯურის ფირმაზე „გადაცვალეს". თუმცა მაინც ცდილობენ უძველესი ტრადიციები დღევანდელობას შეუსაბამონ...





# სამურაი



侍

სამურაის ცხოვრება ოდითგანვე ტკბილ-მწარე იყო — თუ სამაგალითო ერთგულებისთვის ბატონისგან ხშირად საჩუქრებსა და პატივს იმსახურებდა, სამაგიეროდ ლაშქრობებში სიცივეს, შიმშილს, ტკივილს იტანდა და ზოგჯერ ღალატის სიმწარესაც იწვნევდა. ამასთან, გაუსაძლის პირობებში, მტერთან პირისპირ შეხვედრისას სიფხიზლე არ უნდა დაეკარგა და სიმშვიდე უნდა შეენარჩუნებინა. ამაში სამურაებს საუკუნეობით დახვეწილი და ნაცადი მორალურ-ეთიკური მომზადება ეხმარებოდა. ის ძლიერი პიროვნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ჩამოყალიბებას გულისხმობდა.

სამურაებს თავიანთი კანონები წერილობით არასოდეს ჩამოუყალიბებიათ. ეს არც სჭირდებოდათ. მათი ცხოვრების წესსა და ქმედებებს განაპირობებდა ტრადიციული აღზრდა, რომელსაც საფუძვლად ფილოსოფიური სწავლება ედო.

იაპონელების ეროვნული რელიგია სინთოიზმი უძველესი ტოტემური წარმოდგენებისაგან წარმოიშვა და ბუნების სულიერებასა და წინაპართა გაღმერთებას ქადაგებდა. სინთოიზმის თანახმად, ღმერთებმა ამქვეყნად მხოლოდ იაპონელები შექმნეს. ამიტომაც ამომავალი მზის ქვეყნის მკვიდრთ მუდამ თან სდევდათ რჩეულობის შეგრძნება, მით უმეტეს, მეომრებს ეს გრძნობა უფრო გამძაფრებული ჰქონდათ.

თანდათანობით სინთოიზმზე გავლენა მოახდინა მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილმა რელიგიურ-ფილოსოფიურმა მიმდინარეობებმა, განსაკუთრებით ბუდიზმმა, კერძოდ კი ბუდისტური სექტის სწავლებამ — ძენმა. ძენ-ბუდიზმმა სამურაებს შორის უფრო მოიკიდა ფეხი. სწავლების თვითდისციპლინის მკაცრი იდეა მათთვის იდეალად იქცა. ძენის კანონების მიხედვით, თითოეულ მეომარს თავად უნდა განემტკიცებინა საკუთარი ნებისყოფა. ბუდიზმის თანახმად, სამყარო ილუზორულია და სააქაოს დათმობა დასანანი კი არა, პირიქით, ბედნიერებაა. ყოველივე ამას ჰარმონიულად შეერწყა ჩინეთიდან შემოსული კონფუცის ეთიკურ-პოლიტიკური ფილოსოფიის იდეებიც, რაც ეფუძნებოდა ადამიანის ქცევათა დადგენილ ნორმებს და უფროსი თაობის, მშობლებისა და განსაკუთრებით კი ბატონის უდიდეს პატივისცემას გულისხმობდა.

იაპონიაში დროთა განმავლობაში გავრცელდა ძველი ჩინური რელიგიური მიმდინარეობა დაოიზმიც, რომელიც საყოველთაო წესრიგსა და ყოველი ხილულისა თუ უხილავის არსის შეცნობას ქადაგებდა. დაოისტების შეხედულებით დაო არის ის, რისი დანახვაც და შეცნობაც შესაძლებელია. დაო არსებობს სამყაროში და თავად სამყარო გადმოსჩქეფს მისგან. დაოს მიმდევარი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ კეთილშობილი ადამიანი, დაოს გამოვლინებად კი თავად კეთილშობილება ითვლებოდა. დაოს შეცნობა მხოლოდ სამართლიან, ერთგულ და მამაც ადამიანს შეეძლო.

აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა განწათვლა — ე. წ. სატორი, რომელიც მედიტაციის გზითა და მორალურ-ფილოსოფიური საკითხების შემეცნებით მიიღწეოდა. მეომარი ბრძოლისას სატორს იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუკი დაივიწყებდა სიცოცხლესა და სიკვდილს, მათთან ერთად კი მიზეზსა და შედეგს.

საუკუნეების მანძილზე (IX-XIV) ყველა სამურაი იცავდა წესს, რომლის თანახმადაც ბრძოლის წინ, ღირსეული მოწინააღმდეგის ამორჩევის შემდეგ, საკუთარი სახელი, წინაპრებისა და თავისი საგმირო საქმეები უნდა ჩამოეთვალა. ამ თვითწარმოდგენის მიზანი მოწინააღმდეგის მორალურად დათრგუნვა იყო. განთქმულ სახელს შეეძლო მასში შიში ან პირიქით, სახელოვანი სამურაის ძლევის სურვილი შთაენერგა. ის, ვინც შებრძოლებას გადაწყვეტდა, წინ გამოდიოდა. ერთმანეთს მხოლოდ ორი სამურაი ერკინებოდა, მათ ბრძოლაში ვერავინ ჩაერეოდა. ამიტომაც ხანდახან მთელი არმიის ბრძოლა ერთდროულად რამდენიმე ასეული ან ათასი კაცის დუელს წააგავდა.

ბრძოლას წინ ერთგვარი ცერემონიალი უძღოდა — მოწინააღმდეგენი ქსოვილშებმულ ისრებს ისროდნენ და მათი ფრენის ტრაექტორიის მიხედვით განსაზღვრავდნენ ქარის მიმართულებასა და სიძლიერეს. შემდეგ ე. წ. წმინდა ისრებს ისროდნენ, რომელთაც „ჰიკიმე“ ეწოდებოდა. ამით მეომრები ბოროტ სულებს განდევნიდნენ, მერე კი იწყებოდა ბრძოლა.

არავინ იცოდა, ვინ გაიმარჯვებდა. იაპონელთა ჯარში არ არსებობდა საბრძოლო სტრატეგიის შემუშავების პრაქტიკა. ეს უსარგებლო საქმედ მიაჩნდათ. ბრძოლის ბედს მხოლოდ მეომრების სიმამაცე და თავგანწირვა წყვეტდა. თუმცა მოგვიანებით მაინც შეიმუშავეს მანევრები, რომლებსაც მეტად უცნაური სახელები შეარქვეს: „გარეული ბატების გადაფრენა“, „წეროს ფრთები“, „მთვარის ჩასვლა“ და ა.შ.

იაპონური ლაშქარი ქვეითების, მეისრეებისა და ცხენოსნებისაგან შედგებოდა. თითოეული ქვედანაყოფის სათავეში ოფიცერი იდგა, რომელიც ორ გენერალს ემორჩილებოდა. ჰყავდათ ჯაშუშთა დანაყოფიც — სინობი, ანუ ნინძა (მათ შესახებ „არსენალი“ უკვე წერდა), რომელთა მოვალეობა მტერზე ინფორმაციის შეგროვება და დივერსიული აქტების მოწყობა იყო. მეომრებს ბრძოლაში მსახურებიც მიჰყვებოდნენ. ისინი ვალდებულნი იყვნენ, დაეცვათ თავიანთი ბატონები, მიეწოდებინათ მათთვის იარაღი და შეეგროვებინათ მტრების მოჭრილი თავები და ა.შ.

დამარცხებული სამურაი ტყვედ ჩავარდნას ან ბრძოლის ველიდან გაქცევას სიკვდილს, ანუ ჰარაკირის არჩევდა. ეს მეტად საპატიო რამ იყო: მისი ოჯახი ძღვენსა და პატივისცემას იმსახურებდა, თავად კი გმირად შერაცხავდნენ. ზოგიერთი მებრძოლი თვითმკვლელობის წინ ნიჩბებივით სახიდან კანს იჭრიდა, რათა მტერს მისი ვინაობა არ დაედგინა. ხშირად მეომარს სიკვდილის წინ საკუთარი სისხლით გამოსამშვიდობებელი ლექსიც კი დაუწერია.

ბრძოლის შემდეგ მეომრები ნადავლის გადამოწმებას იწყებდნენ. ვინც მეტ თავს შეაგროვებდა, უხვად საჩუქრდებოდა. გარდა ამისა, მოჭრილი თავების პატრონთა წოდებაზეც იყო დამოკიდებული, როგორ გასამრჯელოს მიიღებდა მეომარი. თუ მტრის თავებს შორის მოკავშირეებისა და მონების თავებს აღმოაჩენდნენ, მეომარს სასჯელი ელოდა — მას თითს ჭრიდნენ.

ცეცხლსასროლმა იარაღმა, რომელიც



ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონიაში XVI საუკუნის პირველ ნახევარში შეიტანეს, მალე შეცვალა სამხედრო ვითარება. იგი არ შეეფერებოდა იაპონელი მეომრების ბრძოლის იდეალებს, რომლის უმთავრესი პირობა სიმამაცე და ბრძოლის ხელოვნება იყო. ტყვიის წინაშე კი ეს იდეალები უძლური აღმოჩნდა. მებრძოლი, რომელიც სათუთად უფრთხილდებოდა სახელს, შემთხვევითი გასროლისა და პატივის აყრის მსხვერპლი შეიძლებოდა გამხდარიყო. მიუხედავად ამისა, ცეცხლსასროლი იარაღი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. მან დაარღვია ძველი პრინციპები, რაც ბრძოლაში უძველესი საბრძოლო წესებისა და მისი ესთეტიკური მხარის დაცვას აღიარებდა. ახლა ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი სრულიად უსახელოდ იღუპებოდა.

ედოს ეპოქამ (1603-1868) იაპონიას ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდი მოუტანა, სამურაებს კი ცხოვრების აზრი, სტაბილურობის შეგრძნება დააკარგვინა და მათი დეგრადაცია გამოიწვია. სამხედრო კამპანიების დაფინანსების შემცირებამ და მოგვიანებით კი საერთოდ შეწყვეტამ, შეარყია საშუალო ფენის სამურაების ფინანსური მდგომარეობა. უმრავლესობა იძულებული შეიქნა, გაეყიდა მთავარი ღირსება და ფასეულობა — უნიკალური საბრძოლო იარაღი, პატივის შენარჩუნების მიზნით კი ქარქაშში ხმლების იაფფასიან ასლებს ატარებდნენ.

გადიოდა ხანი და ამ უშიშარი მეომრებისთვის ხელმისაწვდომ საქმიანობად სახანძრო ნაწილში მუშაობა იქცა.

ოჯახები რომ გამოეკვებათ, სხვებმა გამოსავალი გამონახეს — მათთვის მეტად საძულველი ფენის, მდიდარი ვაჭრების შვილები იშვილეს, ზოგიერთმა თავადაც მიჰყო ხელი ვაჭრობას. ბევრი ყაჩაღობით ირჩენდა თავს, მაშინ, როცა რამდენიმე ათეული წლის წინ შარაგზაზე საშოვარზე გასვლას სამურაი სიკვდილს არჩევდა.

გაცილებით იღბლიანები ბრძოლის ხელოვნების შემსწავლელ სკოლებს ხსნიდნენ, ზოგი ხელოსნობდა — სანდლებს წნავდნენ, ბამბუკის ქოლგებს, მარაოებსა და კბილების საწმენდებს აკეთებდნენ...



## ღირსების კოდექსი

სამურაის ინსტიტუტის დაკნინებამ XVIII საუკუნის იაპონიაში საზოგადოების წინაშე სამურაების მაღალი მორალის, ღირსებისა და პატივისცემის აღორძინების საკითხი დააყენა. დაიწერა წიგნები, რითაც სამურაელთა პრინციპების პოპულარიზაციას ეწეოდნენ. კვლავ აქტუალური გახდა ძველი სამხედრო მოთხრობები, განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო ლეგენდარული მეომრების, მაგალითად, მხედართმთავრის, კუსუნაკი მასასიგეს საგმირო საქმეების აღწერას. სამურაის ინსტიტუტის აღორძინებას ხელი შეუწყო ისეთმა წიგნებმაც, რომლებიც დროთა განმავლობაში სამხედრო ხელოვნებისა და ქცევის ნორმების კლასიკურ ტრაქტატებად იქცნენ. მათში გადმოცემული იდეალები და პრინციპები XIX საუკუნეში „სამურაის ღირსების კოდექსის", ანუ „ბუსიდოს" სახელით გავრცელდა. ამ ნაშრომების საერთო იდეა ერთ-ერთი მათგანის შესავალი სიტყვებით გამოიხატება: „სამურაის გზა სიკვდილია". თითოეული მეომარი კვდებოდა მაშინ, როდესაც ხელში იღებდა ხმალს, ფიზიკური განადგურება კი ფორმალობად ითვლებოდა. სამურაის უნდა დაევიწყებინა საკუთარი სიცოცხლე და თავი ბატონისათვის უნდა მიეძღვნა. ამავდროულად არასოდეს უნდა დაევიწყებინა სამი ძირითადი ცნება — ერთგულება, სიმამაცე და სამართლიანობა.


სამურაების ოჯახი

1868 წელს, ტოკუგავას სამხედრო მმართველობისა და იაპონიის იზოლაციის თითქმის 250 წლის შემდეგ, სახელმწიფო ძალაუფლება 122-ე იმპერატორ მეიჯის, ანუ მუცუჰიტოს დაუბრუნდა. იმპერატორის ხელისუფლების რესტავრაციის შემდეგ სახელმწიფოს ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. აღდგა ხელისუფლების უწინდელი ინსტიტუტები და საკუთრება. ჩაიყარა აბსოლუტური მონარქიის საფუძველი, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ევროპული სტანდარტები შემოიღეს. 1871 წელს იმპერატორის ბრძანებით შეიქმნა ახალი არმია, რომელიც 100.000 კაცისგან შედგებოდა. არმია გაწვევით ივსებოდა და მასში არა მარტო სამხედრო ფენის წარმომადგენლები შედიოდნენ. წერტილი სამურაების ინსტიტუტის არსებობას 1876 წელს დაესვა, მათ ოფიციალურად, კანონით აუკრძალეს მთავარი ღირსების — ხმლის ტარება.

## განნათვლა

განნათვლის მიღება სამურაის არა მხოლოდ ბრძოლისას, არამედ მშვიდობიან დროსაც შეეძლო. მისი სახლის მსუბუქად მოძრავი კარი, რომელიც სახლის სივრცეს ბაღის სივრცესთან აერთიანებდა, სამყაროსთან გაერთმთლიანების სიმბოლოს წარმოადგენდა. ამასთან, ყველა სამურაის სახლში უხვად იყო ფილოსოფიური გამონათქვამების, ლექსებისა თუ ნახატების შემცველი გრაგნილები. სიცოცხლის არსის შეცნობაში ჩაის სმის ცერემონიასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხშირად მებრძოლს სიმამაცისათვის მეტად ძვირად ღირებული ჩაით აჯილდოებდნენ, რაც დიდ პატივად ითვლებოდა. დასაჩუქრებული სტუმრებს იწვევდა და ამ იშვიათი სასმლით უმასპინძლდებოდა.

მოგვიანებით, ეს ტრადიცია ჩაის სმის ცერემონიალად იქცა. მას იაპონიაში „ჩაის გზას" უწოდებენ. ჩაის ცერემონიალი ხშირად მოსისხლე მტრებსაც აახლოებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ჰამერებს“ ერაყში გაუჭირდათ

ერაყის კამპანიამ ამერიკელებს საბრძოლო პირობებში სამხედრო ტექნიკის გამოცდისა და შეფასების რეალური პირობები შეუქმნა. სხვადასხვა სახის შეიარაღებიდან, ჯერჯერობით, ყველაზე მეტი საყვედური არმიული „ჰამერებისა“ და მსუბუქი ჯავშანტრანსპორტიორების მისამართით გაისმის.

ამერიკული მსუბუქი ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ ერაყელი პარტიზანები ეფექტიანად იყენებენ ნაღმებს, ყუმბარმტყორცნებს, ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ჯავშანგამტან ტყვიებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ჯავშანტრანსპორტიორი სამხედროებს ჭურვის ნამსხვრევებისაგან, აფეთქების ტალღისგან, ხოლო ხანდახან ახლო მანძილიდან ნასროლი ხელის ტყვიამფრქვევისგანაც კი ვერ იცავს.

კიდევ უფრო „უჭირთ“ „ჰამერებს“. ერაყში დაახლოებით 20 ათასამდე „ჰამერია“. ეს მანქანები ფართოდ გამოიყენება პატრულირების, დაზვერვისა და სპეცდავალებების შესრულების დროს. დაკისრებული აქვს სატრანსპორტო, სამედიცინო დახმარების, სამეთაურო-საშტაბო მანქანის მოვალეობაც.

25 წლის წინ, „ცივი ომის“ ხანაში შექმნილი „ჰამერი“ თანამედროვე მოთხოვნებს უკვე ველარ პასუხობს – საკმაოდ დიდი და სუსტად დაცული, პარტიზანებისთვის იოლი სამიზნეა, თანაც უმეტესობა ჯავშნის გარეშეა.

პარტიზანული ომისათვის „ჰამერები“ მზად არ აღმოჩნდნენ და პენტაგონმა შეიარაღებაში გაუმჯობესებული, დაჯავშნული მოდელი M1114 მიიღო, რომლებიც ერაყში უკვე იგზავნება.

M1114-ის ჯავშანი ახლო მანძილზე 155 მმ-იანი ჭურვის აფეთქების ტალღასა და 7,62 მმ-იან ავტომატის ტყვიებს უძლებს. გარკვეულწილად ნაღმებისგანაც დაცულია. ავტომობილი წინა თვლებთან 5 კგ-იანი და ძარის ქვეშ 1,5 კგ-იანი მუხტის აფეთქებასაც „იტანს“. მაგრამ, თუ ნაღმში უფრო მეტი ფეთქებადი ნივთიერებაა, მაშინ გადარჩენაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

„ჰამერს“ ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნების გამკლავებაც უჭირს. საბჭოთა РПГ-7-გან მას გაძლიერებული ჯავშანიც კი ვერ იცავს, ამიტომ კუმულაციური ჭავლის ზემოქმედებისაგან თავდასაცავად ავტომობილის კარებს ხსნიან. ასეთ შემთხვევაში ჭარბი წნევის შექმნა შეუძლებელია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც РПГ-ს ჭურვმა მანქანის სალონში გამჭოლად გაიარა და ეკიპაჟი უვნებელი დარჩა. ასეთ შემთხვევებში უმჯობესდება ხედვის არე, რასაც ბრძოლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს არ არის საუკეთესო გამოსავალი, ვინაიდან ჯარისკაცები ტყვიებისგან დაუცველნი რჩებიან.

ჯავშანს ერთი დიდი უარყოფითი მხარე აქვს – ის ავტომობილის წონას ზრდის, რითაც ძრავაზე, ტრანსმისიასა და საბურავებზე დატვირთვა მატულობს. შესაბამისად, აგრეგატები მწყობრიდან მალე გამოდის, იზრდება საწვავის ხარჯი და მცირდება გარბენი.

2003 წლის გაზაფხულის დამლევიდან ერაყში ამერიკელები ახალ ჯავშანტრანსპორტიორს, M 1128 „სტრაიკერს“ იყენებენ. მაღალი გამავლობის „სტრაიკერი“ (ბორბლების ფორმულა 8X8) კუმულაციურული ჭურვებისაგან დასაცავად სპეციალური ჩარჩოებით აღჭურვეს. ჩარჩო ჭურვებს მოხვედრამდე აფეთქებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ჭურვების მხოლოდ ნახევრის აფეთქება ხერხდება. დამძიმებულ ჯავშანტრანსპორტიორს დღის განმავლობაში თითქმის ყველა საბურავის გამოცვლა სჭირდება. აქვს სხვა არაერთი ნაკლიც, რის გამო „სტრაიკერები“ მაინცდამაინც პოპულარული არ არის.

გამორიცხული არ არის, რომ ამერიკელი სამხედროები ახალ ჯავშანტრანსპორტიორებზე, M1117 „გუარდიანზე“ (ძალიან ჩამოჰგავს რუსულ БРДМ-2-ს) ან „კუგუარზე“ (ბორბლების ფორმულა 4X4 და 6X6) გადასხდნენ. ერაყში გამოჩნდა ჯერ კიდევ ვიეტნამის ომში „მონაწილე“ ძველი, მუხლუხიანი ჯავშანტრანსპორტიორები, M113 და M557. იქ, სადაც სიჩქარე აუცილებელი არ არის, M113-ს ან M557-ს „ჰამერებისა“ და „სტრაიკერების“ შეცვლა შეუძლიათ, თანაც მათი ეკიპაჟები უკეთ არის დაცული.

ამერიკელთა ამ საბრძოლო ნოვაციებს ერაყელი პარტიზანები ითვალისწინებენ და ახლებურად მოქმედებენ. ამჯერად უფრო სრულყოფილ, აფეთქების ტალღის ერთ მიმართულებაზე კონცენტრირებულ ჭურვებს იყენებენ და ამერიკულ ჯავშანტექნიკას ძალზე აზიანებენ. ადრე ნაღმების ასამოქმედებლად დისტანციური მართვის პულტებს იყენებდნენ, რომელთა ჩახშობას ამერიკელები რადიოტალღებით ახერხებდნენ. ახლა ბომბები მოქმედებაში ინფრაწითელ ლაზერებს მოჰყავს, რასაც ტერაქტების არნახული ტალღა მოჰყვა.

*თემურ ჩაჩანიძე*



M1128



„გუარდიანი“ 4X4



„კუგუარი“ 6X6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურულებს საფრთხე ციდან დაემუქრათ



**ეს ამბავი 20 წლის წინ, 1985 წელს მოხდა. შემოდგომის მიწურულს გურიის სოფელ აცანის მცხოვრებლები გამაყრუებელმა ხმამ შეაკრთო, ხოლო სამების მთის მწვერვალი აფეთქებამ გაანათა.**

— იმ დღეს უხვად ბარდნიდა და ხილვადობაც ცუდი იყო, ამიტომაც სოფლელები კარგად ვერ მიხვდნენ, რა მოხდა.

სინამდვილეში, იმ დღეს აცანის მკვიდრნი დიდ ხიფათს გადაურჩნენ, რადგან მათ ახლოს 40-ტონიანმა საბჭოთა საფრონტო ბომბდამშენმა განიცადა საჰაერო კატასტროფა.

საბჭოთა პერიოდში Су-24-ის ტიპის საფრონტო ბომბდამშენები საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ორ ადგილას — კოპიტნარისა და დიდი შირაქის სამხედრო აეროდრომებზე იყო განლაგებული.

კოპიტნარში ამ ბომბდამშენების საავიაციო პოლკი იდგა, რომელშიც სამი ესკადრილია შედიოდა. სულ პოლკს 30-31 ერთეული თვითმფრინავი ჰყავდა.

საფრონტო ბომბდამშენთა პოლკის მთავარ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა თურქეთის ტერიტორიაზე სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებისა და NATO-ს სამხედრო ბაზების განადგურება როგორც ჩვეულებრივი, ისე ატომური იარაღის გამოყენებით. სწორედ ამ მიზნით, კოპიტნარში, ცალკე გამოყოფილ, კარგად დაცულ მიწისქვეშა საცავში ინახებოდა ატომური საავიაციო ბომბები.

გარდა თურქეთის დაბომბვისა, კოპიტნარის ბომბდამშენ პოლკს ევალებოდა შავ ზღვაში შესაძლებელი მოწინააღმდეგის საზღვაო ხომალდებისა და სადესანტო გემების განადგურება.

20 წლის წინ კოპიტნარის პოლკი სასწავლო-საბრძოლო ფრენებს ახორციელებდა შავი ზღვის მიმართულებით.

იმ ავბედით დღეს კოპიტნარის Су-24M ბომბდამშენებს შავი ზღვის სანაპიროსთან უნდა შეესრულებინა სასწავლო ფრენები, როგორც წესი, პირველად ცაში ამინდის მზვერავი თვითმფრინავი აფრინდა. მას პოლკის მეთაური დიდენკო და პოლკის მთავარი შტურმანი კოლესნიკოვი მართავდნენ.

ეკიპაჟს უნდა დაედგინა ამინდი საფრენოსნო მარშრუტის გაყოლებაზე და ზუსტად განესაზღვრა ღრუბლების ფენების ქვედა და ზედა სიმაღლეები. მიღებული ინფორმაცია რაციით გადაიცემოდა კოპიტნარში, აეროდრომის სამეთაურო პუნქტში, რათა სხვა ბომბდამშენების ეკიპაჟებს წინასწარ განესაზღვრათ ყველა შესაძლებელი დაბრკოლება ფრენის მარშრუტზე.

გურიის თავზე ამინდის მზვერავ Су-ს ღრუბლიანი ცა დახვდა, განუწყვეტლივ ბარდნიდა და ხილვადობაც ცუდი იყო. ეკიპაჟმა ბომბდამშენი ღრუბლებში შეიყვანა და მისი გაზომვა ზემო საზღვრიდან დაიწყო. Су ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდა. სამეთაურო პუნქტიდან ეკიპაჟს კრიტიკული მინიმალური სიმაღლის მაჩვენებლები გადასცეს, რომლის ქვემოთ ფრენისას თვითმფრინავი შეიძლება მიწას შეჯახებოდა. კატასტროფას არაფერი მოასწავებდა, მაგრამ მოულოდნელად ამინდის მზვერავი Су-24 ბომბდამშენი რადიოლოკაციური სადგურის ეკრანიდან გაქრა. ფრენების ხელმძღვანელმა ხუთ წუთში განგაში გამოაცხადა. წულუკიძიდან სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენებიააფრინეს, მაგრამ ცუდი ამინდის გამო ისინი მალევე დაეშვნენ აეროდრომზე.

მეორე დღეს კოპიტნარის საავიაციო პოლკიდან 300-მდე ოფიცერი, ზემდეგი და ჯარისკაცი გაიგზავნა კატასტროფის ადგილის მოსაძებნად, მაგრამ სამძებრო-სამაშველო სამუშაოები უშედეგოდ მიმდინარეობდა. მხოლოდ მესამე დღეს, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, იპოვეს კატასტროფის ადგილი.

ხალხის წინაშე საშინელი სურათი გადაიშალა — სამების მთაზე, თითქმის ნახევარი კმ-ის რადიუსში, მიმოფანტული იყო Су-24-ის ნაწილები. უფრო საზარელი სანახავი იყო ეკიპაჟის ორივე წევრის (რომლებმაც კატაპულტირება ვერ მოასწრეს) დაფლეთილი გვამები...

საშინელ სიცივეში ოფიცრები და ჯარისკაცები მთელი კვირა აგროვებდნენ თვითმფრინავის უმცირეს ნაწილებსაც კი. იმდროინდელი საბჭოთა კანონების თანახმად, მტერს პატარა დეტალიც კი არ უნდა ჩავარდნოდა ხელში. როგორც შემდგომში საავიაციო კატასტროფის გამომკვლევმა კომისიამ დაადგინა, Су-24-ის დაღუპვა ფატალურმა დამთხვევებმა გამოიწვია. ბომბდამშენზე დაყენებულმა სიმაღლის გამზომმა ბარომეტრულმა ხელსაწყომ ეკიპაჟს არასწორი მომატებული სიმაღლე აჩვენა. ჰაერის წნევის მიმღები მილი Су-24-ის ფიუზელაჟთან ძალიან ახლოს, სულ 20 სმ-ში ეყენა. დაბლა დაშვებისას თვითმფრინავმა 900 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარე განავითარა. ეს კი ზებგერით სიჩქარეს უახლოვდება. ასეთმა მაღალმა სიჩქარემ შემხვედრი ჰაერის ნაკადის თვითმფრინავის ბარომეტრული ხელსაწყოს ჰაერმიმღებებიდან ნაწილობრივი არიდება გამოიწვია და სიმაღლის გამზომმაც არასწორი მონაცემები აჩვენა, რის გამოც ბომბდამშენი სამების მთის თავზე, ტყეში დიდი სიჩქარით შეიჭრა.

საბედნიეროდ, ამინდის მზვერავი Су-24 ბომბებითა და რაკეტებით არ იყო შეიარაღებული, თორემ ვერც ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა გადაურჩებოდა მსხვერპლს.

გარდა ამ საჰაერო ტრაგედიისა, საქართველოს ტერიტორიაზე მდგარმა საბჭოთა და, მოგვიანებით, რუსული სამხედრო ნაწილების საბრძოლო ტექნიკამ არაერთი სხვა მძიმე კატასტროფა განიცადა, რომელმაც საკმაოდ უარყოფითად იმოქმედა საქართველოს მოსახლეობასა და ეკოლოგიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კასპიისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები



რუსეთის კასპიის ფლოტის ფლაგმანი „ტატარსტანი"

აგერ უკვე 2-3 წელიწადია, რაც კასპიისპირა ქვეყნებში სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერება-შექმნის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. ამის მიზეზი ზღვის მთავარი სიმდიდრის, ნავთობის საბადოების გაყოფასთან დაკავშირებული პრობლემებია.

პრობლემა 2001 წლის 23 ივლისს სერიოზულ ინციდენტად იქცა – ბაქოდან 150 კმ-ის დაშორებით, რაიონში, რომელსაც აზერბაიჯანი საკუთარ ტერიტორიულ წყლებად მიიჩნევს, მკვლევარი გემებს „გეოფიზიკ-3"-სა და „ალიფ გაჯიევს" მუშაობის დროს დაესხნენ თავს. „გეოფიზიკ-3"-ს ირანულმა სამხედრო თვითმფრინავმა ჯერ შემოუფრინა, ხოლო შემდეგ „ირანის ტერიტორიული წყლების" დატოვება ითხოვა.

ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობის მოსახსნელად 2005 წლის 12 ივლისს ასტრახანში კასპიის ზღვიის უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე პრეზიდენტი პუტინი BLACKSEAFOR-ის კასპიის ზღვის ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფის KASFOR-ის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. KASFOR-ის მთავარი ამოცანები იქნება: უსაფრთხოება, ნაოსნობისა და გარემოს მონიტორინგი, ნარკოტრაფიკის აღკვეთა, ბრძოლა ტერორიზმთან და ა.შ..

სანამ პოლიტიკოსები შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ, კასპიისპირა ქვეყნები სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერებას ცდილობენ. ეს პროცესი საკმაოდ გასაიდუმლოებულია.

რუსეთისათვის კასპიის ფლოტილიის გაძლიერება პრიორიტეტულია. თუ პირველ ეტაპზე ფლოტილიას შავი და ბალტიის ზღვებიდან გადმოყვანილი ძველი ხომალდები დაემატა, 2002 წლიდან მხოლოდ ახალ მცურავ საშუალებებს იღებს.

2002 წელს მწყობრში შევიდა „ურანის" ტიპის რაკეტებით (ფრენის სიშორე 350 კმ) აღჭურვილი სარაკეტო ფრეგატი „ტატარსტანი". 2007 წელს მას დაემატება ამავე პროექტის „დაღესტანი". დაგეგმილია 2010 წლამდე 500 ტონა წყალწყვის 5 პატარა საარტილერიო ხომალდის (100 მმ-იანი ქვემეხი, 2X6 30 მმ-იანი ავტომატი, ზალპური ცეცხლის დანადგარი, ტყვიამფრქვევები) აგებაც. პირველი – „ასტრახანი" წელს დასრულდება, ხოლო მომდევნო – „კასპიისკი" მშენებლობის სტადიაშია.

ფლოტილიაში 15000 კაცი მსახურობს და მცურავ საშუალებებთან ერთად მასში საზღვაო ქვეითი დანაყოფები, ავიაცია და სანაპირო არტილერია შედის.

77-ე ცალკეული საზღვაო ქვეითი ბრიგადა 3000-დან 5000-მდე კაცს ითვლის და 2-3 წელიწადში მთლიანად კონტრაქტით მომსახურე პირებით დაკომპლექტდება. ბრიგადის შეიარაღებაშია: ტანკები, БМП-2, БТР-70, Д-30, 2Б16 და სხვა ტექნიკა;

ავიაცია 20 თვითმფრინავსა (Ан-26, Бе-12) და 18 შვეულმფრენს (Ми-8, Ми-24, Ка-27, Ка-29) ითვლის;

ასტრახანთან გაშლილია სანაპირო დაცვის ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი „რედუტი".

ფლოტილიის სახომალდო შემადგენლობა:

სარაკეტო ფრეგატი: 1 – პ.1166 („ტატარსტანი");

პატარა სარაკეტო ხომალდები: 2 – პ.1241.Т („სტუპინეცი", „კარაჩაევო-ჩერკეზია");

სარაკეტო კატარღები: 3–პ.206М (Р-25, Р-30, Р-50);

საარტილერიო კატარღები: 1–პ.205М (АКА-232), 1–პ.10410 (АКА-275), 1–პ.368 РС (АКА-527); ჯავშანკატარღები: 7–პ.1204 (АКА-201, 202, 209, 223, 224, 248, 249);

საბაზო მტრალავები: 3–პ.1265 („იუსუპ აკაევი", „მაგომედ გაჯიევი", „გერმან უგრიუმოვი");

სარეიდო მტრალავები: 1–პ.10750 (РТ-233), 3–პ.1258 (РТ-71, РТ-195, РТ-697);

სადესანტო კატარღები: 2–პ.1205 (Д-338, Д-357); 2–პ.1206 (Д-457, Д-141); 2– პ.1232.1 (Д-18, Д-88); 2–პ.1176 (Д-263 და Д-304);

ფლოტილიის დამხმარე, უზრუნველყოფისა და ჰიდროგრაფიული სამსახურები 60-მდე გემსა და კატარღას აერთიანებს.

კასპიისკში ბაზირებდა მსოფლიოში ერთადერთი ეკრანოპლანების მე-11 ცალკეული საავიაციო ჯგუფი, რომელიც თავის დროზე 5 აპარატს ითვლიდა. ამჟამად დარჩენილია 390 ტონა წყალწყვის აპარატი „ლუნი", რომელზეც 6 „მოსკიტის" ტიპის რაკეტა დგას. აღსანიშნავია, რომ კასპიის ფლოტილიის ხომალდების სარაკეტო სისტემებისათვის შესაფერისი სამიზნეები კასპიისპირეთის სხვა არც ერთი ქვეყნის ფლოტში არ მოიძებნება.

რუსეთმა 1992 წლის ბოლოს არნახული გულმოწყალება გამოიჩინა და აზერბაიჯანს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი მცურავი საშუალება დაუტოვა: სადარაჯო ხომალდი СКР-16 „ბაკინეცი" (პ.159А), 3 საბაზო მტრალავი (პ.12650), 4 პატარა სადესანტო ხომალდი (1 პ.771 და 3 პ.770), 1 სარაკეტო კატარღა (პ.205У), 3 საარტილერიო კატარღა (2 პ.205П და პ.1400М), 1 სადესანტო კატარღა (პ.1785), 2 სარეიდო მტრალავი 2 (პ.1258) და 10-მდე დამხმარე გემი და კატარღა.

ბოლო დრომდე დაუფინანსებლობის გამო



6 ერთეული „მოსკიტის" ტიპის რაკეტით შეიარაღებული ეკრანოპლანი „ლუნი"

ეროვნული ბიბლიოთეკა




**უკრაინული „გრიფი“ თურქმენეთის ფლოტის მთავარი ძალაა**

მცურავი საშუალებების რემონტი-მოდერნიზაცია ან შეცვლა, პრაქტიკულად, არ ხდებოდა. ირანთან ცნობილი ინციდენტის შემდეგ დამოკიდებულება შეიცვალა – აშშ-ისა და თურქეთის დახმარებით აზერბაიჯანის საზღვაო ძალების ბრძოლისუნარიანობა მნიშვნელოვნად ამაღლდა.

ამერიკელები მცურავი საშუალებების რემონტს აფინანსებენ, ეხმარებიან სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაში, ტარდება ერთობლივი სწავლებები. ბოლო სწავლებაზე, 2004 წლის იანვარში, დამუშავდა ნავთობმომპოვებელი პლატფორმის დაცვის ამოცანა. მასში 18 ამერიკელი და 45 აზერბაიჯანელი მეზღვაური, 2 კატარღა და 2 შვეულმფრენი მონაწილეობდა.

მიმდინარე წლის მარტში თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა, ადმირალმა ოზდენ ორნეკმა აზერბაიჯანში ვიზიტისას დაადასტურა, რომ თურქეთი აზერბაიჯანს ნავთობის საბადოებისა და ძირითადი ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დაცვაში დიდ დახმარებას გაუწევს.

მოსალოდნელია უზბეკეთიდან აზერბაიჯანში აშშ-ის ავიაციის გადმოყვანა და შესაბამისი 2 საავიაციო ინფრასტრუქტურის შექმნა.

აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ძალებში 2200 კაცი მსახურობს და მის შემადგენლობაშია: ფლოტი (39 ხომალდი და გემი), ავიაცია (Ми-8 ტიპის შვეულმფრენები) და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები.

სახომალდო შემადგენლობა:

საპატრულო კატარღები: 1 – თურქული პ. „თურქ“ („არაზ“), 2 – პ.205, 1 – ამერიკული პ. „პოინტი“ (S-201), 1 – პ.1400 (№137),

მტრალავები: 3 – საბაზო პ.12650 („მაგომედ გაჯიევი“), 2 – სარეიდო პ.1258 (№237);

სადესანტო საშუალებები: 1 – პ.771 (№309), 2– პ.770 ( №291, №380), 1 – პ.1785 (D-603;)

დამხმარე ფლოტი: ტორპედმჭერი №930 (პ.1388), სასწავლო №385 (პ.888), პატარა საკაბელო გემი (პ.1172), ჰიდროგრაფიული „მამედ სულეიმანოვი“ და „ელნი“ (ტ. „ვალერიან ურივაევი“), „ვასილი ლომინაძე“ (ტ. „ვადიმ პოპოვი“) სასწავლო გემი „ოკა“, 2 სახანძრო კატარღა და რამდენიმე სხვა დამხმარე საშუალება.

ირანმა დიდ წარმატებას მიაღწია ბირთვული პროგრამის ტექნოლოგიებში, აწარმოებს „შაჰიბ 3“-ის ტიპის ბალისტიკურ რაკეტებს, შექმნა უპილოტო საფრენი აპარატები, რაც ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ზრდას ემსახურება. ვითარდება სამხედრო-საზღვაო ძალები. გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის მაისში ირანმა ძნელად მოსაძებნი, რაკეტებითა და ტორპედოებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავების აგება დაიწყო. პირველი წყალქვეშა ნავი „გადირი“ უკვე მწყობრშია და გამოცდას გადის.

კასპიის ზღვა მე-4 სამხედრო-საზღვაო რაიონისა (სამხედრო-საზღვაო ბაზა „ენზელი“) და ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის კასპიის ზღვის ზონაში (სანაპირო დაცვის ბატალიონით პორტ ნოუშეხრში) შედის.

ირანს კასპიის ზღვაში აქვს: 90 ტონა წყალწყვის 3 მინი-წყალქვეშა ნავი (გადაჰყავს 7 წყალქვეშა მებრძოლი და 1200 მილის რადიუსში მოქმედებს), 1936 წელს აგებული სამთავრობო იახტა „ჰამზენი“ (530 ტონა წყალწყვის), 60-დან 90-მდე სწრაფმავალი საპატრულო კატარღა. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოკლე დროში ძალების 1,5-ჯერ გაზრდა და მათ შორის, საჰაერო ბალიშის პრინციპით მოცურავე 4 სადესანტო კატარღის გადმოყვანა.

საპატრულო კატარღების წყალწყვა 1-დან 100 ტონამდეა, 50 კვანძამდე სიჩქარეს ავითარებენ და გაბარიტებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის შეიარაღებას ატარებენ. მათ შორისაა: 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები, 20 მმ-იანი და 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატები, 106 მმ-იანი „ბაზუკები“, 107 მმ-იანი და 122 მმ-იანი უმართავი რაკეტების დანადგარები. ზოგიერთზე 324 მმ-იანი სატორპედო აპარატებია დაყენებული. 2004 წლის აგვისტოში ირანმა კასპიაში ჩაუშვა ახალი სარაკეტო კატარღა „პეიკანი“, რომელზეც სამამულო წარმოების „კორუზის“ ტიპის რაკეტებია დაყენებული.

მცირერიცხოვან საპატრულო ავიაციაში თვითმფრინავები (Do-228 და F-27) და შვეულმფრენები (AB-212, ASH-3 D, RH-53D) შედის. არის საზღვაო ქვეითებისა და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები.

ექსპერტთა დასკვნით, მუქარის ტონით გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, ირანი რეგიონისათვის განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენს.

ყაზახეთმა ჯერ კიდევ 1991 წელს, თურქმენეთთან ერთად კასპიის ფლოტილიის წილზე უარი თქვა, ხოლო 500 კმ სიგრძის საზღვაო საზღვრების დასაცავად 1993 წლის 4 აპრილს სასაზღვრო-სადარაჯო ხომალდების ცალკეული ბრიგადა ჩამოყალიბდა.

სასაზღვრო-საზღვაო ძალები არასაკმარისად ჩაითვალა და პრეზიდენტმა ნაზარბაევმა 1996 წლის 17 აგვისტოს სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის ბრძანებულება გამოსცა. იმავე წელს ყაზახეთმა გერმანიიდან ასტრახანის გავლით 4 კატარღა მიიღო.

მომდევნო შევსება არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ნაყიდი 5 კატარღა, ირანიდან შემოვიდა, მაგრამ ზღვაში პირველივე გასვლისას კატარღები ჩაიძირა. საზღვაო ძალებს ვერდიქტი მალე გამოუტანეს და 1997 წლის 17 ნოემბერიდან ფლოტის მცურავი საშუალებები – 10 საპატრულო და 2 ჰიდროგრაფიული კატარღა სასაზღვრო უწყებას გადაეცა.

მეზობელი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო აქტიურობას ყაზახეთმა 2003 წლის თებერვლიდან საზღვაო ძალების ხელმეორე ფორმირებით უპასუხა. 2010-15 წლებისათვის საზღ-



**ირანული სადესანტო კატარღა საჰაერო ბალიშზე**

ვაო ძალებს დასრულებული სახე მიეცემა და მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ინტერესების დაცვა, საჰაერო, წყალზედა და წყალქვეშა სივრცეების კონტროლი. საზღვაო ძალებში უნდა შევიდეს ფლოტი, საზღვაო ქვეითი და სანაპირო არტილერიის ქვედანაყოფები.

ასტანას სურს, რომ საზღვაო ძალების ფორმირებაში, ძირითადად, უკრაინა, თურქეთი და აშშ დაეხმაროს.

გემთსაშენი საწარმოები მაქსიმალურად დატვირთულია. ურალსკის ქარხანა „ზენიტი“ აგებს „ბურკიტებსა“ (41,62 ტონა) და „სუნკარებს“ (13 ტონა). დაწყებულია 200 ტონამდე წყალწყვის „ბარსის“ მშენებლობა. ურალსკის სამეცნიერო ინსტიტუტი „ჰიდროპრიბორი“ ამჟამად მცირე წყალწყვის „საპსანისა“ და „შაგალას“ პროექტების კატარღებს უშვებს. გავრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთი 2 ხომალდის გადაცემას აპირებს.

საზღვაო ძალებში 3000-მდე კაცი მსახურობს და მოსალოდნელია საზღვაო ქვეითების ხარჯზე მათი 5000-მდე გაზრდა. ჰყავთ 3 Ми-8 და 6 Ми-2 ტიპის შვეულმფრენი. მთავარი ბაზა და სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტი, სწავლების 5-წლიანი პროგრამით, განთავსებულია აქტაუში.

ფლოტი საპატრულო კატარღებისაგან შედგება: 2 – თურქული პ. „თურქი“; 4 – გერმანული პ. 369 („ალმატი“, „ატირაუ“, „ჯამბული“); 1 – აშშ პ. „სი არკი“ („აბაი“); 6 – პ. „ბურკიტი“ („აქტაუ“, „ასტანა“ „ორალი“); 3 – პ. „სუნკარი“; 3 – პ. „საპსანი“; 1 – პ. „შაგალა“.

კატარღების წყალწყვა 170 ტონამდეა, ხოლო შეიარაღებაში აქვთ 7,62 და 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევები, 20 და 40 მმ-იანი ქვემეხები.

თურქმენეთი საზღვაო ძალების შექმნას დასავლეთის დახმარებითა და უკრაინის დავალიანების ხარჯზე ცდილობს. კიევს თურქმენული გაზის 500-მილიონიანი ვალი აქვს და ამის სანაცვლოდ ფეოდოსიის ქარხანა „მორეშ“ 10 „გრიფ-T“ და ამდენივე „კალკან-M“ უნდა აუგოს. ვალის საფასურში შედის რადიოლოკაციური სადგური „კოლჩუგა“, რომელიც 600 კმ-ის რადიუსის კონტროლის საშუალებას იძლევა.

ფლოტის შემადგენლობაშია საპატრულო კატარღები: ამერიკული პ. „პოინტი“ („მერჯენი“); უკრაინიდან მიღებული 2 „გრიფი“ და 3 „კალკანი“.

არსებული მონაცემებით, ფეოდოსიის ქარხანა ფინანსურ კრიზისს განიცდის და თურქმენეთისათვის ახალი კატარღების მიწოდების თაობაზე ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ ვრცელდება.

*თემურ ჩაჩანიძე*

# უინსტონ ჩერჩილის ბუტაფორიული ფლოტი



პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ანტანტის ქვეყნების ფლოტებს გერმანიის წყალქვეშა ნავებმა დიდი საშიშროება შეუქმნეს. 1914 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გერმანულმა სუბმარინებმა ბრიტანეთის ფლოტს 6 კრეისერი ჩაუძირეს, რომელთაგან 4-ის ტორპედირება U-9-მ შეძლო.

მდგომარეობა საგანგაშო იყო, მაგრამ წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებები არ არსებობდა. მაშინ გაიხსენეს ერთი ძველი, ნაცადი ხერხი, რასაც XVII საუკუნეში მეკობრეების დასაბნევად სავაჭრო გემების კაპიტნები მიმართავდნენ. შორიდან სამხედრო ხომალდად შენიღბულ სავაჭრო გემს მეკობრეები შეცდომაში შეჰყავდა და საფრთხის თავიდან აცილებაც ხერხდებოდა.

ახლა ძნელი დასადგენია, ომის დროს ეს იდეა პირველად ვის დაებადა. სახელდება სამი პრეტენდენტი: ლორდი ფიშერი, ადმირალი პერსი სკოტი და ჩერჩილი. ამ სამიდან ყველაზე მეტი შანსი მაინც ჩერჩილს აქვს.

ადმირალი ფიშერი მოგვიანებით იხსენებდა, რომ 1914 წლის 30 ოქტომბერს, პირველ საზღვაო ლორდად დანიშვნისთანავე, თავისთან მიიწვია ლაინერ „ოლიმპიკის“ კაპიტანი ჰადოკი და მას „ხის დრედნოუტებისა და სახაზო კრეისერების ყველაზე დიდებული ესკადრის სარდლობა დაავალა“.

ადმირალი პერსი სკოტი კი იგონებდა, რომ 1914 წლის 3 ნოემბერს ის ჩერჩილმა გამოიძახა სამგზავრო გემების კამუფლირებულ სახაზო ხომალდებად გადაკეთებასთან დაკავშირებით. გზად მას „ოლიმპიკის“ კაპიტანი ჰადოკი შეხვდა და მისი კანდიდატურა ბუტაფორიული ესკადრის სარდლად წამოაყენა.

მაშინდელი საზღვაო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი თავის მოგონებებში წერდა, რომ დიდი ხნის წინ დაებადა ნადავლი გერმანული ან ძველი ბრიტანული გემების სახაზო ხომალდების ორეულებად გამოყენების იდეა. მისი აზრით, ზოგჯერ გამოცდილ მეზღვაურსაც შეიძლება პატარა ნალმოსანი დიდ კრეისერად მოეჩვენოს.

ბუტაფორიულ გემებს მძლავრი სახაზო ხომალდები უნდა განესახიერებინათ. წამოეგებოდნენ თუ არა გერმანელები ინგლისელების გადაგდებულ ანკესზე? ყოველ შემთხვევაში, ბუტაფორიული ესკადრა გერმანიის აგენტებს ბრიტანეთის ფლოტის მთავარი ძალების მდგომარეობაზე მცდარ წარმოდგენას მაინც შეუქმნიდა, რაც ცოტას არ ნიშნავდა.

ასე რომ, 1914 წლის 21 ოქტომბერს ჩერჩილმა სამ კვირაში ძველი და ნადავლი გემების სახაზო ხომალდებად და კრეისერებად გადაკეთება მოითხოვა. ეს პროცესი ერთმა შემთხვევამაც დააჩქარა. 1914 წლის 27 ოქტომბერს გერმანულ ნალმზე აფეთქდა და დაიღუპა უახლესი სახაზო ხომალდი „ოდეიშესი“. ინციდენტი არ გაუხმაურებიათ და გერმანელების დასაბნევად სავაჭრო გემი „მონტკალმი“ სასწრაფოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სახაზო ხომალდი „ცენტურიონი“ და...**

„ოდეიშიესის“ ორეულად გადააკეთეს.

ოპერაცია საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა. ამ საქმით დაკავებულ „ჰარლანდ ენდ ვოლფის“ ვერფის 2000 თანამშრომელს სკოტლანდ-იარდმა სპეციალური შემოწმებაც ჩაუტარა. ორეულებისათვის შეირჩა ძველი გემები „სიტი ოფ ოქსფორდი“, „პორტშირი“, „მიჩიგანი“, „ორუბა“ და სხვები.

ხომალდების გადაკეთებას ბევრი კურიოზიც ახლდა თან. მაგალითად, 1919 წლის დეკემბერში „საზღვაო ჟურნალის“ კორესპონდენტი წერდა: „ტრაპზე ამომავალ ორ კაცს მხრებზე 12-დუიმიანი ქვემეხი შემოედო. მათ მოჰყვებოდა მატროსი ლუზით, რომლის წონა 4 ტონაზე ნაკლები არ იქნებოდა. ერთ ბიჭს კი იღლიაში ამოეჩარა 12-გირვანქიანი ქვემეხი. ვიფიქრე, შევიშალე-მეთქი...“

სავაჭრო გემების გემბანებზე დააყენეს სამხედრო ხომალდებისთვის დამახასიათებელი მაღალი დანაშენები, სამფეხა ანძები, მძიმე ჯავშანკოშკურები 305 მმ-იანი ქვემეხებით, უზარმაზარი ლუზები. სინამდვილეში ყველაფერი ხისგან იყო გაკეთებული და გარედან ბრეზენტი ჰქონდა შემოკერებული. ასე შეემატა ბრიტანეთის ფლოტს 10 ბუტაფორიული სახაზო ხომალდი რა თქმა უნდა, შეიარაღებისა და თავდაცვის გარეშე.

ამავდროულად თავი იჩინა სპეციფიკურმა სირთულეებმაც. სავაჭრო გემების მეტად მაღალი ბორტის დასაწევად ტრიუმებში დამატებით 8-9 ათასი ტონა ბალასტი დაიწყო, რასაც საზღვაოსნო თვისებების გაუარესება და განსაკუთრებით სიჩქარის შემცირება მოჰყვა. პირველივე ცურვისას ბუტაფორიულმა სახაზო ხომალდებმა 5 კვანძი სიჩქარე აჩვენეს, რის გამოც ნამდვილ სამხედრო ხომალდებთან ერთად მანევრირებას ვერ ახერხებდნენ.

დეკემბრის ბოლოს უფრო სწრაფმავალი გემების მომზადება დაიწყო. სავაჭრო „კევიკი“ სახაზო კრეისერი „კუინ მერი“ უნდა გამხდარიყო, „მერიონი“ – „თაიგერი“, „მანიპური“ – „ინდომითეიბლი“, „პარტისიენი“ – „ინვინსიბლი“.

გერმანული წყალქვეშა ნავების მისატყუებლად გემები ცალ-ცალკე, ნაღმოსნებთან ერთად დაცურავდნენ. პერიოდულად, ბრიტანეთის ფლოტის ძლიერების დემონსტრირების მიზნით, სამხედრო-საზღვაო ბაზებს შორის გადასვლები ეწყობოდა. ეფექტი იმაზე იყო გათვლილი, რომ გერმანული სუბმარინის პერისკოპიდან ან „ცეპელინის“ გონდოლიდან ორეულის ნამდვილისაგან გარჩევა შორ მანძილზე ვერ მოხერხდებოდა, თორემ ახლოს ეს მასკარადი იოლი ამოსაცნობი იყო.

გერმანელებმა „ესკადრის“ ამბავი ერთ-ერთი ამერიკელი კორესპონდენტისგან შეიტყვეს, რომელმაც „ოდეიშიესის“ დაღუპვის საიდუმლოო როგორღაც გაიგო.

მიუხედავად იმისა, რომ ესკადრა ბრძოლისუუნარო იყო, მან მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. 1915 წლის 24 იანვარს დოგერ-ბანკთან ბრძოლისას გერმანულმა „ცეპელინმა“ რამდენიმე ბომბი თავისივე ჯავშნოსან კრეისერ „ბლიუხერს“ ესროლა, რომელიც ბრიტანელთა ბუტაფორიულ სახაზო კრეისერ „თაიგერად“ ჩათვალა.

1915 წლის თებერვალში დარდანელის სადესანტო ოპერაციის მსვლელობისას, ანტანტის საზღვაო ძალების „გასაძლიერებლად“ ხმელთაშუა ზღვაში სახაზო კრეისერების, „თაიგერისა“ და „ინდომითეიბლის“ ორეულები გაიგზავნა. მარშრუტი ატლანტის ოკეანესა და გიბრალტარზე გადიოდა. შემხვედრი სავაჭრო გემების კაპიტნები გაოცებული შეჰყურებდნენ კუს სიჩქარით მცურავ „მრისხანე“ ხომალდებს. ესკადრა 1915 წლის 5 მარტს კუნძულ ტენედისთან გამოჩნდა, რითაც გერმანია-თურქეთის სარდლობა საგონებელში ჩააგდო.

30 მაისს გერმანულმა წყალქვეშა ნავმა დაცვის გარეშე მოცურავე სახაზო ხომალდი „თაიგერი“ ამოიცნო და მას ტორპედო ესროლა. ტორპედო გემის წყალხაზის ქვევით, სამანქანო და საქვაბე განყოფილებებს შორის აფეთქდა. აფეთქების შემდეგ ჰაერში ავარდა „მასიური“ დანაშენები და მთავარი კალიბრის ქვემეხების კოშკურები. გერმანელები ინტერესით უცქერდნენ „მრავალტონიან“ კოშკურებს, რომლებიც რატომღაც არ იძირებოდა და ტივტივებდა.

1915 წლის ოქტომბერში, ერთწლიანი არსებობის შემდეგ, „ესკადრამ“ არსებობა შეწყვიტა. მიღებული გამოცდილება კი ინგლისელებმა II მსოფლიო ომში გამოიყენეს.

*თემურ ჩაჩანიძე*

**...„ცენტურიონის“ ორეულად ქცეული სავაჭრო „ლაიქ ეირი“**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. დაპატიმრებულ სამხედრო მოსამსახურეთა მოსათავსებელი შენობა; 6. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 7. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 8. რუსული მცირელიტრაჟიანი ავტომობილი; 13. ჯარის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, რომელიც შეიარაღებულია ქვემეხებით; 14. ოპტიკური ხელსაწყო შორს მყოფი საგნების დასანახად; 16. ბრაზილიური ტანკი; 17. ჯარის განლაგების მარჯვენა ან მარცხენა მხარე; 18 სამხედრო ფორმის ქურთუკი; 19. სამხედრო გემების, თვითმფრინავების ან ტანკების დიდი შენაერთი; 21. ირანის სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის სახელწოდება; 22. ნაგებობა დირიჟაბლების ასაგებად, გასაჩერებლად და გასარემონტებლად; 25. დაბალი დიპლომატიური რანგი; 27. გერმანიის ექს-კანცლერი; 28. ინგლისური ტორპედო; 30. გაბატონებული კლასის შეუზღუდავი სახელმწიფო ძალაუფლება; 31. იტალიური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი; 32. სლოვაკური 152 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა. **შვეულად:** 1. ქვემეხი, რომელიც ისვრის კიდულად; 2. იგივეა, რაც უნტერ-ოფიცერი; 3. მექსიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზირების პუნქტი და პორტი; 4. სიტუაცია, როდესაც თამაშის დროს ბურთი კვეთს გვერდითა ხაზს; 5. ქალაქი რუსეთში; 9. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი; 10. ფრანგული საპატრულო თვითმფრინავი; 11. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება; 12. საარჩევნო ყუთი; 15. ძველებური ორანძიანი მსუბუქი ხომალდი; 17. ინგლისური სადესანტო შვეულმფრენმზიდი გემი – დოკი; 18. ეკიპაჟის საცხოვრებელი გემზე; 20. ძველი ხალხური თქმულება ღმერთებზე და გმირებზე; 23. ნაპოლეონის მარშალი; 24. ბრიტანული სამხედრო ვერტმფრენი; 26. სამხედრო-საჰაერო ძალების შენაერთი ზოგი უცხო ქვეყნის არმიაში, მეორე მსოფლიო ომის დროს; 29. სამხედრო ხროვა ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 30. თანრიგი კარატეში.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. ტამერერი; 4. ასი; 6. მატა; 7. ატამანი; 9. ჰუგენოტები; 10. კა; 11. ტრისტარი; 13. მოვაგი; 17. დერბი; 18. კორკი; 19. ტოკიო; 20. ტაიმი; 21. უმიაკი; 24. ზავი; 26. ავიანო; 29. დერბი; 30. ჩიგლი; 31. კანონადა; 32. რაუტი; 33. კირასირი. **შვეულად:** 1. ტომაჰოკი; 2. მატოგო; 3. ეშაფოტი; 4. აჟანი; 5. ილიადა; 8. აგენტი; 11. ტუ; 12. რეპრესია; 13. მედიტაცია; 14. ვერაკრუსი; 15. გრიფონი; 16. ავიაცია; 18. კოლტი; 22. აბორდაჟი; 23. იანიჩარი; 25. არბალეტი; 27. ვირაჟი; 28. ანდორა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცირეოდენი ეშმაკობა დანაშაული არ არის, თუ...



**გათენდა, დილა საყვარელ მაღვიძარასთან „მისალმებით" დაიწყო, შემდეგ კბილების გახეხვა, ყავის მოდუღება, ავტომობილი ან „მარშრუტკა", საცობები ბუშის ქუჩაზე, ჭიაბერაშვილის სამკუთხედსა და უგულავას ჩიხში, დაცვა, მეხუთე სართული... და შვება — მოვასწარი.**

**ალბათ,ასეთი სიტუაცია ყველა თქვენგანისთვის ნაცნობია. სამ-ოთხსაათიანი ძილის შემდეგ მაღვიძარას წკრიალი ნამდვილი კოშმარია. ხასიათი გიფუჭდებათ, როცა სარკეში ამოღამებულ თვალებს და ფერმკრთალ სახეს დაინახავთ. მაგრამ სხვა გამოსავალი არ გაქვთ. ნორმალურად რომ გამოიძინოთ, ამისათვის სამსახურზე ან მეგობრებსა და შეყვარებულთან შეხვედრებზე უნდა თქვათ უარი.**

**შეგინიშნავთ, რომ თქვენი თანამშრომლები რიგიანად დასვენებულნი და გამოძინებულნი მოდიან სამსახურში. ნეტავ როგორ ახერხებენ? — გიკვირთ თქვენ.**

**არ ვიცით, როგორ ანაწილებენ დროს თქვენი კოლეგები, მაგრამ შეგვიძლია შემოგთავაზოთ რამდენიმე რჩევა იმისთვის, რომ ერთი-ორჯერ მაინც ხეირიანად გამოიძინოთ.**

**ვარიანტი №1**

## წვიმის კაცი

კონცეფციის ძირითადი ბირთვი ავადმყოფობაა. ვისი? — საკუთარი, ცოლის, შვილის, დედის, ძაღლის ან სხვა რომელიმე შინაური ცხოველის (ტრიტონი არ ითვლება). ერთი სიტყვით, მნიშვნელობა არ აქვს, ვისი. ეს მეტად უბრალო მეთოდია, რომელიც დიდი ორიგინალურობით არ გამოირჩევა და გონების დაძაბვასაც არ მოითხოვს.



ყველასათვის ცნობილია, რომ ყველაზე ჯანმრთელ ადამიანსაც კი შეიძლება აღმოაჩნდეს მრავალი დაავადების სიმპტომი. ამიტომ თავს ნუ დაზოგავთ და გირჩევთ, რამდენიმე დღე მოანდომოთ სხვადასხვა მძიმე დაავადებათა ზედაპირულ შესწავლას, თუ ზოგიერთ სახელწოდებასა და სამედიცინო ტერმინსაც დაიმახსოვრებთ, კარგი იქნება. მერწმუნეთ, შედეგი არ დააყოვნებს — თქვენი უფროსის კაბინეტში მედიცინის დარგში თქვენ მიერ ჩატარებული მინი-ექსკურსის შემდეგ, იგი იძულებული იქნება, თანაგიგრძნოთ ან სულაც... გაგათავისუფლოთ სამსახურიდან. თუ თქვენმა მცდელობამ გაამართლა, დიდხანს არ იწუწუნოთ ტკივილსა და უსიამოვნო პროცედურებზე. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ ნამდვილი მამაკაცი ხართ. პირიქით, თავი ღირსეულად დაიჭირეთ და მრავლისმეტყველი ფრაზებით აიცილეთ ზედმეტი შეკითხვები. განაცხადეთ, რომ ამ თემაზე ლაპარაკი არ გსურთ. ხშირად ასეთი პასუხი ექიმის ცნობაზე უკეთ ჭრის.

გამომეტყველება – რა თქმა უნდა, კონცეფციის შესაბამისი უნდა იყოს: სევდიანი თვალები, ფერმკრთალი სახე, ულიმღამო ღიმილი.

გვერდითი მოვლენები – შესაძლოა შრომის წიგნაკის გამოცვლა ხშირ-ხშირად დაგჭირდეთ.

პერსპექტივა – შეიძლება მეორე ჯგუფის ინვალიდობასაც გამოჰკრათ ხელი. მერე კი პენსიაზე იჩალიჩებთ.

**ვარიანტი №2**

## „მარადმწვანე" სტუდენტი

კონცეფცია – სწავლა სინათლეა, უსწავლელობა – სიბნელე! თქვენ კარგი მუშაკი ხართ, მაგრამ თქვენი მაგიდა სამუშაო დოკუმენტების გარდა, ამავდროულად სხვადასხვა კონსპექტითა და საკურსოთიც არის გადავსებული. კედელზე კი დიდი ქართველი პოეტის სიტყვები გაქვთ გაკრული: „სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი". ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, სირთულეებთან საქმე არ გვაქვს ხოლმე. ხელმძღვანელობა სტუდენტ თანამშრომლებს უპრობლემოდ ათავისუფლებს, ხანდახან კი თავადაც აფინანსებს მათ განათლებას. მე ვიცნობ ერთ სტუდენტს, რომელიც სესიების გამო ორი თვის განმავლობაში არ გამოჩენილა სამსახურში. მართალია, ასეთი შემთხვევები იშვიათია, მაგრამ სამაგიეროდ მეტად სასარგებლო: თქვენ განათლებას იძენთ, კომპანია კი კვალიფიციურ თანამშრომელს.

გამომეტყველება – გამოცდებზე საუბრისას თვალებში მწუხარების ნაპერწკალი უნდა გიკიაფებდეთ.

გვერდითი მოვლენები – რუსები ამბობენ, „ვინც ბევრი იცის, მალე ბერდებაო".

პერსპექტივა – ვინ იცის, იქნებ ნობელის პრემიაზე წარგადგინონ.

**ვარიანტი №3**

## ბარონი მიუნჰაუზენი

კონცეფცია – ყოველთვის რაღაც ამოუცნობი ხდება თქვენს თავს, თუმცა, მუდამ საღ-სალამათი რჩებით. ალბათ, ვიღაცამ გაგთვალათ ან დილით მარცხენა ფეხზე ადექით. რაშია საქმე? უბრალოდ, თქვენს რაიონში გზების შეკეთებასთან დაკავშირებით გაუთავებელი საცობია (მერიის მიერ გამოქვეყნებული გზების შეკეთების გრაფიკი „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა), ლიფტი გაფუჭებულია, გზაში ავარია ან რაღაც სტიქიური უბედურება მოხდა... და კიდევ, ბებია-ბაბუები (უამრავი გყავთ!) შესაშური რეგულარულობით გეხოცებიან. კარგი რა, თქვენ ხომ ღირსეული ადამიანი ხართ, ნუ აიგდებთ თავს სასაცილოდ და მეტი გონებამახვილობა გამოიჩინეთ. ბოლოს და ბოლოს, ოდესმე გეტყვიან, – საცობში რომ არ მოხვდე, ცოტა ადრე გამოდი სახლიდანო, თანაც თქვენს ქუჩაზე ასფალტის ახალი საფარი ჯერ კიდევ ჭიაბერაშვილის მერობის დროს დააგეს; წესით, ბებიების რაოდენობაც გენეალოგიის მიხედვით საკმაოდ შეზღუდული უნდა იყოს. უმჯობესი იქნება, თუ ფანტაზიას გასაქანს მისცემთ და უბედური შემთხვევების თქვენს კოლექციას ცოტა მრავალფეროვანს გახდით. მაგალითად, შეგიძლიათ მოიმიზეზოთ, რომ საპატრულო პოლიციამ (რა თქმა უნდა უმიზეზოდ) მართვის მოწმობა ჩამოგართვათ და სამსახურში ფეხით მოგიხდათ წასვლა. თუ თქვენი რეპუტაცია შელახულია, სამაგიეროდ, პატრულს ეს საფრთხე ჯერ არ ემუქრება. ამიტომ დაგიჯერებენ. გახსოვდეთ, მიზეზები უმეტესად ყოფითი უნდა იყოს – ტერორისტებთან შეხვედრებმა და ვულკანების ამოფრქვევამ სისტემატური ხასიათი არ უნდა მიიღოს.

გამომეტყველება – შეშფოთებული და გაოგნებული.

გვერდითი მოვლენები – თანამშრომლები მასხარად ჩაგთვლიან.

პერსპექტივა – მაყურებელთა სიმპათიის პრიზი გარდაბნის ტრადიციულ ფესტივალზე.

**ვარიანტი №4**

## საქმიანი

თუ თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობა საკმაოდ მყარი, ფუნქცია-მოვალეობანი კი ყველასათვის გასაიდუმლოებული ან გაუგებარია, თანაც ცოტაოდენი მსახიობის ნიჭიც გაქვთ, გირჩევთ, საქმიანი თანამშრომლის რეპუტაცია შეიქმნათ. ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ ანგარიშის ჩაბარების გარეშე დაიგვიანოთ და დღის განმავლობაში გაუჩინარდეთ კიდეც. არავინ იცის, სად ხართ, მაგრამ ყველა ღრმად არის დარწმუნებული, რომ თქვენ ფირმისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს აგვარებთ. თუ გადაწყვეტთ ოფისში შევლას, აუცილებლად მიიღეთ საქმიანი იერი, სასურველია, თქვენმა მობილურმა ტელეფონმა გამუდმებით რეკოს; სხვათა თანდასწრებით თანამოსაუბრეს უდროობის მიზეზით უარი უთხარით შეხვედრაზე; სიგარეტის მოწევისას მოჰყევით ნერვულად ბოლთის ცემას, ისაუბრეთ სერიოზულ თემებზე, გამოხატეთ უკმაყოფილება საყოველთაო არაორგანიზებულობით. რაც მთავარია, უფროსობის მიმართ დიდი პატივისცემა გამოხატეთ, ნურასოდეს იხუმრებთ მათზე კოლეგების თანდასწრებით. არასოდეს გამოტოვოთ თათბირი, იაქტიურეთ და ახალი წინადადებები შესთავაზეთ ხელმძღვანელობას.

გამომეტყველება – შეკრული შუბლი, დაძაბული სახე, გამჭოლი მზერა.

გვერდითი მოვლენები – კოლეგები ვერ გიტანენ.

პერსპექტივა – თუ ეშმაკობა ვერ გაგიგეს, შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც.

**ვარიანტი №5**

## ბიზნესმაჩო

ასეთებს საპირფარეშოში ტუალეტის ქაღალდის ნაცვლად მენეჯმენტის კანონების უშველებელი ტომი უკიდიათ. არ სწყალობენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და ბიზნესის კლასიკურ სკოლებს, პიჯაკებს, ჰალსტუხებს, პერანგებს. გახეხილი ჯინსი და ძველი სვიტერი მათთვის ზედგამოჭრილია.

ჩემი ნაცნობის სამსახურში სწორედ ასეთი ვინმე მიიღეს... პირველივე დღეს უფროსისაგან ფული ისესხა, იმავე საღამოს მთელი ხელმძღვანელობა, გენერალურის ჩათვლით, პრესტიჟულ რესტორანში დაპატიჟა. სულ ცოტა ხანში კი კაბინეტიც გამოუყვეს და მდივანიც კი დაუნიშნეს. რა შეგვიძლია ამაზე ვთქვათ? მხოლოდ ესღა – „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

გამომეტყველება – ნებისმიერი, მთავარია, საქციელი.

გვერდითი მოვლენები – თუ თვალში არ მოუხვედით, ისე გაგათავისუფლებენ, თქვენი შესაძლებლობების გამომჟღავნებასაც ვერ მოასწრებთ.

პერსპექტივა – ცდა ბედის მონახევრეა, იქნებ გამოგივიდეთ კიდეც.



*აი, სულ ეს არის, რისი თქმაც გვინდოდა. როგორ წარმოადგენთ საკუთარ თავს ახალ სამსახურსა და კოლექტივში, დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი წინსვლისა და კარიერისათვის. პირველი შთაბეჭდილების შეცვლა საკმაოდ რთულია. დაიმახსოვრეთ მთავარი: სამუშაოს სიამოვნება უნდა მოჰქონდეს. თუ მუდმივად არ გინდა სამსახურში სიარული და თუ მას კატორღას უწოდებთ, ე.ი. ეს სფერო ან თანამდებობა თქვენთვის შეუფერებელია. შეეცადეთ და მოძებნეთ თქვენთვის საინტერესო სამუშაო, სადაც ამბიციასაც დაიკმაყოფილებთ და სასიამოვნო ადამიანებსაც გაიცნობთ... და რაც მთავარია, „არსენალის“ კითხვას უნდა ასწრებდეთ!*



# VOLVO XC90

VOLVO XC90 პირველად 2002 წელს, დეტროიტის ავტოსალონზე გამოჩნდა. ერთი წლის შემდეგ კი მისი გაყიდვა ევროპაში დაიწყო. იგი სრულამძრავიანი XC70-ის მოდელის მიხედვითაა შექმნილი და „ვოლვოს“ ფირმის ისტორიაში პირველი SUV-ს ტიპის ავტომობილია.

ძარა ხუთკარიანი აქვს და უნივერსალის ტიპისაა. სალონში სავარძლები ორ ან სამრიგადაა განლაგებული. ძრავა ექვსი ან ხუთცილინდრიანია (ბენზინის 2,5 ან 2,9 ლიტრის; ასევე, დიზელის 2,4 ლ), სიგანეზე განლაგებული ოთხ ან ხუთსიჩქარიანი ავტომატური სიჩქარეების კოლოფით. თუ ამ მანქანით ქვიშრობ ადგილას გაიჭედებით, ნუ გაიკვირვებთ – მას ყველგანმავლობის პრეტენზია არასდროს ჰქონია. XC90 სპორტულ-უტილიტარული ავტომობილის ტიპისაა და ზოგიერთს უგზო ავტომობილად მხოლოდ მისი უხეში და ძლიერი შესახედაობის გამო მიაჩნია.

XC90 კონსტრუქციით მსუბუქ ავტომობილსაც წააგავს, იგი მაღლიდან გადაჰყურებს გარემოს თავისი 16-დუიმიანი საბურავებიდან. ძრავის ქვეშ სივრცე 210 მილიმეტრია, თუმც მისი გამოცდა ორმოებსა და უსწორმასწორო ადგილებში არ ღირს, რადგან ქვემოდან მყარი დაცვა არ აქვს – ბუტაფორიული ფირფიტა და თხელი „დამცველი“ პლასტიკატი არაორაზროვნად მიანიშნებს მფლობელს, რომ ცივილიზაციის მონაპოვარ ასფალტს არ უნდა მოსწყდეს. წინა და უკანა საკიდრები თითქმის მსუბუქი მანქანისა აქვს. რა თქმა უნდა, ისინი არც ისე გამძლეა, როგორც რესორიანი ხიდები, სამაგიეროდ ასფალტზე პილოტაჟისთვის

**ქალაქსა და ავტოსტრადაზე „ვოლვოს“ „ყველგანმავალი“ მართლაც გადაადგილების ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული და უსაფრთხო საშუალებაა, მაგრამ თუ გზა მთებს მიადგა, ჯობია, მანქანა იქვე დატოვოთ და გუდა-ნაბადი ზურგზე მოიკიდოთ...**






არსენალი
Volvo XC90

ეროვნული ბიბლიოთეკა




**თუ ქვიშნარში ან ლაფში მოხვდით, შეძლებისდაგვარად სწრაფად დატოვეთ იქაურობა. მით უმეტეს, რომ ძლიერი ძრავა ამის საშუალებას იძლევა...**

უკეთესს ვერც ინატრებთ.

ორსაფეხურიანი, ტურბოშემფრქვევლით აღჭურვილი 2,9-ლიტრიანი ძრავა რეკორდულ, 272 ცხენის ძალას ავითარებს. ასეთი სიმძლავრით ვერც ერთი მსგავსი კლასის ავტომობილი ვერ დაიკვეხნის. ძრავა საუკეთესო თვისებებს 98 ოქტანობის ბენზინის გამოყენებით ავლენს. თუმცა, ჩვეულებრივ, 95-იანსა და დროდადრო 91-იანსაც იყენებენ. ძრავის სიგრძემ კონსტრუქტორები აიძულა, მანქანაზე ოთხსიჩქარიანი კომპაქტური „ავტომატი“ დაეყენებინათ. ისე კი აჯობებდა ერთი-ორი სიჩქარის დამატება, რითაც 100 კილომეტრ სიჩქარეს მანქანა 9,3 წამზე ნაკლებ დროში დაფარავდა, თუმცა, ორ ტონაზე მეტი სიმძიმის მანქანისთვის ეს მაჩვენებელიც მის ღირსებებზე მიანიშნებს.

სიჩქარეთა კოლოფს მექანიკური რეჟიმიც აქვს, თუმც მისი ხმარებისას მძღოლი დროს მაინც კარგავს. განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს გასწრებას დაემთხვა. ამ სიტუაციაში ხომ სიჩქარე და სისწრაფე ყველაზე მეტად სჭირდება მძღოლს. სხვა გზა არ არის — ან არ უნდა ახლოთ ხელი ავტომატიკის გადამრთველს, ან სიჩქარის ხელის გადამრთველს დასჯერდით.

XC-90-ის კიდევ ერთი თავისებურება საუკეთესო ვიბრო და ხმაურის იზოლაციაა. ძრავა ჰიდროსაყრდენებზეა დამონტაჟებული და მისი ხმა თითქმის

**„ვოლვოს“ უმთავრეს კოზირად მისი მრავალფუნქციური სალონი შეიძლება ჩაითვალოს. ფაქტობრივად, ის იდეალური საოჯახო მანქანაა.**









ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ისმის. რედუქტორი და სხვა ხმაურიანი ბლოკები ელასტიკურ ბლოკებზეა დამონტაჟებული. გარდა ამისა, ყველა გარეშე ხმას ირეკლავს სამფენოვანი გვერდითი მინები. ასე რომ, დიდი სიჩქარით მიმავალ ავტომობილში სრული სიწყნარე სუფევს.

ახალ „ვოლვოს“ ერთობ სიმპათიური ალუმინის საფეხურები და წინა საყრდენებზე მინიატიურული სახელურები აქვს. მოზრდილი ზომის სალონი სადაა, ოდნავ უხეშიც. მაჩვენებელ ხელსაწყოთა პანელი ფართოა, მისი ცენტრალური კონსოლი კი დახრილი. ინტერიერის მოკრძალებული დიზაინი რომ ბიუჯეტური ხასიათის არ არის, ამაზე ხეში ჩასმული ნატურალური ტყავის რბილი სავარძლებიც მეტყველებს.




გარდა ამისა, სალონს ამშვენებს სტილური ალუმინის სახელურები, მულტიფუნქციური საჭე აუდიოსისტემისა და კრუიზკონტროლის ღილაკებით; ტემპერატურის კონტროლის, ავტომატურად ჩაბნელების უნარის მქონე სარკე და მრავალრიცხოვანი ელექტრომოწყობილობა, მათ შორის, წვიმის მატყობინებელი და პანელში ჩამონტაჟებული ტელეფონი.

სავარძლებს რეგულირების დიდი დიაპაზონი აქვს. მძღოლის სკამის მეხსიერება კი მხოლოდ სამ მდგომარეობას აფიქსირებს. საჭე გალაქული ხისაა, რის გამოც მძღოლს ხელები უოფლიანდება და უსრიალებს. კიდევ ერთი თავისებურება — დგომის მუხრუჭი პედალით ირთვება, რომელიც ხელის მუხრუჭივით თვალში საცემი არ არის და მძღოლს ხშირად ავიწყდება მისი არსებობა.

სალონის უკანა ნაწილი უფრო ფართო გეჩვენებათ, ვიდრე წინა. აქ საკმარისი ადგილია სამი ზორბა ადამიანისთვის. მათთვის შუა გამყოფებზე ცალ-ცალკეა დამონტაჟებული დეფლექტორები. სურვილისამებრ შეიძლება მოიხსნას წინა სავარძლების გამყოფი ცენტრალური ბოქსი და მაშინ მანქანაში წამოწოლაც შეგეძლებათ.

სავარძლები პროპორციით 35\30\35 სამ ნაწილადაა გაყოფილი. ამასთან, შუა სავარძლის საბავშვოდ გადაკეთება ადვილად ხერხდება. საამისოდ ცენტრალურ კონსოლზე საგანგებოდ არის გათვალისწინებული სპეციალური, „საბავშვო“ ბლოკირება. სავარძლის სეგმენტების აკეცვა იოლად და სხვადასხვა ფორმით შეიძლება. ამით ისედაც ტევადი საბარგულის მოცულობა 613-დან და 1885 კვსმ-მდე გაიზრდება. მეხუთე კარი ორნაწილიანია. ზემოთა ნაწილის აწევის შემდეგ საბარგულში წვრილმანი ნივთების ჩალაგება შეიძლება, მოზრდილი ნივთებისთვის კი ქვემო ნაწილის გაღებაც მოგიწევთ. აქვეა მინის მსუბუქი თარო-ფარდა, რომელიც საბარგულს სალონისაგან ყოფს. აქ შეიძლება პატარა, ორადგილიანი მაგიდის გაშლა. გსურთ, რომ მზის ჩასვლით დატკბეთ? ან პირდაპირ მანქანიდან ითევზაოთ? მაგიდა და სკამები თქვენს განკარგულებაშია.

„ვოლვოს“ კონსტრუქტორებმა მგზავრებისა და მძღოლის უსაფრთხოებასაც არანაკლები ყურადღება დაუთმეს. გარდა სტაბილიზაციის სისტემისა, DSCT მანქანა აღჭურვილია ROPS სისტემით, რომელიც მას გადაბრუნებისაგან იცავს. ავარიის დროს კი დახმარებას ფრონტალური და გვერდითი ბალიშები გაგიწევენ. უკნიდან დაჯახების შემთხვევაში დარტყმის ძალას ამცირებს Whips მოწყობილობა, რომელიც ამ დროს სავარძლის საზურგეების უკან დახევას უზრუნველყოფს.

ამ ორტონიანი „სიამოვნების“ ფასი (რომელიც 100 კილომეტრის გავლისას 19,2-20 ლიტრ მაღალი ოქტანობის ბენზინს მოიხმარს) პოსტსაბჭოურ სივრცეზე 65 ათასი აშშ დოლარიდან იწყება.



ეროვნული ბიბლიოთეკა
n 157/59

# ყველაზე თხელი...

## სპეციალურად ლიპიანი გენერლებისთვის

### ПСМ АПС-ის ანტიპოდი, მაგრამ მასავით პოპულარული

**მამა-შვილი ბრაზაუსკასების სოხუმიდან გატაცებულ სამგზავრო თვითმფრინავში ბორტგამცილებლის, ნადეჟდა კურჩენკოს მკვლელობა ერთ-ერთი იმ შეთხვევათაგანი იყო, რამაც 1973 წელს დააჩქარა ახალი საბჭოთა პისტოლეტის სერიული წარმოება.**

თვითდამტენი მცირებორტიანი პისტოლეტი ПСМ იქცა იმ პირველ კომპაქტურ საბჭოთა იარაღად, რომელსაც სამგზავრო თვითმფრინავის გამცილებელი სამოქალაქოსამოსიანი „კაგებეშნიკები“ მალულად ატარებდნენ. ПСМ-ის სისქე 17-18 მმ-ს არ აღემატება, ამიტომ ოპერმუშაკების გარდა ლიპიანი გენერლების საუკეთესო „მეგობარიც“ გახდა. სათამაშო პისტოლეტისმაგვარი იარაღის ტარებაზე არც მაღალი საზოგადოების ქალბატონები ამბობდნენ უარს – საბჭოთა ელიტაში ეს გამორჩეულობის დამადასტურებელი ერთ-ერთი ნიუანსი იყო.



ПСМ-ს ერთი ნაკლი ჰქონდა – მის პატრონებს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მუდამ ოდნავ ტრავმირებული ჰქონდათ, რადგან პისტოლეტისა და მცველის ჩამოწევისას სწრაფად დაშვებულ ჩახმახში მოაყოლებდნენ ხოლმე.

სამაგიეროდ, ПСМ-ს ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა – მისი მცირეკალიბრიანი ტყვია მსუბუქ ჯავშანჟილეტებს ხვრეტდა, რის გამოც დასავლეთში „მკვლელის იარაღი“ შეარქვეს.

როგორც აღვნიშნეთ, რომ არა გახშირებული ტერორისტული აქტები თვითმფრინავებში, საბჭოთა კავშირში ПСМ გვიან ან სრულიად არ გამოჩნდებოდა, რადგან ბირთვული იარაღის მქონე საბჭოთა ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას არ უთმობდა პისტოლეტებს. არმიას შეიარაღებაში ПМ „მაკაროვი“ ჰქონდა, АПС „სტეჩკინი“ სპეცრაზმელების საყვარელი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

იარაღი იყო, TT-სა და „ნაგანს“ კი მეორეხარისხოვანი დანაყოფები სჯერდებოდნენ.

ანტიტერორისტული და კომპაქტური ПСМ-ისთვის თავიდანვე 5,45მმ კალიბრი შეარჩიეს (ალბათ, იმიტომ, რომ საბჭოთა არმია იმ პერიოდში მცირეკალიბრიან „კალაშინკოვებზე“ გადავიდა).

1975 წელს 2600 ცალი ПСМ გამოუშვეს და ყველა გენერლებმა და სპეცსამსახურის ხელმძღვანელმა მუშაკებმა დაიტაცეს.

ПСМ-ის ყველაზე სახასიათო ნიშანი ის არის, რომ დამცველის ჩამოსაწევი ჩახმახის გვერდით არის განთავსებული და დამცველის გამორთვისთანავე თითით შეიძლება ჩახმახის შეყენება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მწარმოებლები შეეცადნენ ПСМ აშშ-ის საიარაღო ბაზარზე გაეტანათ, რისთვისაც კალიბრი და ვაზნებიც შეუცვალეს ამერიკული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მაგრამ 1994 წელს პრეზიდენტმა კლინტონმა გამოსცა ბრძანება, რომელიც რუსეთიდან ნებისმიერი იარაღის შეტანას კრძალავდა.

გარდა იმისა, რომ ПСМ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თხელი პისტოლეტია, საკმაოდ მსუბუქიცაა და ნახევარ კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 15,5სმ-ია, საიდანაც 8,5 სმ ლულაზე მოდის. 5,45 მმ კალიბრიანი ტყვიის საწყისი სიჩქარე წამში 315 მ-ს უტოლდება. სროლის ტემპი კი წუთში 30 გასროლას აღწევს. მჭიდში 8 ცალი 5,45X18 ტიპის ვაზნა ეტევა. დამიზნებით სროლის მანძილი 25 მ-ის ფარგლებშია.

ПСМ-ით სროლა საკმაოდ მოსახერხებელია და დიდი უკუდარტყმა არ აქვს. თანამედროვე დასავლური პისტოლეტების შემდეგ, რომელთა სისქე 30სმ-ს აღემატება, ცოტა უჩვეულოა ასეთი თხელი პისტოლეტის ხელში დაჭერა. სამაგიეროდ მისი მალულად ტარებაა მოსახერხებელი.

არსებობს მაყუჩიანი ПСМ-ის ეგზემპლარებიც, როგორც საქარხნო წესით, ასევე საიარაღო სახელოსნოებში დამზადებული. „არსენალმა“ სწორედ ქარხნული წესით დამზადებული მაყუჩიანი პისტოლეტი გამოსცადა.

P.S. ათიოდე წლის წინ დასავლეთში გასაყიდად სპეციალურად გამოუშვეს ПСМ-ის მოდიფიკაცია ИЖ-79, რომელიც ევროპაში გავრცელებულ 6,35მმ კალიბრის ტყვიებს ისვრის.

*ირაკლი ალადაშვილი*



ПСМ-ი სისქით ასანთის კოლოფს რამდენიმე მილიმეტრით აღემატება



ПСМ-ის არასრული დაშლა



ასეთ მდგომარეობაში რჩება ПСМ-ი ვაზნების გახარჯვის შემდეგ


არსენალი
ПСМ